მ ი ჯ ნ ა

№1 (12) თებერვალი, 2019 წელი

ზვიად გამსახურდიას
საპრეზიდენტო ფაცი

მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 1 (12), თებერვალი, 2019

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:
თავისუფალ შემოქმედთა გაერ-
თიანება და შპს „გამომცემლობა
„მიჯნა“, რეგისტრაციის
№ B12127840

**რედაქტორ-
გამომცემელი**
მურმან ზაქარაია

რედაქტორი
ჯემალ შონია

მისამართი:
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN
მიჯნა 2449-237X

სარჩევი

კლასიკა

მარკ ტვენი
გუბერნატორის არჩევნები.....3

ზვიად გამსახურდია - 80

ლაშა გვასალია
დონ კიხოტი და ზვიად
გამსახურდია.....7

ჯემალ შონია
პირშავად ხვდებიან!.....9

პოლიტიკა

მურმან ზაქარაია
პრეზიდენტის ინსტიტუტი – სახალხო
ლეგიტიმაციით!..... 10

პოეზია

ზაურ მოლაშხია
ლექსები 38

პროზა

თენგიზ კუბლაშვილი
ცქვიტო 44

სოციოლოგია

კახა ქეცბაია
პოსტმოდერნი და თვითმკვლელი
სოციუმი.....47

კრიტიკა და რეცენზია

შეხვედრა უნივერსიტეტში.....52

ნანა კუცია
გია ხუბუას მხატვრული სივრცე 53

მერი ზაქაშვილი
ფიქრები ნოველაზე „ფუძის
ანგელოზი“.....58

თამაზ პაჭკორია
მედიტაცია ლაშა გვასალიას
ნოველაზე „სასაფლაო“ 60
მედიტაცია – 2 ლაშა გვასალიას
მოთხრობაზე „კაკაბია“ 61

ლიტერატურული ჩანაწერები

ლაშა გვასალია
გოდერძი ჩოხელის მონატრება 64
ტარიელ ხარხელაური სევდის პოეტია 65
მიყვარდა.....66
„გილგამეშიანი“ – უპირველესი
მხატვრული ქმნილება 66

ხსოვნა

ჯემალ შონია
ამრიდონ ჩეგიანის ხსოვნას.....69

ამრიდონ ჩეგიანი
მეწვიე სვანეთში 70

მარკ ტვენი
20.11.1835-21.04.1910



მარკ ტვენი ფსევდონიმია დიდი ამერიკელი მწერლის სემიუელ ლენგჰორნ კლიმენსისა, რომელიც კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება ამერიკულ ლიტერატურაში, სატირიკოსი, ჟურნალისტი და ლექტორი ამავე დროს საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსიცაა. იყო ასოთამწყობის შეგირდი, ლოცმანი, ოქროს მაძიებელი, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა იუმორისტულ ნაწარმოებებს, ნარკვევებს, სტატიებს, რეპორტაჟებს. 1867 წელს იმოგზაურა ევროპასა და მცირე აზიაში, რაც საფუძვლად დაედო მის წიგნს „გულუბრყვილონი საზღვარგარეთ“ (1869). ამ წიგნში წინა აზიის აღწერისას მოხსენებულნი არიან ქართველი ტყვეებიც. დიდი გამოხმაურება ჰქონდა ფოლკლორულ სიუჟეტებზე აგებულ მოთხრობას „სახელგანთქმული მხტუნავი კალავერასელი ბაყაყი“ (1867) და რომანს „მოოქრული საუკუნე“ (ჩ.დ.უორნელთან ერთად, 1873). შემდგომ ეტაპზე მწერლის შემოქმედებაში დომინირებს რომან-ზღაპარი, ფანტასტიკური რომანი და „სიძველეთა რომანი“. მათ შორის გამოირჩევა ავტობიოგრაფიული შეფერილობის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (1882), რომლის ზღაპრული პირობითობა და პოეტურობა ავტორს საშუალებას აძლევს. თამამად ილაპარაკოს ყველაზე მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე. კიდევ უფრო მწვავე ამერიკული პრობლემა – მონობის პრობლემაა დასმული მწერლის საუკეთესო რომანში „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ (1884). რომანში „კონექტიკუტელი იანკი მეფე არტურის კარზე“ (1889) ფანტასტიკა მწერლის შემოქმედებაში რეალისტური ესთეტიკის ფორმას იღებს და სინამდვილის მართლად ასახვის პირობას ქმნის. მარკ ტვენის შემოქმედების საფუძველია ხალხური იუმორი. მისგან შეისისხლხორცა მწერალმა იუმორისტული ჰიპერბოლა, ზღაპრული ფანტასტიკა, ნათელისა და ბნელის ჭიდილში ნათელის გამარჯვების რწმენა, მთელ მის შემოქმედებას ნათელ ფერად გასდევს ღრმა დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი.

უილიამ ფოლკნერი მარკ ტვენს „პირველ ნამდვილ ამერიკელ მწერლად“ თვლიდა, დანარჩენ შემდგომ მწერლებს კი მის შემდგომ მემკვიდრეებად მიიჩნევდა, ხოლო ერნესტ ჰემინგუეის აზრით, მთელი თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა გამოვიდა მარკ ტვენის ერთი წიგნიდან, რომელსაც „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ ეწოდება.

გუბერნატორის არჩევნები

ამ რამდენიმე თვის წინათ დამოუკიდებელთა პარტიამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა ნიუ-იორკის დიდი შტატის გუბერნატორის თანამდებობაზე. კენჭი უნდა მეყარა მისტერ ჯონ სმითისა და მისტერ ბლენკის წინააღმდეგ, რომელთა კანდიდატურები სხვა პარტიებმა წამოაყენეს. ვგრძნობდი, რომ ამ ჯენტლმენებთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა მქონდა – შეუბღალავი რეპუტაცია. უბრალოდ რომ გადაგეკრათ თვალი გაზეთებისათვის,

მიხვდებოდით, რომ თუკი ოდესმე ჰქონდათ ჩემს მეტოქეებს კარგი სახელი, ეს დრო უკვე წარსულს ჩაჰბარებოდა: ათასი ჭუჭყი მოსცხებოდათ ამ ბოლო წლებში. თავი მომქონდა ჩემი უპირატესობით და გახარებული ვიყავი. თუმცა ერთ რამეზე მაინც მეთანაღრებოდა გული – ჩემი გვარი ყალთაბანდებთან ერთად უნდა ეხსენებინათ. სულ უფრო და უფრო მაწუხებდა ეს ფიქრი. ავდექი და ბებიაჩემს მივწერე, ასე და ასე-მეთქი. პასუხს არ დაუგვიანია, ბებია მწერდა:

„მთელი შენი დღე და მოსწრება პატიოსნად და სინდისიერად იქცეოდი; ძეხორციელს ვერ ნახავ, თუნდაც ერთი ბეწო უსინდისობა ახსოვდეს შენი. ეგ შენი მეტოქეები, ხომ ხედავ, რა ხალხიც ყოფილან – გაზეთებში ჩაიხედე და გაიგებ. შენ თვითონვე განსაჯე – გეკადრება კი, თავი დაიმცირო და საჯაროდ შეებრძოლო მაგისთანა ხალხს!“

მეც ეს არ მტანჯავდა! მთელი ღამე თეთრად გავათენე, თვალი არ მომიხუჭავს. მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა და მეც თანხმობა განვაცხადე, გადავწყვიტე გამარჯვებამდე მებრძოლა.

დილით, საუზმეს რომ შევექცეოდი და უგულისყუროდ ვათვალიერებდი გაზეთებს, უცებ ასეთ შენიშვნას მოვკარი თვალი და სახტად დავრჩი.

„ცრუ მოწმე“: იქნებ ახლა მაინც ინებოს ბატონმა მარკ ტვენმა, როგორც გუბერნატორობის კანდიდატმა, და გულწრფელად აღიაროს – როგორ მოხდა, რომ 1863 წელს კოხინ ჩაინას ქალაქ ვაკავაკში ოცდათოთხმეტმა მოწმემ ამხილა მისი სიყალბე და ცრუ ფიცი; თურმე უმწეო ქვრივი დედაკაცისათვის ერთი უბადრუკი მიწის ნაკვეთის წართმევა ეწადა, რომელზედაც რამდენიმე ბანანის ხე იდგა. ეს იქნებოდა სრული განადგურება საბრალო დედაკაცისა, რადგან მის ღარიბ ოჯახს იმ მწირი მიწით ედგა სული, სხვა არაფერი ებადათ. მისტერ ტვენი ვალდებულია განუმარტოს ეს ხალხს, რომლის მხარდაჭერასაც იგი ელის არჩევნებში. გაბედავს?“

ლამის გული გამისკდა! რა საშინელი, არაადამიანური ცილისწამებაა! კოხინ ჩაინა თვალით არ მენახა! ვაკავაკი პირველად მესმოდა! ბანანის ხე და კენგურუ ჩემთვის ერთნაირი ცნება იყო. აღარ ვიცოდი, რა მექნა, სიბრაზისაგან ღონე წამერთვა, ის დღე ისე მიიწურა, რომ ვერაფერი ვიღონე. მეორე დღეს იგივე გაზეთი წერდა:

„საგულისხმო ამბავი! – უნდა შევნიშნოთ, რომ კოხინ ჩაინას ცრუ ფიცთან დაკავშირებით მისტერ ტვენი საეჭვოდ დუმს“.

(ამ დღიდან მოკიდებული, საარჩევნო კამპანიის დამთავრებამდე ეს გაზეთი სულ „შერცხვენილ ფიცის გამტეხ“ მისტერ ტვენს მიწოდებდა).

ამას მოჰყვა მეორე გაზეთის ცნობაც:

„სასურველია გავიგოთ, ინებებს თუ არა გუბერნატორობის ახალი კანდიდატი, განუმარტოს თავის ამომრჩევლებს (რომელთაც თავი უნდა გადასდონ და ხმა მისცენ მას) მონტანას წვრილმანი ამბები, სადაც ჯარის ამხანაგებს ათასი რამე ეკარგებოდათ და მერე კი ყოველთვის ან მისტერ ტვენის ჯიბეში ან მისივე „ჩემოდანში“ (ერთ ძველ გაზეთში, რომელშიც ის თავის ხარახურას ინახავდა) აღმოაჩენდნენ ხოლმე. ბოლოს ამხანაგებმა თავს იდვეს მეგობრული სამსახური გაეწიათ და ჭკუა ესწავლებინათ მისთვის – კუპრში ამოთხვარეს, გარედან ბუმბულები მიაყარეს, ჯოხზე გააკრეს და მთელი ქალაქი შემოატარეს; მერე კი ურჩიეს, სხვა ოთახში გადაბარგებულიყო. საინტერესოა, ინებებს თუ არა მისტერ ტვენი ამის განმარტებას?“

ასეთი საძაგლობა გაგონილა?! ჩემს დღეში არა ვყოფილვარ მონტანაში.

(ამ დღიდან მოყოლებული, სულ „მონტანელ ქურდ“ ტვენს მიწოდებდა ეს გაზეთი).

ამის შემდეგ ისეთი შიშითა და სიფრთხილით ვიღებდი გაზეთს ხელში, რა სიფრთხილითაც საბანს გადასწევს კაცი, რომელსაც ლოგინში შხამიანი გველი ეგულება.

ერთხელ ასეთ შენიშვნას მოვკარი თვალი:

„ცილისმწამებელს ნიღაბი ჩამოხსნეს! ფაივპოინტსელმა ესკვაირმა მაიკლ ოსფლანაგანმა და უოლსტრიტელმა მისტერ კეტი მალიგანმა და მისტერ სნაბ რაფერტიმ ფიცით დაადასტურეს, რომ მისტერ ტვენის მტკიცება, თითქოს ჩვენი ღირსეული კანდიდატის მისტერ ჯონ სმითის პაპა ყაჩაღობისათვის ჩამოეხ-

რჩოთ, თავიდან ბოლომდე მოჭორილია. განა შემაძრწუნებელი არ არის, რომ ზოგიერთი კარიერისტი, ეგოისტური მიზნების განსახორციელებლად, არაფერს ეპუება და მიცვალებულსაც კი არცხვენს! ამას ვერ მოითმენს პატიოსანი ხალხი. ვურჩევთ შეურაცხყოფილ და დამცირებულ ხალხს, საკადრისად გაუსწორდნენ ცილისმწამებელს!“

ბოლო ფრაზამ მალე გამოიღო შედეგი, იმავე ღამეს იძულებული შევიქენი ლოგინიდან წამოვმდგარიყავი და უკანა კარებიდან გავპარულიყავი. „შეურაცხყოფილ-დამცირებული“ ხალხი კი ჩემს სახლში შეიჭრა, მინები ჩაამსხვრია და ზოგ-ზოგი რამე ამწაპნა.

ღმერთმა ხომ იცის, მისტერ სმითის პაპისათვის ცილი არასოდეს დამიწამებია. მართალი თუ გინდათ, არც კი ვიცოდი, ასეთი კაცი თუ არსებობდა ქვეყანაზე.

იმ დღიდან მოკიდებული ეს გაზეთი სულ „საფლავების შემგინებელ“ ტვენს მიწოდებდა.

„სანუკვარი კანდიდატი. – მისტერ მარკ ტვენი წუხელ გამანადგურებელი სიტყვის წარმოთქმას აპირებდა, მაგრამ დამოუკიდებელთა პარტიის გაფართოებულ მიტინგზე სულაც არ გამოცხადებულა! მისი ექიმი დეპეშით იტყობინებოდა, გაქანებული ეტლის ქვეშ ჩავარდა, ფეხი ორგან აქვს გადატეხილი და ჯოჯოხეთური ტკივილები სტანჯავსო, და სხვა ამნაირი მონაჩმახები. დამოუკიდებელთა პარტიის წევრები ბევრს ეცადნენ, მიეჩქმალათ საქმის ნამდვილი არსი და გამამართლებელი მიზეზები ეპოვნათ იმ სუბიექტისათვის, რომელსაც ისინი ბაირახტრობას აკისრებენ.

მაგრამ წუხელივე შეუნიშნავთ, სიმთვრალისაგან სახეშეშლილი ვიღაც კაცი როგორ წვალებით შებარბაცდა მისტერ ტვენის სასტუმროში, დამოუკიდებლები ვალდებული არიან დაამტკიცონ, რომ ეს გამოლენჩებული პირუტყვი მარკ ტვენი არ ყოფილა. როგორც იქნა, ნიღაბი მოეხსნათ! ამ ფაქტს სადღა დაემალებიან! ხალხის ხმა ქუხს და პასუხს მოითხოვს – ვინ იყო ეს კაცი!“

დაუჯერებელი იყო, წარმოუდგენელი! როგორ შეიძლებოდა ჩემზე ასეთი სიბილწე ეფიქრათ! სამი წელი ისე მიიწურა, ერთი წვეთი ღვინო არ ჩამიკარებია პირში, არც ელი, არც ლუდი, არც სხვა რამ სასმელი.

მაგრამ დრომ მართლაც თავისი ქნა – სულაც არა მწყენია, როცა ამოვიკითხე „გამოუსწორებელი ლოთი ტვენი“, ვიცოდი, რომ არჩევნების დამთავრებამდე შემრჩებოდა ეს სახელი.

ამასობაში დაიძრა და წამოვიდა ჩემი მისამართით ანონიმური წერილები, დაახლოებით ასეთი შინაარსისა:

„იმ უბედურ დედაბერზე რას იტყვით,რომელმაც მოწყალება გთხოვათ, და თქვენ კი პანღური ამოჰკარით?

პოლ პრაი“.

ანდა:

„ზოგ-ზოგი თქვენი ბნელი საქმე ჩემს მეტმა ჯერ არავინ იცის, რამდენიმე დოლარს თუ არ გამოიმეტებთ, ყველა გაზეთი გაიგებს.

პენდი ენდი“.

მალე რესპუბლიკელების მთავარმა გაზეთმა ამომრჩეველთა დაქრთამვაში დამდო ბრალი, ხოლო დემოკრატების ორგანომ ფულის გამოძალვა დამწამა (ამრიგად, ორი ახალი სახელი შევიძინე: „ტვენი – ბილწი გაიძვერა“ და „ტვენი – საზიზღარი ყალთაბანდი“).

ბოლოს ისეთი აურზაური ატეხეს გაზეთებმა და ისე დაჟინებით მოითხოვდნენ ჩემგან პასუხის გაცემას წამოყენებულ ბრალდებაზე, რომ დუმილი აღარ შეიძლებოდა, ჩვენი პოლიტიკური კარიერა საბოლოოდ დაიღუპებოდა. მეორე დღეს ერთ-ერთ გაზეთში მართლაც დაიბეჭდა ასეთი შენიშვნა:

„ამ ვაჟბატონს ვერ უყურებთ! – დამოუკიდებელთა პარტიის კანდიდატი დაჟინებულ დუმილს არჩევს, ან კი რა უნდა ქნას, რაც ბრალდებები წაუყენეს, სულ დადასტურდა. მაშ, რატომ დუმს ასე?! ამ ვაჟბატონს ვერ უყურებთ – ამ შერცხვენილ ფიცის გამტეხს, მონტანელ ქურდს, საფლავების შემგინებელს, გამოუსწორებელ ლოთს, ბილწ გაიძვერას და საზიზღარ ყალთაბანდს!

კარგად დააკვირდით, ყოველი მხრიდან შეხედეთ და მერე თვითონვე ბრძანეთ – მაინც მისცემთ თქვენს პატიოსან ხმებს ამ გაიძვერას, რომელმაც თავისი ბნელი საქმეების გამო ამდენი ბინძური მეტსახელი დაიმსახურა და ენაც ვერ აღუძრავს, რომ ერთი ბრალდება მაინც უარყოს“.

სხვა გზა აღარ იყო, დავჯექი და საპასუხო წერილების წერას შევუდექი.

მაგრამ წერა არც კი დამემთავრებინა, რომ ახალი საშინელი ცილისწამება მომიგონეს: ბრალს მდებდნენ საგიჟეთის დაწვაში, რომელიც ჩემი სახლის წინ იდგა და, თითქოს, ფანჯრიდან ხედს მიმახინჯებდა, ხალხიც შიგ გამობუგაო, გავმწარდი კაცი. მერე დამწამეს – ალალი ბიძა მოწამლა გაძარცვის მიზნითო. თავგამოდებით მოითხოვდნენ გვამის გაკვეთას. შიშმა შემიპყრო, არ გავგიჟდე-მეთქი. ესეც არ მაკმარეს.

ერთ დღეს ერთ-ერთ წინასაარჩევნო კრებაზე სხვადასხვა ფერის ცხრა ჩამოძონძილი ბალღი მომისიეს, ჩამომეკიდნენ ეს ბავშვები ფეხებზე და მორთეს ჩხავილი – „მამა, მამაო!“

დავთმე! დროშა დავუშვი და იარაღი დავყარე. აღმოჩნდა, რომ საარჩევნო კამპანიის ჩატარება ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა. დავჯექი და დავწერე, – ჩემს კანდიდატურას ვხსნი-მეთქი, და ხელი მოვაწერე:

„პატივისცემით თქვენი ოდესღაც პატიოსანი, ამჯერად კი შ.ფ., მ.ქ., ს.შ., გ.ლ., ბ.გ. და ს.ყ.

მარკ ტვენი“.

თარგმნა

ვახტანგ ჭელიძემ

ლაშა გვასალია

დონ კიხოტი და ზვიად გამსახურდია...



დონ კიხოტ(ე) იმიტომაცაა გენიალური პერსონაჟი, რომ ის გაშარჟებული მაცხოვარია! ყველასგან განსხვავებული, სიკეთითა და სიყვარულით აღვსილი ძე-ხორციელი, რომელიც ადამიანებისგან განსხვავებულად და აბსოლუტურად სხვანაირად ხედავს და აღიქვამს სამყაროს, იმ ირგვლივეთს, რომელშიც უხდება არსებობა და იბრძვის სიკეთის დასამკვიდრებლად. ის ყველას თვალში არანორმალური და დასაცინი ადამიანია, რომელიც გიჟური გამოხტომებით იბრძვის რეალური, არსებული ცხოვრების წინააღმდეგ, რის გამოც ისჯება და ჯვარს ეცვება ქრისტეს დარად...

მძიმეა მისი ჯვარი, რეალურ და ირეალურ სამყაროში თვითმყოფადი ფიქრებითა და ზრახვებით გამოჭედილი. დონ კიხოტე თავად ქმნის თავისივე ჯვარს და ამის გამოა ის მრავალთათვის გიჟი და მიუღებელიც...

რომ იკითხო, აბსოლუტური უმრავლესობა ასე იტყვის, მაგრამ იმაზე კრინტს ვერავინ დასძრავს, თუ რატომაა ის უპირველესი რომანის უსაოცრესი გმირი...

დონ კიხოტე ლამანჩელი – ფუნდუკის სასახლედ, ქარის წისქვილების დევგმირებად წარმომდგენი რაინდი. ვისაც მუზარადიც კი მრთელი არ ახურავს, რადგან ქვედა ნაწილი, ანუ – ზარადი მუყაოსგან აქვს დამზადებული. ბევრი რამეა საყურადღებო და ხაზგასასმელი ამ გმირისა და რომანის გარშემო.

დონ კიხოტეს ჰგავს ჩემი წარმოსახვით ზვიად გამსახურდია. აბა, რამდენ ადამიანს სჯეროდა მისი იდეების რეალურად განხორციელებისა, საქართველოს საბჭოთა სივრციდან გამოხსნისა, თავისუფლების მოპოვებისა?!

მას გიჟად, ავადმყოფად, შეურაცხადად, სამარცხვინოდ და ვინ იცის კიდევ რად არ მოიხსენიებდნენ. ებრძოდნენ, ლანძღავდნენ, აგინებდნენ... ის მაინც წინ მიიწევდა შუბლაღმართული და ბიბლიამომარჯვებული, სჯეროდა იდეის გამარჯვებისა და გაიმარჯვა კიდეც. მასაც მესიად მოიხსენიებდნენ და ასეც იყო, ისიც უფლის პერსონაჟი გახლდათ რეალურ ცხოვრებაში.

პირველ წიგნში ლამანჩელი რაინდი გმირობების ჩადენასთან ერთად მუდმივ ტაჯვა- წამებასა და განსაცდელშია. მას აბუჩად იგდებენ, ამცირებენ, „საღადაო“ პერსონაჟად აღიქვამენ და სიცოცხლეს უმწარებენ... აი, მეორე წიგნში სიტუაცია იცვლება, უკვე თავად სერვანტესი ხედავს, რომ სხვათა საქილიკოდ და გასაშარჟებლად გამოძერწილ გმირში უფლის სახე გამოიკვეთა, რადგან ის ყველაზე კეთილი და უშურველი ადამიანია დედამიწაზე. ასეთი კი მაცხოვარია მხოლოდ.

პირველი წიგნი „დონ კიხოტ ლამანჩელის თავგადასავალი“ იმდენად დიდი და საინტერესო გამოვიდა, რომ მეორე წიგნის, ანუ გაგრძელების დაწერა ვიღაც სხვამ მოინდომა და შეთხზა კიდეც რაღაცები, რაც საფუძველი გახდა ნამდვილი „დონ კიხოტეს“ მე-2 ნაწილის შექმნისა, სადაც აბსოლუტურად სხვანაირ რაინდთან გვაქვს საქმე. ესეც უდავოდ უფლის ხელწერაა.

ზვიად გამსახურდიას „პირველი წიგნი“ – მთელი მისი ცხოვრებაა, ტანჯვითა და წამებით აღსავსე ღვაწება ქვეყნის დასახსნელად. სამშობლოს გადასარჩენად... დაბადებიდან სიკვდილამდე, ანუ ჯვარცმამდე... აი, „მეორე წიგნის“ დაწერაც მოისურვეს ვიღაცებმა, აყალბებენ ისტორიას, სახელმწიფოებრივად უმნიშ-

ვნელოვანეს მოვლენებს, მაგრამ პირუთვნელია ისტორიული კალამი ღმერთისა, რომელიც ჭეშმარიტებაზე დაყრდნობით მოგვინაგრებს მართალ მატიანეს!..

ვიცით მეორე წიგნი ლამანჩელი რაინდისა...

ნეტავ როგორი იქნება „მეორე ტომი“ ქართველთა გმირისა და რაინდისა...

„სანჩო პანსებზე“ არაფერი გვითქვამს, იმედია, მომავალში გვექნება საშუალება ამისა, როდესაც ფართოდ ვისაუბრებთ ფერხორციან, გუბერნატორობას დანატრებულ საჭურველთმტვირთველებზე, რომლებსაც ბოლომდე არც სჯეროდათ თავიანთი რაინდებისა, მაგრამ მაინც მიდიოდნენ, ბრმად თუ ნახევრად თვალებგახელილები, „რწმენით“ იმისა, რომ „რაღაცა მაინც იქნებოდა“... იმ „რაღაცაზე“ კი უმრავლესობამ არა უწყოდა რა!..

ლამანჩელმა შექმნა, გამოიგონა ძვალი და ტყავი, მხოლოდ სული – თავისი უმთავრესი, უპირველესი სიყვარული – დულსინეა ტობოსელი და ზვიად გამსახურდიამაც – თავისი უსაყვარლესი – ივერია!.. ორივეს აქცენტი სულზე ჰქონდა გაკეთებული...

ერთ რამეში კი ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს – რაინდები იყვნენ სისხლით ხორცამდე. ერთიც უბრალო მეფუნდუკემ „აკურთხა“ და მეორეც უბრალო ხალხმა ამოიკვეთა გულის ფიცარზე!.. თანაც, რაინდის მოვალეობა ხომ მხოლოდ ხალხზე ზრუნვა და საგმირო საქმეების ჩადენაა... პირადულზე და მატერიალურზე ფიქრი გამორიცხულია...

დონ კიხოტე ლამანჩელი როსინანტზე ამხედრებული, საგმირო საქმეების ჩასადენად ველად გაჭრილი, საცვლების ამარა და გროშების გარეშე რჩება რეალობის წინაშე, ანუ ფუნდუკში ლუკმის გასატეხად შესულს, ერთი გროშიც არ აღმოაჩნდება...

ზვიად გამსახურდია, პუტჩისტებსა და ხუნტისტებს ძლივძლივობით თავდაღწეული, სომხეთში თავის ამალასთან ერთად, ჯიბეცარიელი და მშიერი ეჩეხება რეალობას... თურმე არსებობისთვის ესეც საჭირო და აუცილებელია!..

სიკვდილშიც ერთმანეთს ჰგვანან რაინდები და გმირკაცები... ისინი კვდებიან, მაგრამ მაინც ცოცხლობენ, მაინც გრძელდებიან, უკვდავდებიან, როგორც დონ კიხოტე და ზვიად გამსახურდია...

როგოგორც პრომეთე და ამირანი...

როგორც უფალი და სიყვარული...

ეს უცილოდ გარდაუვალი ჭეშმარიტებაა!..

ჯემალ შონია

პირშავად ხვდებიან!

(ციკლიდან „ენგურისპირული ფიქრები“)

2019 წლის 31 მარტს სრულდება 80 წელი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან!

ორ თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი ამ თარიღიდან, მაგრამ ჯერჯერობით ჩამიჩუმი არ ისმის სახელისუფლებო კაბინეტებიდან, თუ როგორ აპირებენ ამ იუბილეს აღნიშვნას...

ალბათ თვალის ასახვევად ჩაატარებენ რაიმე ღონისძიებას და მერე ისევ მიუბრუნდებიან ალალბედზე ქვეყნის მართვას... ხალხის თვალის ასახვევად და არა ვალის მოსახდელად, რადგან ზვიად გამსახურდიას, ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს წინაშე იმდენ ვალში არიან, რომ ერთი ღონისძიებითა და ყასიდად თქმული დითირამბებით ვერ გამოისყიდიან...

პირველი: არა აქვს მიცემული სამართლებრივი შეფასება 1991-1992 წლების შეიარაღებულ-კრიმინალურ პუტჩს და დღემდე დაუსჯელები არიან კანონიერი ხელისუფლების დამამხობლები;

მეორე: 26 წლის შემდეგაც არ არის გამოძიებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე, რადგან პუტჩის შემდეგ მოსულ არცერთ ხელისუფლებას არ აღმოაჩნდა საამისო პოლიტიკური ნება;

მესამე: კვლავაც გრძელდება იმდროინდელი მოვლენების მიზანმიმართული გაყალბება ეროვნული ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით;

მეოთხე: მიჩქმალულია ეროვნული იდეა და ეროვნული პროგრამა, შემუშავებული ზვიად გამსახურდიას მიერ ქართველი ხალხის ნება-სურვილისა და ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით, რომლის განხორციელება დამოუკიდებელი საქართველოს შემდგომი განვითარების ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენდა...

ამ და სხვა მიზეზთა გამო ქვეყანაში გამეფებულია უიდეობა, ურწმუნოება, ეგოიზმი, ცრუ დემოკრატია, ცრუ სამართალი, შეუწყნარებლობა, სიძულვილი, დათრგუნულია მოქალაქის ღირსება, სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა, არ არის ეროვნული თანხმობა; არასტაბილურობის, სამუშაო ადგილების არარსებობის გამო სულ უფრო მეტი ქართველი გარბის საქართველოდან, ცარიელდება სოფლები, საგანგაშოა დემოგრაფია...

ზვიად გამსახურდიას ბევრჯერ უთქვამს ოპონენტებისათვის: რამდენიც გინდათ, მე მლანძღეთ, ოღონდ საქართველოს თავი დაანებეთო... თქვენ კი, ხელისუფალნო, საქართველო პირადი გამდიდრების საშუალებად გაიხადეთ, ის ქვეყანა, რომელსაც ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე შესწირა... თქვენ მოხმარების საგნად აქციეთ ის წმინდა იდეალები, რომლებსაც ზვიად გამსახურდია ხალხის საკეთილდღეოდ ამკვიდრებდა... თქვენ ტყუილებსა და შერჩევით სამართალზე ააგეთ მთელი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ზვიად გამსახურდიასათვის ზნეობრივი და სუფთა იყო...

ასე რომ, ამ საიუბილეოდ პირშავად ხართ არა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას, არამედ ყველა თავდადებული მამულიშვილის, ქვეყნის მთელი წარსულის, მისი დღევანდელობის და მომავლის წინაშე...

22.I.2019 წ.

მურმან ზაქარაია

პრეზიდენტის ინსტიტუტი – სახალხო ლეგიტიმაციით!

წინა წერილებში წამოჭრილი და განხილული საკითხები, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობის ფუძემდებლური აქტების როლისა და მნიშვნელობის თაობაზე, თავის ლოგიკურ გაგრძელებას მოითხოვს სახელმწიფო მმართველობის პირამიდის კონსტრუირების თვალსაზრისით.

მაგრამ სანამ ამ პრობლემის განხილვას დავიწყებდეთ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გადაუდებელი ამოცანაა წინა წერილში ისტორიულ-სამართლებრივი ასპექტით განხილული საკითხის – 1918 წლის 26 მაისის, დამოუკიდებლობის აქტის მიღების თარიღის, **საქართველოს განთავისუფლების (თავისუფლების) დღედ დადგენის,** ხოლო 1991 წლის 9 აპრილის, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტის მიღების დღის, **თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მთავარ დღესასწაულად** (სახელმწიფო დღესასწაული) **გამოცხადება** (კონსტიტუციურად) და მათთვის კუთვნილი ადგილის მინიჭება საერთაშორისო მასშტაბით, როგორც ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ატრიბუტისა.

ჩვენს სინამდვილეში, დამოკიდებელი სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირებისთვის ასევე **ატრიბუტული მნიშვნელობის საკითხია** სრულფასოვანი, პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობა. სხვა ყველაფერი განზე რომ გადავდოთ, ისეთი პატარა და დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნისთვის, როგორიც ჩვენია, რომელიც გარს მოჯარული მტრების შემოტევის შიშით ირხევა, როგორც ლერწამი, მისი არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ჩვენთვის ისტორიულად ცნობილია ასეთი რხევისგან თავის დაცვის გზა: „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლისა, ჭირისა მოთმინებებით“. შესაბამისად, დღევანდელ ურთულეს, პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმებით აღსავსე ვითარებაში, დაუყოვნებლივაა მოსაგვარებელი პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით არჩევისა და მისთვის სრულფასოვანი სახალხო ლეგიტიმაციის მინიჭების ნაძალადევად შექმნილი პრობლემა.

ეს საკითხი დიდი ხნით უნდა გადაწყდეს. ამაზე უარის თქმა ნიშნავს ჩვენი მოსისხლე მტრისთვის, თუნდაც ბევრი სათუო მოყვრისათვის, კარის ღიად დატოვებას. ამიტომ აუცილებელია, სანამ დროა, შეჩერდეს ის უგუნური ცვლილებები, რომლებიც შეტანილ იქნა ე.წ. ახალ კონსტიტუციაში.

ეს უგუნური მიდგომა სახალხო ლეგიტიმაციისადმი „მძლავრობასა ქვეშე დამონებულ(თა) და ნაკლოვანებითა და სიგლახაკითა შეკრულთა“ მხრიდან არ ახალია, ის სათავეს იღებს რუსეთის იმპერიის უღლისგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის გარიჟრაჟიდან და აღორძინდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის კვალობაზე, იმ ბანაკში, რომლის ნაწილი, „დამონებული“ და „სიგლახაკითა შეკრული“, ეწინააღმდეგებოდა ამ თავგნწირულ გამათავსუფლებელ ბრძოლას და რუსეთის გადემოკრატებისა და კეთილი ნების გამოჩენისთვის მოცდას გვირჩევდა.

მოწინააღმდეგეთა მეორე ჯგუფი – ფსევდოპარტიებთან და „ხელმოცარულ პოლიტიკოსებთან შეკრული მაფიოზურ-კრიმინალური ბანდების“ (ზ.გ.) დაჯგუფებები, რომელთა მიზანი იყო ქაოსისა და ანარქიის შენარჩუნება, „უმაღლესი ხარისხის“ დემოკრატიული საზოგადოების აშენების მამარდაშვილისეულ ფსევდოლოზუნგს ამოფარებულნი, ძარცვავდნენ ქვეყანას. პასუხისმგებლიანი საპრეზიდენტო მმართველობის (დემოკრატიული რესპუბლიკის) წინააღმდეგ ყოველგვარი ხერხებით ბრძოლა მათ ამ მძარცველურ ბუნებას შეესაბამებოდა, რომელთანაც ზედმიწევნით თავსდებოდა საბჭოური კორუფციული ნომენკლატურის როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ინტერესები.[1]

ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ პრეზიდენტის ლეგიტიმურ ინსტიტუტზე უარის თქმა არასდროს ყოფილა სახელმწიფო ინტერესებით

[1] ისტორიული კონტექსტით, ეს იყო გადამღერება სოცდემების ინტერნაციონალური, ევროპის დემოკრატიისთვისაც სამაგალითო საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების აშენების ილუზორული ლოზუნგისა. მაშინაც ამ ლოზუნგის საბურველქვეშ პატარ-პატარა კლანური ჯგუფები ძარცვავდნენ ეროვნულ სიმდიდრეს, რაც იყო ერთ-ერთი მიზეზი პირველი რესპუბლიკის დაცემისა.

ნაკარნახევი. ეს, მაშინაც და დღესაც, ან პოლიტიკურ-სამართლებრივი უვიცობის მიზეზით ან კიდევ, მიზანმიმართულად, საკუთარი, პირადი თუ ჯგუფური მიზნების ან კიდევ ხარბი ამბიციურობისა და თავხედობის დასაკმაყოფილებლად ხდება[2].

* * *

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ სიტუაციაში, რომელშიც იმყოფება დღეს ჩვენი სახელმწიფოებრიობა (ალბათ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდისთვისაც), ყოვლად დაუშვებელია მმართველობითი სტრუქტურის ფორმირება ე.წ. კლასიკური მოდუსით. ე.ი. აკადემიური პოლიტიკური თეორიებისა და ენციკლოპედიური განსაზღვრების მოშველიებით. უფრო სწორად, მათი სოფისტიკით, როცა ამ კლასიკურ თეორიებს იყენებენ თავიანთი ვიწრო პარტიული, კიდევ უარესი, როგორც ითქვა, პირადი თუ კორპორაციული მიზნების დასაკმაყოფილებლად.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საკითხის დაყენება და მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს „განსაკუთრებული“ ქართულ სინამდვილიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, უპირველესად გასათვალისწინებელია მსოფლიოში უსასტიკეს ბოროტების იმპერიასთან პერმანენტულ ომში ყოფნა, მოსისხლე მტრის მიერ მიტაცებული (ოკუპირებული) და თითქმის სრულად ანექსირებული ტერიტორიების განთავისუფლებისა და ნახევარმილიონიანი დევნილი მოსახლეობის თავის მამულში დაბრუნებისა და რეაბილიტირების უალტერნატივობის პრობლემა, რომლის უპირველესი გარანტი უნდა იყოს სახალხოდ (არანაკლებ 51%-იანი ბარიერით ნდობამინიჭებული) არჩეული პრეზიდენტი.

ჩვენ წინა წერილებში გაკვრით შევეხეთ სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის კიდევ ერთ, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან თავისებურებას, რომ ჩვენი სტრატეგიული და რეალ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საპრეზიდენტო არჩევნები იმავდროულად უნდა ატარებდეს რეფერენდუმის ფუნქციას, რომლითაც პერმანენტულად დადასტურდებოდა საქართველოს მოსახლეობის ურყევი ნება და ერთგულება იმ პირველი – 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის გადაწყვეტილებისადმი, შესაბამისად, დადასტურება საზოგადოებრივი ნებისა თავისუფალი, დამოუკიდებელი, სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობაზე – რესპუბლიკური მმართველობით. ამას მოითხოვს არა მარტო ზემოთ მითითებული საგარეო სტრატეგიული პოლიტიკური კონტექსტი, არამედ ჩვენი ნელა განვითარებადი შიდასოციალური პარამეტრები.

იმპერიის უღლისგან განთავისუფლებული ხალხის ეგზისტენცია დარღვეულია პუტჩისტური ალიანსის ძალადობის შედეგად[3], მმართველი ელიტის ირგვლივ შეკოწიწებული „წითელი ინტელიგენციის“ ნაშთები და კრიმინალურ-მევახშური კაპიტალი აყალიბებენ ამ ფსევდოსოციუმს, რომელიც არა მარტო არ მიესადაგება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკურ და დემოკრატიულ მმართველობით სისტემას, არამედ ძირშივე სპობს ასეთი წყობილებისთვის დამახასიათებელი სოციალური ფენების ნორმალურად ფორმირების ყოველგვარ შესაძლებლობას. მათ ნაცვლად იქმნება ფსევდოსოციუმი ფსევდოდემოკრატიული სისტემით, რომლის ბაზაზეც ყალიბდება კრიმინალური ოლიგარქიზმი. მის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს თავისი კანონგარეშე საქმიანობისა და არსებობის სახელმწიფოებრივად შეფუთვა. ამ გზით ხდება დემოკრატიზმთან ბრძოლაში დაცემული საბჭოეთის ვრცელ სივრცეში **მაროდიორობით ნაშოვნი** შავი კაპიტალის გათეთრება.

ამ ბაზისზე შენდება ფსევდოსოციუმის შესაბამისი ფსევდოპოლიტიკური, ყაჩაღური სისტემის ფორმირება, რომელსაც ჯერ შევარდნაძისეული დემოკრატიით ფუთავდნენ, შემდეგ ნაცრეჟიმად, დღეს კი შელამაზებულად „არაფორმალური მმართველობა“ უწოდეს.[4]

[2] ხშირ შემთხვევაში ყოველივე ეს სახელმწიფო ინტერესების ღალატად იქცევა და მას ეწირება ქვეყანა. ასე იყო 1921 წელს და იგივე გამეორდა 1991/92 წლების მიჯნაზე.

[3] ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ სახალხო რევოლუცია და ბოლო პერიოდში ნაცრეჟიმის ფორმირება.

[4] წინა წერილში განხილულ საკითხებთან ერთად აქ გამოთქმული მოსაზრების დადასტურებად უნდა მივიღოთ წერილის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც რამდენიმე დღეში ამტყდარი ალიაქოთი 1989 წ. 9 აპრილის ირგვლივ, რასაც „მეჩითოვის სინდრომს“ ვუწოდებდი და რომელიც სინამდვილეში იყო გამართლება რუსული (საბჭოური) მაროდიორიზმისა.

ამ სისტემისთვის უფრო ადეკვატური სახელდება ისევ ევროპიდან მოგვაწოდეს: „სახელმწიფოს მიტაცების“ მცდელობაო. დიახ, კონტრრევოლუციის გამარჯვების პირველი საათებიდანვე ხდება სახელმწიფოს თანდათანობით მიტაცება რეაბილიტირებული კრიმინალური ბანდების და „მაროდიორული ბურჟუაზიის“ მიერ, ეს კი უფრო საშიშია, ვიდრე პოსტრევოლუციური ნაცრეჟიმი. ასეთ ვითარებაში, ერთადერთი გზა რეალური სახალხო მმართველობის თუნდაც სუსტი ფორმის შენარჩუნებისა არის ის, რომ პერმანენტულად, არა უგვიანეს 4-წლიანი ვადისა (ძირითადად მიღებული) უნდა ხდებოდეს ხალხის ნების საყოველთაო არჩევნების გზით დაფიქსირება, რათა გარეშე მტრებმა და შიდა მაროდიორულ-კრიმინალურმა არაფორმალურმა მმართველობამ სრულად არ „წარგვტაცონ სახელმწიფოებრიობა“.

იქნებ ვინმეს ეჭვი ეპარება გარეშე მტრის – რუსული იმპერიალიზმის შესაძლო კავშირთან ადგილობრივ მმართველობასთან, ისინი მწარედ ცდებიან, ასეთი კავშირი ვინმეს ნება-სურვილით კი არ იქმნება, არამედ ფსევდოისტორიული მოთხოვნილებით არის განპირობებული, ვინაიდან რუსული იმპერიალისტური კაპიტალიზმი და მისი ტოტალისტური მმართველობა საბჭოური სოციალიზმის მძორითაა გამოკვებილი. ასევე იმავე მძორით იკვებებოდა პუტჩისტურ-შევარდნაძისტული ფსევდოდემოკრატიული სოციუმი და მისი მმართველობა, რომლის გაუარესებული ვარიანტი გვაქვს დღეს.

ამ რეალობიდან გამომდინარე, ჩვენს სინამდვილეში პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო. აქ სრულყოფილად ვერ იმუშავებს საპრეზიდენტო მოწყობის შეზღუდული ფორმა. ამისთვის, როგორც ითქვა, არც საგარეო და არც შიდასაზოგადოებრივი პირობებია მომწიფებული.

* * *

ე.წ. საპარლამენტო მოწყობის კლასიკური ფორმა, რომლის ირგვლივ დავა-კამათი რუსული კოლონიალიზმის უღლიდან განთავისუფლების დროიდან მიმდინარეობს, დღეს სოფისტიკური აბლაბუდითაა შემოგარსული, მმართველობის ამ ფორმაზე გადასვლა თითქოსდა სახალხო განხილვის გზით (უსირცხვილობის აპოგეა), შეტანილ იქნა ე.წ. „კონსტიტუციური ცვლილებების“ ნუსხაში და „გაიტანეს“ პარლამენტში. ეს სრული პოლიტიკური სიყეყეჩეა.

სიყეყეჩეა იმდენად, რამდენადაც ქვეყანაში, სადაც არა მარტო პარტიები (მისი კლასიკური გაგებით), არამედ თუნდაც დემოკრატიული წყობისთვის დამახასიათებელ ფორმასთან მიახლოებული სოციალური ფენებია ფორმირებული და ყველაფერს (ეკონომიკას, პოლიტიკას, სოციალურ მოწყობას, კულტურას, რელიგიასაც კი) წარმართავენ ფსევდოსოციუმები (კლანურ-ჯგუფური წარმონაქმნები) თავიანთი მაროდიორული წარსულით, ასეთ სიტუაციაში წმინდა საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლის საკითხის დაყენებაც კი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისთვის წირვის გამოყვანის ტოლფასია. სანამ საქართველოს არ ჩაუცვამს მყარი დამცველი ჟილეტი და თავი ოდნავ მაინც დამშვიდებულად არ უგრძნია მისთვის დამიზნული ბოროტების იმპერიის ტყვიებისგან – ამის გაკეთება ღალატია.

საკუთრივ, ამ რუსულ-შოვინისტურ ბოროტებაზე არაფერიც რომ არ ვთქვათ, ყველა მეტნაკლებად ძლიერი ქვეყნები, მძლავრი ოფიციალური ეკონომიკური ფორმირებები, მსოფლიოს ჩრდილოვანი ეკონომიკის მონაწილე რომელიც გინდა მაფიოკარტერი თუ ნარკომაგნატი, დაინტერესების შემთხვევაში შეძლებდა სამთავრობო კრიზისის გამოწვევას და აიძულებდა მათივე წრიდან გამოსულ არაფორმალურ მმართველს თუ ოლიგარქიულ ჯგუფს, მოეხდინა მათთვის სასურველი ცვლილება ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. **მათ ამისთვის არ დასჭირდებოდათ სახალხოდ არჩეული და ლეგიტიმაციის მქონე პიროვნების თითქმის დაუძლეველი ბარიერის დაძლევა**. ამისთვის თავის დროზე დიდი ძალისხმევის დახარჯვა დასჭირდათ არა მარტო რუსეთის იმპერიას და მათ ადგილობრივ დამქაშებს, არამედ თვით დიდ დემოკრატიულ ქვეყნებსაც, რომლებსაც სამუდამო ლაქად აქვთ მოცხობილი 1991/92 წლების მიჯნის სახელმწიფო გადატრიალება.

ამდენად, ცვლილებებშეტანილი კონსტიტუციით დაფიქსირებული ფორმა მმართველობისა, უკეთეს შემთხვევაში, ოდენ კლსიკური ფორ-

მებით გატაცებისა და უსისხლხორცო მიმბაძველობის ნიმუშად შეიძლება მივიღოთ, ვიდრე ჩვენი ქვეყნის რეალ-ისტორიული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ფაქტად (რაც უფრო სარწმუნოა). ის განპირობებულია ფსევდოსოციუმისა და მისი წარმმართველი კრიმინალურ-მაროდიორულ, ე.წ. ოლიგარქიული კლანების ინტერესებით, რათა ასეთი უსისხლხორცო, სუსტი მმართველობის პირობებში გარედან მართონ ქვეყანა. ამის უდავო დადასტურებაა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის მთელი შემდგომი პერიოდი: სახელმწიფო გადატრიალების (ნომენკლატურულ-კრიმინალური პუტჩის) მშვიდობიანი რევოლუციისა და ასევე მშვიდობიანი კონტრრევოლუციის ურთულესი გზის გამოვლა.

დამოუკიდებლობის აღდგენისა და საერთაშორისო პოლიტიკურ-სამართლებრივი ნორმების სრული დაცვით პრეზიდენტის არჩევის და საპრეზიდენტო რესპუბლიკის მეშვეობით დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებისთვის (ხალხის სრული მზაობის ნების გამოხატვის) შემდეგ, რევანშისტთა ხელში საპარლამენტო მოწყობის ყურით მოთრეული საკითხი პუტჩისტური ალიანსის ლოზუნგად და საბჭოური ნომენკლატურულ-კრიმინალური გადატრიალების წინ წამძღვარებულ დროშად იქცა.

საპრეზიდენტო მმართველობა, რომელიც ხალხმა დემოკრატიული სისტემის დამკვიდრების გარანტად მიიღო და ძალზე სწორადაც, პრეზიდენტი – დემოკრატიის ყველაზე გულმხურვალე დამცველი – დიქტატორად გამოაცხადეს და, პირიქით, ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი უმაღლესი წარმომადგენელი (ცკ-ის მდივანი და საგარეო საქმეთა მინისტრი) – დემოკრატიის შუქურად და საპრეზიდენტო მმართველობის ბრძოლა გაუჩაღეს.

ამდენად, მმართველობის „საპარლამენტო მოდელზე“ გადასვლა და საპრეზიდენტო ინსტიტუტის ისეთი ფორმით მოწყობა, როგორადაც ის ამ ქოცურად „შერემონტებულ“ ე.წ. „ახალ კონსტიტუციაშია“ დაფიქსირებული, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არა მარტო უვიცობაა, არამედ, ფაქტობრივად, დამოუკდებელ სახელმწიფოებრიობაზე უარის თქმაა.

ამ ე.წ. სისტემის ამოქმედების შემდეგ დამოუკიდებელი, სრულფასოვნად ფუნქციონირებადი სახელმწიფოს ნაცვლად ხელში შეგვრჩება არა მარტო ბოროტების იმპერიისა და დიდი სახელმწიფოებისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომი მარიონეტული ქვეყანა (მას პირობითად თუ უწოდებდი სახელმწიფოს), არამედ ყველა დონის ფინანსურ-ოლიგარქიული ჯგუფებისა და კრიმინალური და ნარკომაგნატების ხელში სათამაშოდ ქცეული „ფსევდო-სახელმწიფო“ და „ფსევდომთავრობა“, იმაზე უარესი, რაც პოსტპუტჩისტური ათწლეულის განმავლობაში გვყავდა.

იმ შემთხვევაში უკანონოდ, მაგრამ მაინც, ფაქტობრივად არსებობდა „ხალხის მიერ არჩეული“ პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც ავტომატურად არ იძლეოდა საშუალებას, ყველა ვიგინდარას თავის გემოზე ეცვალა ხელისუფლება (მთავრობა). სწორედ ამ ინსტიტუტის არსებობა (თავისთავად), ამ შემთხვევაში არაფერს ვამბობთ დევნილობაში მყოფი კანონიერი ხელისუფლების როლზე, არ აძლევდა საშუალებას ჯერ სსრკ-ს და მერე მის მემკვიდრე რუსეთის იმპერიას, მათ მიერ ხელისუფლებასა და განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებში დასმული უმაღლესი ძალაუფლების პირების მეშვეობით განეხორციელებინათ **დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლური აქტების დეზავუირება**.

ამჯერად, თუკი ასეთი სახალხო ლეგიტიმაციის გარეშე დარჩება სახელმწიფო, მაშინ შიდაკორუფციული და პროიმპერიულ-ანტიდასავლური ძალებისა და რუსული „რბილი ძალის“ ზემოქმედებით, დასავლეთის ყურადღების მოდუნების შემთხვევაში (რაც დღესაც აშკარად ჩანს) ის თვითონ მოჭამს თავის თავს (ეს პროცესიც აშაკარად შესამჩნევია, მას ისევ და ისევ აკავებს თუნდაც ძალზე სუსტი, მაგრამ მაინც სახალხო ლეგიტიმაციით ზურგმომაგრებული საპრეზიდენტო ინსტიტუტი).

ამიტომ, არა მარტო დღევანდელ პირობებში, როცა დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან პერმანენტულ ომში ვიმყოფებით იმპერიასთან, არამედ მის შემდეგაც, სანამ იარსებებს საშიშროება რაღაცნაირი ექსპანსიისა, ჩვენი

თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის გარანტად არ იქცევა რომელიმე საერთაშორისო თავდაცვითი დემოკრატიული სტრუქტურა, სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტზე უარის თქმა დაუშვებელია – ეს საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდაპოლიტიკური პროცესების დალაგება. უპირველეს ყოვლისა, გარდაუვლად აუცილებელია პუტჩისტური სახელმწიფო გადატრიალების შედეგების ლიკვიდირება მისი სოციალურ-პოლიტიკური გამოვლინების ყველა მიმართულებით.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის, რომ საქართველოში სოციალური ფენებისა და ჯგუფების (არაფერი რომ არ ვთქვათ კლასებზე) ერთიანობა არ არსებობს. ის ჩანაცვლებულია პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული ფსევდოსოციუმით, რომელიც სოციალ-პოლიტიკურ წინააღმდეგობათა წამოჭრის ყველა ეტაპზე ფერს იცვლის, ხოლო შინაგანად იგივე რჩება – ანტისოციალური ნახევრადკრიმინალურ კორუმპირებულ დაჯგუფებად. ის მზადაა მიეყიდოს ყველა ჯურის ანტიძალას ოღონდაც მისგან გამორჩენა მიიღოს.

ეს ანტისოციუმი ქმნის იმ ღრმა პოლიტიკურ ჭაობს, რომლიდანაც ამოყვინთავენ ხოლმე სხვადასხვა შეფერილობის დრაკონები და გველეშაპები, რომლებიც ნაციონალური ინტერესების საზიანოდ ქმნიან მუდმივ სამთავრობო ქაოსსა და პოლიტიკურ არასტაბილურობას. ისინი კეტავენ ეროვნული სულიერების ანკარა წყაროსთავს.

ამდენად, სანამ ფსევდოსოციუმის ადგილს არ დაიკავებენ დემოკრატიული სისტემისთვის დამახასიათებელი სოციალური ფენები შესაბამისი პოლიტიკური პარტიებითა და სამოქალაქო ორგანიზაციებით, ე.წ. წმინდა სახის საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა, მით უმეტეს, საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარებისა და ხალხის ნების დაზუსტების გარეშე, არა მარტო პოლიტიკური სიყეყეჩეა, არამედ სახელმწიფო ინტერესების ღალატი. ის, რაც ამ ე.წ. „ახალ კონსტიტუციაში“ დაფიქსირდა, მხოლოდ რუსეთის იმპერიასა და მის საოკუპაციო ძალებს შეიძლება აწყობდეთ, ვინაიდან ყოველგვარ სოციალურ და საზოგადოებრივ საფუძველს მოწყვეტილი ასეთი სისტემა, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე უარის თქმის ტოლფასია.

* * *

სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობის საკითხის ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ჩვენ შევეცდებით საკითხის უფრო კონკრეტულად განხილვას როგორც ისტორიულ კონტექსტში, ასევე ჩვენი თანამედროვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შიდასოციალურ-პოლიტიკურ და საერთაშორისო-სამართლებრივ მოთხოვნათა თვალთახედვიდან. ამის აუცილებლობა იმიტომ დადგა ჩვენ წინაშე, რომ, როგორც ზემოთაც ითქვა, პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნებით არჩევაზე უარის თქმა ნიშნავს ჩვენი დაუძინებელი მტრისთვის თუ მტრებისთვის ღია კარების დატოვებას, რომელშიც, როცა უნდა, მაშინ შემოალაჯებს და გამოაპანღურებს იქ მისივე ძალისხმევითა და მიმსგავსებით შექმნილი სოციუმის მიერ წამოსკუპებულ პრემიერ-მინისტრს და მის კაბინეტს.

ვინმეს გადაჭარბებულად თუ ეჩვენება ჩვენი ეს მოსაზრება, მათ ვურჩევ გაიხსენონ ჩვენი პოსტპუტჩისტური წარსული; გაიხსენონ ის, თუ ვინ სვამდა და ათავისუფლებდა ყველა ძალოვან მინისტრს, ვინ წარმართავდა ომის მიმდინარეობას აფხაზეთსა და ჩრდილო შიდა ქართლში და ა.შ. და ა.შ. რევოლუციამდე სულის მიტანა კიდევ იმით შევძელით, როგორც ითქვა, რომ, მართალია, უკანონოდ, მაგრამ მაინც, საერთაშორისო არენაზე ედუარდ შევარდნაძეს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის სახელი ჰქონდა დაგდებული[5].

* * *

დისკუსია პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების თუ არშემოღების გარშემო საქართველოს რუსეთის კოლონიალური უღლისგან

[5] რომ არა ეს, მაშინ, როცა მასზე და მის „დემოკრატ“ თანამებრძოლებზე მოსკოვში სისხლის სამართლის საქმე წამოიწყეს, დასავლეთთან ურთიერთობის გამო გაბრაზებული რუსები მას ყურებით ჩამოკიდებდნენ.

განთავისუფლების დღიდან – „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ მიღებიდან დაიწყო; ვინაიდან, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს სამეფო-სამთავროთა სრული ინკორპორაციის შემდეგ „დავიწყებული იყო ძველი სახელმწიფოებრივი ტრადიცია და ... ძირეულად შეიცვალა თავად საქართველო“ (მ.მაცაბერიძე, უზენაესი ბატონი ქვეყნისა, გვ. 63). მემკვიდრეობის ძიება ძველი, თუნდაც ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობის ბრწყინვალე ისტორიული პერიოდების მაგალითზე შეუძლებელი იყო. ისინი მხოლოდ დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს სახით არსებობის უფლების გენეტიკურად შესისხლხორცებული მეხსიერების დადასტურების საშუალებად თუ გამოდგებოდა. რეალურად არც არავის ახსოვდა საუკუნეების წინ მოშლილი ცენტრალიზებული სამეფო-დინასტიური მმართველობა.

ამ ეტაპზე, როგორც ზემოთ დასახელებული შრომის ავტორი მიუთითებს, „საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ძალები დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობას თავიანთი პარტიული დოქტრინებიდან გამომდინარე აპირებდნენ. ამასთან, მაშინდელ საქართველოში, რიგი მიზეზების გამო, რევოლუციური და სოციალისტური განწყობა დომინირებდა“ (იქვე). ეს მომენტი არ უნდა დაგვავიწყდეს, როცა ვმსჯელობთ ე.წ. საპარლამენტო მმართველობის იდეის დაბადებაზე 100-კაციან „პარტიებად“ და ჯგუფებად დაქუცმაცებულ საზოგადოებაში, რომელნიც ცალი თვალით რუსეთისკენ იხედებოდნენ და დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში მხოლოდ თავიანთი მემარცხენე-რევოლუციური ინტერესების (რუსეთის იმპერიასთან კავშირის გზით) განხორციელების საშუალებად განიხილავდნენ. მათთვის დამახასიათებელი იყო და არის ეროვნული პრობლემებისადმი ნიჰილისტური მიდგომა. ეროვნული საკითხი მათთვის ოდენ ნიღაბია. აი, როგორ ახასიათებდა მათ ასეთ დამოკიდებულებას გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (26.I.1920 წ.): „არა ერთი და ორი პოლიტიკური მოღვაწეც გულწრფელად ივიწყებდნენ ისტორიულ უფლებას და ... დაუცხრომელ ლტოლვას ნაციონალური თვითაღდგენისადმი“.

პ.საყვარელიძის ამ მოსაზრების დადასტურებაა ესერი (სოციალისტ-რევოლუციონერი) ლ.შენგელიას აღიარება, რომ „თვით ჩვენ, ვინც ასე თავგამოდებით ვიცავთ საქართველოს დამოუკიდებლობას, რამდენიმე წლის წინად ვერ ვიმეტებდით საქართველოსთვის უბრალო ავტონომიას“. მემარცხენე ძალთა ამ შეხედულებებს აგვირგვინებს ამ საკითხებში ღრმად განსწავლული და ერუდირებული, მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს ლიდერი ნოე ჟორდანია.

1920 წლის ივნისში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-2 ყრილობაზე (რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე შვიდი-რვა თვით ადრე) ის აღნიშნავდა: პარტიის მოღვაწეობაში „უაღრესი როლი... ეჭირა და უჭირავს... სოციალურ პოლიტიკურ შეხედულებას, ხოლო ხელქვეითი როლი უჭირავს სხვა დანარჩენ შეხედულებას, მათ შორის **ნაციონალურსაც**“. მის ამ შეხედულებას ზედმიწევნით სწორ კომენტარს უკეთებს ნაშრომის ავტორი: ნოე ჟორდანიას ლოგიკით სოცდემებს საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა დაეცვათ არა იმის გამო, რომ ეს მათი სამშობლო და უპირველესი მოვალეობა იყო, არამედ იმიტომ, რომ ამის გარეშე ვერ მოხერხდებოდა პარტიის ინტერესების განხორციელება. მისივე თქმით: დამოუკიდებლობის ამ ეტაპზე ხდებოდა ეროვნული ინტერესებისკენ მიბრუნება, მაგრამ არა მისი უპირობოდ მიღება[6] (ეროვნული თვითიდენტობის საკითხი მისაღები რომ გაუხდება საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, მით უმეტეს, ახლადფეხადგმული სახელმწიფოს მმართველ ძალას – ეს ტრაგედიაა თავისთავად, რაც, საუბედუროდ, დღევანდელ ეტაპზე არანაკლებ გამოკვეთილად ჩანს, მაგრამ არა პარტიული იდეოლოგიის თვალსაზრისით, არამედ წმინდად შტრეიკბეხერული და კოლაბორაციონალისტური ინტერესებიდან გამომდინარე), არამედ მათი თანდათანობით შეთვისება თუ მათთან შეგუება. ყოველივე ეს ზეგავლენას ახდენდა სახელმწიფოს პოლიტიკაზე და განაპირობებდა სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა პარტიული თვალსაზრისის დომინირებას.

ამ მემარცხენე მიმდინარეობებში, რომელთა

[6] დასახ. ნაშრომი, გვ. 5-6.

ინტერესსაც შეადგენდა არა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მყარად ფეხზე დაყენება და ამ გზით ეროვნული თვითიდენტობისა და ჭეშმარიტად ქრისტიანულ-კოსმოპოლიტურ რაობაზე აგებული ხალხთა თანაარსებობის იდეის გატარება, არამედ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების გატანა თანასწორობის ყბადაღებულ ლოზუნგქვეშ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობაზე უარის თქმა იმ დონეზე, რომ ამ საკითხში საკმაოდ ერუდირებულ სოცდემების ბელადისთვისაც მიუღებელი იყო, რაც მან, როგორც ვნახავთ, ზემოთ ნახსენებ ყრილობაზეც დაადასტურა.

ამდენად, ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურულ-ფსიქოლოგიური მენტალიტეტისთვის ყოვლად შეუსაბამო, უკიდურესად უპასუხისმგებლო სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემისადმი მიდრეკილება ჩვენი თავისუფლების გარიჟრაჟზე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მმართველობითი მოწყობის ურთულეს პერიოდში, მემარცხენე, თითქმის ანტიეროვნულ ძალთა ბანაკში იღებს დასაბამს. კიდევ უფრო უარესი, ის ანტისახელმწიფოებრივი – პუტჩისტური ალიანსის სოციუმში ცოცხლდება. ამიტომ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შევეცდებით მკითხველი გავარკვიოთ ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისათვის ყოვლად მიუღებელი, ანტისახელმწიფოებრივი, ნაციონალური ინტერესებისთვის საზიანო (თუ არა დამღუპველი), უპასუხისმგებლო მმართველობითი სისტემის (უფრო უსისტემობის) თავზე მოხვევის პროცესების განვითარებაში.

* * *

პირველ რიგში, უნდა შევეხოთ მაშინ საყოველთაოდ გავრცელებულ იმპერიალისტურ იდეოლოგიას, რომელიც თანაბრად აიტაცეს როგორც ბურჟუაზიულ, ასევე სოციალისტურ წრეებში და საზოგადოების ფართო ფენებშიც. ამ თეორიის თანახმად, მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დონე განაპირობებდა ეროვნული სახელმწიფოების კვდომას, საკითხი იდგა ერთა თვითგამორკვევის უფლების განხორციელების უარყოფის თაობაზე.

საკითხს ასე აყენებდნენ: ღირდა კი დამოუკიდებელი ნაციონალური სახელწიფოს მტკიცე საფუძვლების შექმნაზე ზრუნვა, მაშინ როცა ასეთ სახელმწიფოებრიობას მომავალი არ უჩანდა. ამიტომაც ხომ არ სჯობდა, რომ ეზრუნათ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური, პარტიული პროგრამების განხორციელებაზე. შესაბამისად, ცდილობდნენ ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი საკითხი, როგორც წარმავალი მოვლენა, ოდენ თავიანთი ამ მიზნების განხორციელების საშუალებად გამოეყენებინათ.

ასეთი განწყობითა და პოლიტიკური მიზანსწრაფულობით ძლიერი, პასუხისმგებლიანი სახელმწიფო მმართველობითი სისტემის შექმნა არც ამ ცრუთეორიის მოთხოვნებს და არც მემარცხენე სოციალისტური მიმდინარეობის პარტიების ინტერესებს შეესაბამებოდა. ამიტომაც მათთვის მისაღები იყო, თუკი პარლამენტის მიერ ლეგიტიმური აღმასრულებელი ხელისუფლება ერთ წელიწადს, თუნდაც ნახევარ წელს, გაუძლებდა და არ მოხდებოდა მისი დათხოვნა იმავე პარლამენტის მიერ.

ასეთი ვითარება, რა თქმა უნდა, თავის დაღს ასვამდა რუსული კოლონიალური უღლისგან ახლად განთავისუფლებული ქვეყნისა და ხალხის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და მმართველობითი მოწყობის საკითხებს. ამის დასტურად მოვიყვანთ ზემოთ გამოყენებული შრომის ავტორის მოსაზრებას: „სწორედ ასეთი თვალსაზრისი იყო უარსაყოფი ქართველ პოლიტიკოსთა მხრიდან, რადგანაც, თუ მსოფლიოს განვითარების მიმდინარე ეტაპი ძირს უთხრიდა ეროვნული სახელმწიფოს არსებობას, მაშინ შეუძლებელი და უიმედოდ განწირული საქმე ხდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრება“ (მ. მაცაბერიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 7).

აი, რა თეორიული წყაროთი საზრდოობდა საპრეზიდენტო რესპუბლიკის საწინააღმდეგო ე.წ. საპარლამენტო მოწყობის პრინციპი. ეს სინამდვილეში იყო რეაქცია სოციალ-დემოკრატთა და სხვა მემარცხენულ ე.წ. პარტიათა (დაჯგუფებათა) ახალი რეალობისადმი. ისინი ცდილობდნენ თავიანთი ადრეული დოქტრინების მისადაგებას დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს ფორმირების პროცესისადმი,

სადაც უმთავრესი იყო არა სახელმწიფოებრივი საფუძვლის ფორმირება, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სუსტი სახელმწიფოებრიობა და დამოუკიდებლობა გამოეყენებინათ თავიანთი სოციალისტური მიზნების განხორციელებისთვის მსოფლიოში მიმდინარე, ზემოთ მოყვანილი, ტენდენციების გათვალისწინებით.

ნურავინ ნუ იფიქრებს ამ ე.წ. საპარლამენტო მოწყობისა და პრეზიდენტის, როგორც სახალხო ლეგიტიმაციის ინსტიტუტის, გაუქმებას დღეს უფრო მყარი საფუძველი ჰქონდეს, ვიდრე იმ შორეულ ეპოქაში. პირიქით, ამჯერად ეს მიზეზები უფრო ტრივიალურია, ვიდრე თავის დროზე არსებული მსოფლიოს სოციალიზმისკენ სწრაფვისა და ერთა თვითგამორკვევის უფლების თვითკვდომის მაშინდელი, მართალია, ილუზორული, მაგრამ მაინც თეორიული პოსტულატები.

დღეს მის საყრდენ ბაზას წარმოადგენს პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული მმართველი ფსევდოსოციუმის ყოველგვარ იდეალს მოწყვეტილი პირადი და ჯგუფური ინტერესები; საბჭოური ნომენკლატურის „იდეური“ მემკვიდრეებისა და კრიმინალური დაჯგუფების ბაზაზე ფორმირებული „მაროდიორული საფინანსო ოლიგარქიის“ სურვილი, თავი დააღწიონ ხალხის ნებას და ასე, გარედან, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე განაგონ ეროვნული სიმდიდრე თვით გენოფონდის ჩათვლით, ითამაშონ მათი ბედ-იღბლით, ხალხს მაცოცხლებელი ჰაერიც კი დოზირებით მიაწოდონ, ოღონდაც იქიდან რაიმე მოგება ნახონ.

ესაა მიზანი დღევანდელი ე.წ. საპარლამენტო მოწყობის კანონმდებლობისა, რომელიც ყოველგვარი სახალხო განხილვის თუ რეფერენდუმის გარეშე იქნა მიღებული მაროდიორული ოლიგარქიის მითითებით.

* * *

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საკითხი ძირითადად ერთი პარტიის – სოციალ-დემოკრატების ხელში აღმოჩნდა და სწორედ მათი დომინირებით მიმდინარეობდა, მაგრამ მაშინ იდეური წანამძღვარების საფუძველზე გაშლილი ეს ბრძოლა უფრო გამჭვირვალე იყო და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის სურვილსაც უფრო კეთილსინდისიერად გამოხატავდა, ვიდრე დღევანდელი ფსევდოსოციუმი და „მაროდიორული ოლიგარქიზმი“.

მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენე-სოციალისტური ძალები დომინირებდნენ, საპრეზიდენტო ინსტანციის ფორმირების ირგვლივ შეხლა-შემოხლა დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის მთელ პერიოდში გრძელდებოდა, ძირითადად, სამი მიმართულებით: საკონსტიტუციო კომისიაში, დამფუძნებელ კრებაში და თვით სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით.

* * *

პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხი, როგორც ვარაუდობს მაცაბერიძე, დამფუძნებელ კრებაზე მსგავსი თანამდებობის საჭიროების საკითხის დადგომის შედეგად წამოჭრილა.

1919 წლის 14 მარტის სხდომაზე სოციალ-დემოკრატების წინადადებით ნოე ჟორდანია, რომელსაც მთავრობის შედგენა მიენდო, იმავე დროს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის უფლებით აღუჭურვიათ. ფედერალისტებმა და ესერებმა ეს პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებად მიიჩნიეს და პროტესტი გამოთქვეს, ეროვნულ-დემოკრატებმა კი მოიწონეს ეს გადაწყვეტილება. აღინიშნა, რომ ამით „უსათუოდ მყარდება ტრადიცია პრეზიდენტობისა საქართველოს რესპუბლიკაში“. ამდენად, იმთავიდანვე გამოიკვეთა, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკური მმართველობის ფორმა ყველაზე უფრო სრულყოფილად შეესაბამებოდა კოლონიალიზმის უღლისგან განთავისუფლებული ქვეყნის ნაციონალურ ინტერესებს.

თამამად შეიძლება ითქვას: **საპრეზიდენტო რესპუბლიკურ მმართველობითს სისტემას შესწევს უნარი რამდენადმე სრულყოფილად შეუსისხლხორცდეს კოლხ-იბერული მოდგმის 3-ათასწლიანი, უძველესი სახელმწიფოებრიობის მეხსიერებას და შეესაბამოს ქართულ იდეას.**

ჩვენს სინამდვილეში სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე ე.წ. საპარლამენტო მმართველობითს ფორმასთან დაკავშირებით. ის როგორც ფორმით, ისე არსით სრულად მოწყვეტილია ამ მეხსიერებას და ამ იდეას ქართული სახელმწიფოებრიობისას. ის წმინდა წყლის მემარცხენულ-სოციალისტურ მიდრეკილებას აჩენს (არსებულ სინამდვილეში ანარქიულო-

ბისკენ მიმსწრაფი) უძველესი გენეტიკიდან მომდინარე ერის ეგზისტენციაში – მის სულიერ და მატერიალურ ყოფიერებაში. ეს კი ქართულ იდეას მოსწყვეტს საკუთარ მეტაფიზიკურ და ქრისტიანულ-თეოსოფიურ ფესვებს და დატოვებს ოდენ სოციალურ მისწრაფებათა უიდეალო ყოფაში, რაც უძველესი ქართული კულტურის (მათ შორის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ტრადიციების) სრულ გაძარცვამდე და სულიერ ამორფულობამდე მიგვიყვანს. ამით სახელმწიფოებრივი მოწყობისა და მმართველობის სრულ ანარქიას გამოიწვევს უარჩევანო არჩევნებით არჩეული პარლამენტის პირობებში ფორმირებული არამდგრადი მთავრობის ხშირი ცვალებადობა. ცვალებადობის დამკვეთი კი, საბოლოო ჯამში, ჩვენი მოსისხლე მტერი და ოკუპანტი აღმოჩნდება. ამაში ეჭვს ნურავინ ნუ შეიტანს. ასე მოხდა ეს იმ პირველი რესპუბლიკის ხანაში, როცა ამ ე.წ. საპარლამენტო, ყველასთვის სამაგალითო მმართველობის სტილის ძიებაში სრულიად მოუმზადებელნი შევეფეთეთ საბჭოურ ურჩხულს.

დღევანდელი საპარლამენტო მოწყობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდებს. მაშინ ყოველივე ამას სისტემათა ბრძოლის სახე ჰქონდა და ამან ბოლოს და ბოლოს საბჭოეთის განადგურებამდე მიგვიყვანა და გადარჩენის გზა დაგვიტოვა. ამჯერად კი სისტემათა ფორმალური (კაპიტალისტური) ერთგვაროვნების პირობებში ჩვენი მმართველობითი სისტემის არამდგრადობა და ანარქიულობა (არაფორმალური მმართველობა ერთი მუჭა ოლიგარქების) ისევ შეგვაბრუნებს რუსულ იმპერიაში, რომელიც სრული ინკორპორაციით დასრულდება და მოუსავლეთად გვექცევა.

ამიტომ მყარი, პასუხისმგებლიანი მმართველობითი ფორმის არსებობა ჩვენს სიტუაციაში გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. პასუხისმგებლიანობის ხარისხი კი მხოლოდ და მხოლოდ ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვითაა შესაძლებელი, მაგრამ ამ მარტივ ჭეშმარიტებას ვერც საუკუნის წინ მოუძებნეს გასაღები და ვერც დღეს დაადგა საშველი.

პუტჩისტური ალიანსით შობილი ფსევდოსოციუმი და კონტრრევოლუციური (საბჭოურ-ნომენკლატურული და კრიმინალური), მაროდიორული ფინანსური ოლიგარქია მმართველობითი ანარქიის გავლით რუსული რეჟიმის სტილის დამყარებასა და მასთან შერწყმას გვიქადის. ეს გარდაუვალია, თუკი ხალხმა თავის ხელში არ აიღო რეალური ძალაუფლება და ვერ შეძლო თავისი თავისუფალი ნების გამოხატვა. ახლა კი ისევ მივუბრუნდეთ საპრეზიდენტო მმართველობის ირგვლივ საუკუნის წინ გამართული ბრძოლის პერიპეტიებს.

* * *

ეროვნულ-დემოკრატების მართლაცდა ამ ეროვნულ მიდგომას მყარი პასუხისმგებლიანი საპრეზიდენტო მმართველობის ტრადიციის დამყარებისადმი ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ საქართველო აღმოჩნდა ის პირველი ქვეყანა, სადაც სოციალ-დემოკრატები ხელისუფლებაში მოვიდნენ. ისინი, თავის გამოჩენას და ყველასათვის სამაგალითო სოციალური სისტემის შექმნის ილუზორულ ლოზუნგს ამოფარებულნი, საკუთარი პარტიული ინტერესების განხორციელებას ცდილობენ. ცალი თვალით „მსოფლიო სოციალიზმისკენ“ იყურებოდნენ. ეს რუსეთისკენ ყურება იყო. ისინი ცდილობდნენ ხელისუფლების პარლამენტის ხელში მაქსიმალურად თავმოყრას და, მეორე, აღმასრულებელი ხელისუფლების კოლეგიალურობის უზრუნველყოფას. სოცდემთა უმრავლესობის ამ სურვილს ვერ უთავსდებოდა პრეზიდენტის პასუხისმგებლიანი ინსტიტუტის დაფუძნება.

როგორც ითქვა, პრეზიდენტის ინსტიტუტის კიდევ უფრო რადიკალური მოწინააღმდეგენი იყვნენ სოციალ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები). მაშასადამე, პრეზიდენტის ინსტიტუტის მოწინააღმდეგებად იმთავიდანვე ჩამოყალიბდნენ მემარცხენე-სოციალისტური მიმდინარეობანი, რომლებიც თითქოსდა რეალური დემოკრატიის უზრუნველყოფის საბაბით უარყოფდნენ სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის (საერთოდაც) ინსტიტუტის დაფუძნებას და სინამდვილეში უარყოფდნენ ხალხის რეალურ მონაწილეობას მმართველობაში. ამით ისინი ცდილობდნენ პარტიის სახელით მთელი ძალაუფლება მიეთვისებინა საზოგადოების უმნიშვნელო ნაწილს. ეს ტენდენცია სხვადასხვა მიზეზით დღემდე

გრძელდება და იქცა მაროდიორული ოლიგარქიზმის პოლიტიკურ (თეორიულ) საყრდენად.

მაშინ ყოველივე ეს კრახით დასრულდა; კიდევ კარგი, რომ ხალხის ძალაუფლების პარტიის სახელით მიმტაცებელი ელიტის სათავეში მყოფებმა, თავიანთი გამონაყოფისადმი – ბოლშევიკებისადმი უდიდესი პიროვნული ზიზღისა და შეუთავსებლობის გამო ის მაინც შეძლეს, რომ ხელისუფლება არ გადააბარეს მათ და იურიდიული (დე-იურე) სტატუსი მაინც შეუნარჩუნეს ქვეყანას.

დღეს კიდევ უფრო მწვავედ დგას საკითხი, ამჟამად რუსული რენეგატული კონტრრევოლუცია იმვე „მეტი დემოკრატიზმის“ მოშველიებით საბოლოოდ ანადგურებს მას და კონსტიტუციით სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის უარყოფითა და რაღაც სამარცხვინო, ბანანის რესპუბლიკათათვის მოგონილი „საარჩევნო კოლეგიის“ მიერ პრეზიდენტის არჩევას **სრულიად და მთლიანად გაჰყავს ხალხი ასპარეზიდან**, არადა, თუ რამდენად დიდია ხალხის ინტერესი პრეზიდენტის არჩევისადმი, ეს თუნდაც ბოლოდროინდელმა ძალადობრივმა და ოპონენტთა მიერ არაღიარებულმა არჩევნებმაც დაადასტურა.

რუსული თვითმპყრობელური უღლისგან განთავისუფლებული ქვეყნისთვის, რომელიც სახელმწიფოებრიობის მისთვის სრულად უცნობი, ახალი სისტემის ფორმირებას ცდილობდა, თუნდაც ისტორიულ-გენეტიკური მეხსიერებიდან გამომდინარე, მისაღები ოდენ საპრეზიდენტო მმართველობა შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს მეტ-ნაკლები სისრულით, მაშინდელი სუსტი პარტიული სისტემის პირობებში, მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებს წარმოედგინათ. ისინი პასუხისმგებლიანი მმართველობითი სისტემის შემოღების მომხრეებად გამოდიოდნენ, მაგრამ უმთავრესი ის იყო, რომ ხალხი თავისუფლების მოპოვების შემდეგ ინტუიციურად გრძობდა ამას. ის ასეთ მმართველობად აღიქვამდა სოცდემოკრატიული უმრავლესობის მოსვლას ხელისუფლებაში და მის ლიდერს ნოე ჟორდანიას კიდევაც დაუმკვიდრდა პრეზიდენტის სახელი.

ხალხის ასეთი ინტუიციური განწყობა განთავისუფლებული სამშობლოს ინსტიტუციონალური მოწყობისადმი, რა თქმა უნდა, გადაედებოდა ერთ მუჭა პარტიულ დოქტრინალისტებსაც, მიუხედავად მათი სოციალური თეორიებით დაავადებისა, მათაც უბიძგებდა რეალობის აღქმისკენ და აიძულებდა ეროვნული იდეები თუნდაც „მეორე პლანიდან“ მაინც განეხილათ, რაც სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობაშიც იწვევდა სუსტ, მაგრამ მაინც წინააღმდეგობას პარლამენტარული მმართველობისადმი. თუმცა მთავარ გამწევ ძალას საპრეზიდენტო სისტემის დადგინების საკითხში მაინც ეროვნულ-დემოკრატები წარმოადგენდნენ. მათ კიდევაც დაიმკვიდრეს უპირველესი ნაციონალური პარტიის სახელი, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ფიქციად აქცია „ახალმა ედპ“-მ ჩვენს დროში. ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენელმა გ. გვაზავამ საკონსტიტუციო კომისიის წინაშე დააყენა საკითხი **პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების თაობაზე**. კომისიამ ხმათა უმრავლესობით უარყო ის. მაშინ მან მოითხოვა კონსტიტუციაში შეეტანათ მუხლი: **„თავმჯდომარეს ირჩევს ხალხი“.** ესეც უარყოფილ იქნა.

ამდენად, იმთავიდანვე ნათელი იყო, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტზე უარის თქმა მიზანმიმართულად ხდებოდა, რათა ქვეყნის მმართველობისგან ხალხი ჩამოეშორებინათ და ძალაუფლება ხელში ჩაეგდო ერთ მუჭა, პარტიად წოდებულ ჯგუფს (ჯგუფებს).

სამი დღის შემდეგ გ. გვაზავა ისევ მიუბრუნდა ამ საკითხს და კონკრეტული ფორმულირება წამოუყენა კომისიას: „უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ენიჭება რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელსაც ირჩევს ხალხი 3 წლის ვადით. წესი ამ არჩევნებისა აღნიშნული იქნება კერძო კანონით. ეს წინადადებაც კომისიამ უარყო“ (დასახ. ნაშრ. გვ. 66/67). ამ მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, რომ მემარცხენეებს სახალხო ლეგიტიმაციაზე, ხალხის ნების სრულყოფილ და თავისუფალ გამოხატვაზე წარმოდგენა არ აქვთ, არც სურვილი იმისა, რომ თავიანთი სოციალისტური და პარტიული მისწრაფებების იქით რაიმე უფრო ღირებული დაინახონ და გზის მაჩვენებლად ხალხის ნების (დემოკრატიის უმთავრესი არსის) აღსრულება გაიხადონ.

გ.გვაზავამ (ზოგადად ეროვნულ-დემოკრატებმა), როგორც დამოუკიდებლობის აქტის ერთ-ერთმა ავტორმა, კარგად უწყის ის პრინ-

ციპული ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური მოცემულობანი, რაც აუცილებელს ხდიდა, ახლად განთავისუფლებული ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობა აგებულიყო საპრეზიდენტო მმართველობით სისტემაზე. მათ კარგად ესმით, რომ თითქმის უაუდიტორიო პარტიების მიერ განხორციელებული დემოკრატია და პარლამენტი ვერც ხალხის ნების გამომხატველი იქნებოდა და ვერც მდგრადი სახელმწიფოებრივი სისტემის უზრუნველყოფის საშუალება, რაც სულ მალე დადასტურდა კიდეც. პირველივე ხელშესახებმა განსაცდელმა იმსხვერპლა ის სამაგალითო პირველი „საპარლამენტო რესპუბლიკა“!

მხოლოდ საყოველთაო სახალხო არჩევნებით არჩეული სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი იქნებოდა სახალხო ნების გამომხატველი პასუხისმგებლიანი მმართველი სახელმწიფოსი. ასეთ შემთხვევაში სულ სხვანაირად წარიმართებოდა ვითარება ბოლშევიკური აგრესიის ჟამს და გარეშე რეაქციაც სულ სხვანაირი იქნებოდა.

* * *

პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხში უფრო ღრმად გარკვევისთვის მკითხველს ვთავაზობთ მოკლე წიაღსვლას ამ პრობლემის მეტი ისტორიული და მეტაფიზიკური გააზრების კონტექსტში. ამით ჩვენ შევეცდებით ჭეშმარიტი პოლიტიკური დემოკრატიზმის განხორციელების უმთავრესი საკითხების:

– ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დემოკრატიზმს სუვერენული ხალხი უყრის საფუძველს;

– ყოველგვარი უფლების წყარო ხალხია;

– ყველა დიდი სახელმწიფოებრივ საკითხის გადაწყვეტაში მთავარი სიტყვა ეკუთვნის ხალხს;

– ყოველი ორგანო სახელმწიფოსი უნდა მოქმედებდეს ხალხის ნების შესაბამისად;

– ქვეყნად ხელმწიფება ეკუთვნის ხალხს;

– ხალხის ნება აბსოლუტია და ხორციელდება სახელმწიფოს მეშვეობით და სახელმწიფოსვე სასარგებლოდ! – სრულფასოვნად წარმოსახვას, ყველასთვის კარგად ცნობილი სახელმწიფოებრივი მმართველობის კონსტრუქციაში:

დემოკრატიზმის ამ კრედოთა (მრწამსთა) განხორციელებას ადამიანები ათენის კლასიკური დემოკრატიიდან მოყოლებული ვიდრე დღემდე ესწრაფვიან. ისინი ცდილობენ ხალხის ნების სრულფასოვან განფენას მათი სასუვერენო ტერიტორიების (ქვეყნის) მთელ სივრცეში. ეს მისწრაფება თავისუფლებამოპოვებული ხალხისა კარგად, თითქმის მხატვრულად, არის ასახული 1921 წლის კონსტიტუციის მე-4 თავისთვის დაწერილ პოლიტიკურ კომენტარში: „... ხალხი სუვერენია, როგორც მონარქი მონარქიულ სახელმწიფოში. მისი ხელისუფლება არ ისაზღვრება გარედან, თავის ნებას ის თვითონ ზღუდავს. თვით ხალხი იძლევა იმ საზღვრებს, რომელშიდაც უნდა გაიშალოს და იბატონოს მისმა ნებამ. ხალხი ცდილობს, ისე, როგორც ნაცია, მიიღოს სახელმწიფოებრივი კოსმოსის ფორმა. ყველაფერში და ყველგან მისი ნება სჭარბობს“ (დასახ. ნაშრ. გვ.15).

ამ განმარტების თუნდაც ზედაპირული გააზრების შემდეგ წარმოუდგენელია, ადამიანს ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ ჯერაც თავის უფლების დაკარგვის უდიდესი საშიშროების წინაშე მდგარი ქვეყნის ხალხს შეუზღუდო ეს უფლებები და უარი უთხრა პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნებით არჩევაზე. ეს ნიშნავს მისთვის უმთავრესი პოლიტიკური უფლების წართმევას. მაგრამ, სჯობია, ისევ მივუბრუნდეთ დაანონსებულ „თეორიულ“ საკითხს.

* * *

კომენტარში ხალხის ნების კოსმოსთან და მონარქიასთან შედარება მას ღვთიური ნებელობის გამტარებელ ფენომენად წარმოაჩენს. ასეთ შემთხვევაში ამ ნების შეზღუდვა და მისივე სახელით სპეკულირება არა მარტო ხალხის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა, არამედ ეს არის ერის (სამშობლოს) და ღვთის წინაშე ჩადენილი დანაშაული და ცოდვა. ამიტომ შევეცდებით, მონარქიასთან და კოსმოსთან ხალხის სუვერენული ნების შედარების კვალობაზე წარმოვსახოთ მისი ადგილი ნახსენებ სახელმწიფო მმართველობის პირამიდაში.

იმთავითვე ღვთიური ნებით განხორციელებული სრულყოფილი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა – მონარქია კონსტრუირებული იყო პირამიდის ფორმით, სადაც ამ პირამიდის საფუძველში ჩაკირულია ხალხი, მასზე დგას მთელი მმართველობითი კონსტრუქცია. მის ზეცისკენ მიმსწრაფ წვეროში მეფეა – მიწაზე ღვთის ნების განმხორციელებელი. ამ მყარი, ზეცისა და მიწის გამაერთიანებელი სისტემის ოპოზიციად იშვა ათე-

ნური დემოკრატია, რომელიც თავისი სულ რაღაც 50-წლიანი აყვავების პერიოდიდან მოყოლებული იქცა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისეთ ატრიბუტად, რომელიც უკიდურესი დიქტატურის, ტირანიის, თავგასული ოლიგარქიის პირობებშიც კი აიძულებდა მმართველ ძალებს, მისი, თუნდაც თავისთავად, არსებობისთვის ანგარიში გაეწიათ.

ახალი დროიდან მოყოლებული, რაც დაიწყო მონარქთა თავმოჭრა და ფრანგულმა რევოლუციამ გზა გაუხსნა დემოკრატიზმის ყოვლისშემძლეობას, ყოველი მხრიდან უტევენ ამ „დრომოჭმულ" პირამიდას, ანადგურებენ თვით კონსტრუქციას ხალხისა და სამართლიანობის სახელით, მაგრამ ვერაფრით მოუხერხებიათ იმ წაჭრილი თავის ადგილას ხალხის დასმა... ისინი იქ ვერ ეტევიან... ჭკვიანთა და გონიერთ არც სურთ იქ ასვლა... ამ გასაჭირიდან გამოსავლად მიღებულ იქნა წაჭრილი კონუსის (პირამიდის) მოდელი, სადაც ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები დასვეს. თითქოსდა შეკრეს ეს თავწაჭრილი პირამიდა: ქვემოთ – ხალხი, ზემოთ კი – მათი რჩეულნი.

მაგრამ ამით ვერ აღსდგა სახელმწიფოებრივი მმართველობითი კონსტრუქციის სიმყარე, არაფერი რომ არ ვთქვათ მის სულიერ-მეტაფიზიკურ არსზე, მიწასა და ზეცას შორის კავშირზე, რომელიც მოიშალა.

ამ დარღვეული კონსტრუქციის ერთ მთლიან მონოლითად შეკვრის ყოველგვარი მცდელობა უდიდესი პოლიტიკური კატაკლიზმებით სრულდებოდა. ჯერ კიდევ ათენის დემოკრატიიდან მოყოლებული და ევროპული რევოლუციებით გაგრძელებული. მიწასა და ზეცას შორის დარღვეული კავშირი სულიერ საყრდენს აცლიდა ამ ილუზორულ სახალხო მმართველობას.

მას ვერაფერმა უშველა, სანამ ამ წაჭრილი პირამიდის თავი გონივრულად არ მოაპირკეთეს და ხალხთა ცალკეული დაპირისპირებული ჯგუფების წარმომადგენელთა ადგილას მთელი ხალხის ნებით, კონკურენტულ გარემოში, სახალხოდ და გამჭვირვალედ არჩეული, ღვთისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებელი წარმომადგენელი – პრეზიდენტი (თავმჯდომარე) არ გაამწესეს.

ამით აღსდგა არა მარტო სახელმწიფოებრივი მმართველობითი კონსტრუქციის სიმთელე, არამედ მიწიერ და ზეციურ სამყაროს შორის დარღვეული კავშირიც და სახელმწიფო მმართველობით სისტემას ისევ აღუდგა ის სულიერი ენერგია, რომლის გარეშეც ყოველგვარი სახელმწიფოებრიობა ფიქციად იქცევა.

ასე აღსდგა სახელმწიფოებრივი მმართველობითი სისტემის პირამიდა, ახალი შინაარსითა და წარმოქმნის ახლებური წესით, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ჩვენს თანამედროვე ეგზისტენციასთან. ის სრულად აკმაყოფილებს სახალხო მმართველობის განხორციელების მოთხოვნებს. პირამიდის ფუნდამენტს და მის საყრდენს წარმოადგენს ფიზიკური ხალხი, ხოლო ზემოთ, ყოველი საარჩევნო ხმის სახით – მათი ნება, მასზე პასუხისმგებელია პრეზიდენტი. ასე ხორციელდება არა მარტო რაციონალური ძალაუფლება, არამედ მისი ირაციონალური ასპექტიც. შესაბამისად, ვღებულობთ სრულფასოვან სახალხო მმართველობას.

* * *

ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენს ძირითად სათქმელს. პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხი, როგორც ითქვა, ცხარე დისკუსიის ფონზე მიმდინარეობდა როგორც საკონსტიტუციო კომისიასა და დამფუძნებელ კრებაში, ასევე სოცდემოკრატიული უმრავლესობის შიგნით, სადაც ყველა არ იყო მომხრე უპასუხისმგებლო პარტიული მმართველობისა და სახელმწიფოს მმართველობიდან ხალხის გარიყვისა, რასაც ეს პარტიული პროპორცია აწესებდა. აქ ხალხის სახელით ძალაუფლებას ეუფლებოდნენ 100-200-კაციანი პარტიები, რომლებიც ისე იყვნენ გაწუწკებულები, რომ საკუთარი, ამ ე.წ. პარტიის ლიდერებისთვისაც კი ვერ იმეტებდნენ პასუხისმგებელი პირის სტატუსის დელეგირებას, თუნდაც რამდენიმე წლით მაინც, და იმაზე დავობდნენ, მთავრობის თავმჯდომარე აერჩიათ ექვსი თვის ვადით თუ მთელი საბიუჯეტო წლის მანძილზე.

საკონსტიტუციო კომისიაში მოწვეული „მცოდნე პირი" (ექსპერტი) გ.ნანეიშვილი **რჩევას იძლეოდა პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ**; თვით სოციალ-დემოკრატთა ზოგიერთი წარმომადგენელი კი მოითხოვდა, კონსტიტუციაში აღენიშნათ, რომ **მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს არის რესპუბლიკის პრეზიდენტი**, მაგრამ სოცდემების უმრავლესობა თავიანთი უპასუხისმგებლოიანი (კოლექტი-

ური) მმართველობის დაკანონებას მიელტვოდა, მაშინ როცა მათი ბელადი ნ.ჟორდანიაც კი რჩევას იძლეოდა საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების თაობაზე.

კონსტიტუციასთან დაკავშირებულ სპეციალურ გამოსვლაში ის აღნიშნავდა: აზრთა სხვადასხვაობა ეხება პრინციპული მნიშვნელობის საკითხებს და „სადავო არის თვით არსებითი მხარე ჩვენი რესპუბლიკის“. მისი თქმით, წარმოდგენილი კონსტიტუცია იყო „პარლამენტარული რესპუბლიკის პროექტი“ და უნდა გადაეწყვიტათ, რა სურდათ – **საპარლამენტო თუ დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა**.

ის ამტკიცებდა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა „ბურჟუაზიის გამონაგონია“, აქ მთელი ძალაუფლება პარლამენტის ხელშია თავმოყრილი და მის შიგნით მიმდინარეობს ბრძოლა სხვადასხვა პარტიას შორის.

ამ ბრძოლის შედეგია მთავრობის ხშირი ცვლა, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ის ხაზგასმით აღნიშნავდა: „**პარლამენტარიზმმა** (ე.ი. საპარლამენტო მმართველობა – მ.ზ) **მოჭამა დრო** და ეხლა... სურთ, რომ **ჩვენს კონსტიტუციაში ეს დრომოჭმული პარლამენტარიზმი შემოიღონ**“ (დასახ. ნაშრ. გვ.719 (ხაზი, ყველგან – მ.ზ.)

ჩვენ არ შევუდგებით ამ გამოსვლის დედაარის გაშლას, თუნდაც მის კომენტირებას. აქ ასახული საზრისი ე.წ. საპარლამენტო მმართველობის შესახებ დღემდე ძალაშია, განსაკუთრებით ყველა დროისა და ეპოქის „ახალი დემოკრატიებისთვის“.

დღეს, **100 წლის წინ დრომოჭმულად გამოცხადებულ** ამ „პარლამენტარულ მმართველობას“ „უმამლო“ ახალი „პარლამენტისტები“ პანაცეად და „ღვთის წყალობად“ გვთავაზობენ; თუმცა, რას გვთავაზობენ, ის, რაზედაც ნ.ჟორდანია აღშფოთებით ამბობდა – „სურთ ეს დრომოჭმული პარლამენტარიზმი ჩვენს კონსტიტუციაში შეიტანონ“ – 100 წლის შემდეგ რეალობად აქცია მეოცნებე უმრავლესობამ. ცრუდემოკრატიზმის „საყმაწვილო სნებამოუხდელმა“ პუტჩისტური ალიანსის ახალგაზრდა შთამომავლობამ სახელმწიფოებრიობის დამაქცეველი ამ პროექტის გატანა თავის სავიზიტო ბარათად გაიხადა.

უძაღლო ქვეყანაში აყეფებული ეს კატები ვერ გრძნობენ (იმედია, ნაწილი მაინც), თუ რა ღვთის ცოდვაში ჩადგეს ფეხი და რას უქადის მათ 1 იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. ახალი ვარიანტი კონსტიტუციისა.

ახალი წლის შემოსვლაც ვერ დასცალდათ, ისე იწყო ჩვენი სახელმწიფოებრიობის გარანტმა პარლამენტმა თუხთუხი.

ამ შემთხვევაში მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების განხორციელების მიმზიდველობა და მისგან პირადი თუ ჯგუფური სარგებლობის მიღების პერსპექტივა გადათქერავს იმ სუსტ წინაღობას, რასაც „ერთპარტიული მმართველობა“ ქმნის... სავალალო ისაა, რომ ამას სახელმწიფო გადაყვება...

კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული საკითხების: იუსტიციის საბჭოს მიერ უმაღლეს სასამართლოში მოსამართლეთა უვადოდ არჩევის კანდიდატთა სიის პარლამენტში წარდგენის ან ე.წ. „მარიხუანას პროექტის“ შებრუნების შესაძლებლობის გარდა, გჯეროდეთ, მალე სხვა მრავალიც გამოჩნდება სასკანდალო, საითკენაც მოპყრობილი იქნება საზოგადოების ყურადღება.

* * *

რთულია იმ რეალური მიზნების დანახვა, რომლის განხორციელებასაც იწყებს „ოლიგარქიული მმართველობა“ „ახალი კონსტიტუციის“ ამოქმედების კვალდაკვალ.

ეს სრულიად არაკონსტიტუციური, სახელმწიფოს გარეთ მდგარი მმართველობა, რომელიც ხორციელდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეოხებით (მთელი ცივილიზებული სამყაროს თვალწინ), ამჯერად, **შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკის ვექტორს იცვლის** და **მას მიმართავს საკანონმდებლო ხელისუფლებისკენ**. ამით ოლიგარქიული მმართველობის ოდნავ შელამაზებულ ფორმასაც მიიღებს და ამასთან გამოირიცხება „მარგველაშვილისა და კვირიკაშვილის“ სინდრომები, რომელთა დასაძლევადაც მათ მოუხდათ წმინდად აპოლიტიკური გარჩევების გზით სიარული, ეს კი აიძულებდათ, ეტრიალათ საქვეყნოდ აღიარებულ მოღალატეთა და კრიმინალთა წრეში; თუ მეორე მათთვის სიახლეს არ წარმოადგენდა, პირველთან კავშირის სახალხოდ დაფიქსირება არც მათ და არც

იმ მსოფლიო ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლებს აწყობთ, რომელთა წრესაც ისინი განეკუთვნებიან.

ქვეყნის შიდაპოლიტკური წესრიგი საგრძნობლად იცვლება. ერთმანეთთან „შესაბამისობაში“ მოდის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის გარეთ მდგარი „ოლიგარქიული მმართველობა“ და ე.წ. „საპარლამენტო მმართველობა“. ეს დემოკრატიული ქაოსი დამთავრდება „რუსული დემოკრატიული ტოტალიტარიზმის“ ქართული ნაირსახეობის დამკვიდრებით. ეს იქნება დღეს არსებული საკონსტიტუციო უმრავლესობის არამყარი სისტემის ჩანაცვლება ერთპარტიული დიქტატურით, სადაც პარტია და მისი თავმჯდომარე სრულიად „კანონიერად“ წარმართავენ პარლამენტის დღის წესრიგს, ე.წ. საპარლამენტო მმართველობას.

ის შეძლებს თავისი პარტიული ლაბორატორიიდან უმტკივნეულოდ განკარგოს აღმასრულებელი ხელისუფლების მთელი საქმიანობა. პარტიის პოლიტსაბჭოს ყოველი სხდომა მათთვის ღვთის რისხვის ტოლფასი იქნება. აღმასრულებელი შტოს ხშირი ცვლილება ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა. ამის შესაძლო მიზეზებზე, უფრო სწორად, საბაბზე, და თუკი კიდევ უფრო დავზუსტდებით და რუსულ სლენგს გამოვიყენებთ, „солдатская причина“–ზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

მაშასადამე, სახელმწიფოს გარეთ მდგომი „ოლიგარქიული მმართველობა“ აღმასრულებელი ხელისუფლების ნებელობითი გზით მართვის ტაქტიკას შეცვლის საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით სრულიად „კანონიერი“ მმართველობით. პარტიის თავმჯდომარის ხელში „საპარლამენტო მმართველობა“ იქცევა იმ ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც ის შეძლებს სახელმწიფო მმართველობის ყველა შტოს თავის ხელში თავმოყრას და პიროვნული დიქტატის ღიად დამყარებას, მით უმეტეს, რომ **პრეზიდენტის ინსტიტუტი იქცა რუდიმენტულ ორგანოდ, რომელიც ყოველგვარ პოლიტიკურ პროცესებს ჩამოშორებულია** და **ოდენ ზიანის მომტანი პერსპექტივა თუ უჩანს**.

ამდენად, **სანამ ოპოზიცია და საზოგადოება იმ ძველ დუდუკზე უკრავენ, არაფორმალური მმართველი „კანონიერების“ სამოსით იმოსება და უპირველეს კანონმდებლად იქცევა, როგორც მმართველი პარტიის ხელმძღვანელი**.

ასე და ამგვარად, მისი პარტიის თავმჯდომარედ მობრუნება არ ყოფილა შიდა პოლიტიკურ პროცესებში მეტ–ნაკლებად ჩართვის და თავის შეხსენების მიზნით განხორციელებული აქტი. ეს იყო წინასწარ განსაზღვრული ქმედება, განპირობებული „საპარლამენტო მმართველობის“ შესაბამისი ახალი ტაქტიკის შემუშავების მოთხოვნილებით. **მისი მიზანია საპარლამენტო უმრავლესობის გარედან მართვის გაცვეთილი ტაქტიკიდან ერთპარტიული დიქტატის ტაქტიკაზე გადასვლა**, სადაც ძალაუფლების განხორციელების რთული გზაა არჩევნები – უმრავლესობა – აღმასრულებელი ხელისუფლება და ერთმმართველის ნებელობა, რომელიც მუდამ შეიცავს საშიშროებას რომელიმე რგოლის აფეთქებისას. უნდა გამარტივებულიყო **უშუალო კავშირით პარტია – კანონმდებელი**, რაც ხორციელდება კიდევაც.

მყარდება ერთპარტიული დიქტატურა მისგან გამომდინარე შედეგებით, რომელიც **დასრულდება „რუსული დემოკრატიული წესრიგით“**. ასეთი მმართველობა კი ოფიციალურად შეამზადებს საზოგადოებას ერთმორწმუნე რუსულ საზოგადოებასთან უმტკივნეულოდ დაახლოებისთვის. ამ შემთხვევაში აღმასრულებელ ხელისუფლებას პარტიის უკითხავად ამოსუნთქვის საშუალებაც არ ექნება.

* * *

მკითხველს ერთპარტიული დიქტატის დამყარების და საკანონმდებლო საქმიანობის ასპარეზად პარტიის პოლიტსაბჭოს გადაქცევის ჩვენეული მოსაზრება გადამეტებულად რომ არ მოეჩვენოს, მოვიყვანთ რამდენიმე „ცხელ“ ფაქტს.

ჩვენ მიერ აქ გამოთქმულ მოსაზრებას ჯერ მელანიც არ შეშრობოდა, როცა ახალი კონსტიტუციით სახელმწიფო მონიტორინგის განმხორციელებელი პირველი პერსონის მიერ გაკეთებულ იქნა განცხადება, რომელიც თვალნათელს ხდის ერთპარტიული დიქტატის (პიროვნული კულტის ფორმით) დამყარების მიმდინარე პროცესს.

სპიკერი აცხადებს: „ოცნება“ არის ერთი

გუნდი. ბიძინა ივანიშვილის გუნდი! ვინც შეეცდება, ამ გუნდს დაუპირისპირდეს, ის მწარედ ინანებს“. ამაზე უფრო გულღია დადასტურება ერთპარტიული და პიროვნული დიქტატურისა წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში ერთპარტიულობა შორს სცდილდება ცნობილ ლოზუნგს: „Партия – ум, честь и совесть нашего времени“. ჩვენს ახლადგამომცხვარ პარტიულ მოღვაწეს პარტია დაჰყავს „გუნდამდე“, რომელიც მოიცავს საკუთრივ „ბოსის“ ხელდებულთა ჯგუფს და ვაი მათ, ვინც მას დაუპირისპირდება. ამ შემთხვევაში პოლიტსაბჭო სრულად და „კანონიერად“ იქცევა საპარლამენტო საქმიანობის განხორციელების ადგილად. ამის დასტურია ისევ სპიკერ კობახიძის განცხადება, რომ გაიმართება იურიდიული კომისიის სხდომა, რომელსაც პარტიის თავმჯდომარე დაესწრება. ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე უკვე გამართული იყო ამ კომისიის სხდომა, რომელმაც პარლამენტში ჩატარებული წინა სხდომის დადგენილება იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თაობაზე გააუქმა, ე.ი. ეს საგანგებო შემთხვევა კი არა, არამედ „ახალი კონსტიტუციური“ ნორმების მიმართ შესაბამისი პარტიული რეაქციის გამოხატულებაა.

ამდენად, როგორც ვთქვით, ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას მელანი არ შეშრობოდა, რომ ახალი „солдатские причины“-ც წამოატივტივეს „თი ბი სი“ ბანკის საკითხის სახით, რომელიც ძირეულად გარდაქმნის „ფინანსური ოლიგარქიზმის“ ფორმას და მისგან გამოდევნის იმ მცირედი დემოკრატიზმის მოცემულობასაც კი, რომელიც მასში იყო, როგორც დასავლეთთან კავშირის საშუალება.

ასე და ამგვარად, პარტიული დიქტატურისა და თავმჯდომარის პიროვნების კულტთან უპირობო შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ფინანსური ოლიგარქიაც. ამ ახალ „წესრიგში“ ადგილი არ დარჩება ფინანსური ოლიგარქიისთვის, იქ მარტო ერთი ადგილია – ოლიგარქისა, რომელიც ჩრდილოვანი საფინანსო მსოფლიო „სისტემის“ მოთხოვნათა დაცვით მარტივად წარმართავს თავის საქმიანობას. **ის ამ საკითხშიც დაამკვიდრებს რუსული ჩრდილოვანი ეკონომიკის შესაბამის ქართულ ვარიანტს.**

ყოველივე ამას სჭირდება შესაბამისი პროპაგანდისტული მხარდაჭერა, ე.ი. მასმედიის მართვა, რასაც ივანიშვილი და მისი პარტია იმთავიდანვე ცდილობდა და დღემდე ცდილობს, მაგრამ აქ რუსული გზის გაკვალვა გართულდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ჩაერთო ამ საკითხის განხორციელებაში მთელი თავისი ინტელექტით... თუმცა ეს ცნობილი ამბებია.

ამდენად, „ახალი კონსტიტუციის“ ამოქმედების კვალდაკვალ, ზემოთ მითითებულ ღონისძიებათა გატარების პროცესში „ფინანსური ოლიგარქიის“ დამორჩილების შემდეგ უნდა გადაწყდეს მასმედიის ბოლომდე მოთვინიერების საკითხიც, რომელიც წარიმართება ორი მიმართულებით: საკანონმდებლო ცვლილებებისა და ფინანსური შეზღუდულობის უკიდურესი ფორმის გატანით, რაც თავისთავად გადაწყდება „დიდი ბანკების“ ხერხემალზე გადატეხით.

ეს გეზი გამოკვეთილად ჩანს ერთ შემთხვევაში „თი ბი სი“ ბანკზე შეტევით; მეორე – პრეზიდენტი ქალბატონის საახალწლო მილოცვიდან და საშობაო ეპისტოლეს გამოქვეყნებიდან, სხვა დანარჩენი ტექნიკის საქმეა, სადაც ყველაფერი წყდება „ბოსისთვის“ კარგად ცნობილი რუსული სენტენციით: „дело мастера боится“. ის კი ამ შავი საქმეების უებრო ოსტატია, ექსპერტის თქმით, კარგი ტაქტიკოსი, მაგრამ ცუდი სტრატეგი.

* * *

ჩემი მოსაზრებით, ისევე, როგორც საქართველოს ცკ-ს პირველ მდივანს, სახელმწიფოს მეთაურს, უკანონო პრეზიდენტს – ედუარდ შევარდნაძეს არ სჭირდებოდა არავითარი სტრატეგია, ასევე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს გარეთ მდგარ ერთმმართველობას არ სჭირდება რაიმე სახელმწიფოებრივი სტრატეგია, ასეთი სტრატეგია უკვე ჩადებულია მათ ურთიერთობაში რუსეთთან და საერთაშორისო ჩრდილოვანი ეკონომიკის სისტემასთან.

რუსული სტრატეგიისთვის საქართველოსთან მიმართებაში მთავარი ლოზუნგი არის „რაც უარესი იქნება საქართველოსთვის, მით უკეთესი ჩვენთვის“. ამიტომ ოპოზიციური წკავწკავი იმაზე, რომ უნიათობით, უცოდინარობით, არაპროფესიონალიზმით, კორუფციით და ა.შ. ღუპავენ სახელმწიფოს, არა მარტო მგლის თავ-

ზე სახარების კითხვის ტოლფასია, არამედ იმის ბაიბურშიც არყოფნაა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა პოსტპუტჩისტური არაკანონიერი, მაგრამ მაინც ე.წ. სახელმწიფოებრივი მმართველობა და დღევანდელი ყოველგვარი სახელმწიფოებრივი სისტემურობიდან გასული, მაფიოზურ მორალზე აგებული მმართველობა.

ამ შემთხვევაში კრემლთან ურთიერთობასთან ერთად განმსაზღვრელად გამოდის საერთაშორისო „ჩრდილოვანი საფინანსო-ეკონომიკური სისტემა“, სადაც წარმმართველი პოზიცია, რა თქმა უნდა, რუსული ნედლეულის ბაზარს უკავია და, შესაბამისად, განსაზღვრავს ამ „შავი ბაზრის“ ჩრდილოვანი პოლიტიკური მმართველობის სტრატეგიას. ასე რომ, ბიძინას არ აკლია სტრატეგიული გეგმების განმსაზღვრელი „ტვინები“. მისი თავსატკივარია ამ განსაზღვრული სტრატეგიის განხორციელებისთვის ინტრიგული ხლართვების ხლართვა, რასაც ტაქტიკას უწოდებენ და რომლის უბადლო ოსტატადაც მას აღიარებენ „მცოდნე“ ექსპერტები, ისევე, როგორც თავის დროზე „წითელი ინტელიგენცია“ განადიდებდა ედ.შევარდნაძეს. ამ უკანასკნელის ბოლო ყველამ ნახა, მაგრამ ამასთან იმ უბედურებით, რაც ამ „დიდმა პოლიტიკოსმა“ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე მდგარ ქვეყანას თავს დაატეხა, მან აღასრულა რუსული სტრატეგიით განსაზღვრული გეგმის ერთი ნაწილი.

* * *

შევარდნაძის რევოლუციური გზით ჩამოშორება და მისი სიცოცხლეშივე „პოლიტიკურ გვამად“ ქცევა განაპირობა იმან, რომ მის წინააღმდეგ წარმოებდა უკომპრომისო ბრძოლა დამხობილი კანონიერი ხელისუფლების მხრიდან... ამ ბრძოლამ მოამზადა ბაზისი რევოლუციური სიტუაციისა. დღეს ასეთი უკომპრომისო პრინციპული ბრძოლის ნაცვლად საქმე გვაქვს ხელისუფლების მოპოვებისთვის „დემოკრატიულობანას თამაშთან“. მისთვის დამახასიათებელი უპრინციპო ოპორტუნიზმითა და ფსევდოპატრიოტიზმით. ეს იმდენად თვალსაჩინოა, რომ **ხალხი „მესამე გრძნობით“ გრძნობს, რომ ხელისუფლების შეცვლით არც არაფერი შეიცვლება უკეთესობისკენ**. უბედურება იმაშია, რომ ოპოზიციას ხალხისთვის კი არა, საკუთარი თავისთვისაც კი ვერ აუხსნია სრულად, თუ რა საფუძველზეა აგებული სახელმწიფოს გარეთ მდგარი ეს „ოლიგარქიზმი“ და როგორ უნდა განვითარდეს ის, რა პერსპექტივა უჩანს მას ჩვენთვის ცნობილ პოლიტიკურ მმართველობებთან მისადაგების თვალსაზრისით.

ეს ოპოზიციონერები ამ „ოლიგარქიზმისგან“ ითხოვენ დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ მთელ რიგ მოთხოვნათა აღსრულებას, მაშინ როცა არც ამ ე.წ. სისტემის არსში და არც მისი არსებობის პრაქტიკული განხორციელების მიზნებში არ შედის ასეთი დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება. მისგან ამის მოთხოვნა, უკეთეს შემთხვევაში, ქარის წისქვილებთან ბრძოლას ჰგავს, უარესში – კონტრრევოლუციური იდეოლოგიის სრული უცოდინრობაა.

* * *

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ბიძინას სურათის გამოჩენა (გადაკვრა) არ ყოფილა ოდენ არჩევნების მიმდინარეობის მოთხოვნილებით განხორციელებული ქმედება, არც საერთაშორისო ჩრდილოვან კორპორაციათა (და არა მარტო მათი) წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი რიტუალური აქტი. ის ასახავდა არჩევნებს მიღმა მდგარ, მის შემდგომ პერიოდში განსახორციელებელი პარტიული პოლიტიკის პრობლემებს.

ფოტომანიის მიზანი იყო ხალხის ფსიქოლოგიური დამუშავება; საპრეზიდენტო მმართველობისადმი გამოვლენილი ნებელობის გატეხა, შესაბამისად, პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი დამოკიდებულების შეცვლა, მისი სრული იგნორირება. ეს კი ნიშნავს დამოუკიდებელი სახელმწიფოს დემოკრატიული ფორმით განვითარების პერსპექტივის ხალხის მიერ პერმანენტულად დადასტურებაზე უარის თქმას. **სინამდვილეში, ეს ნიშნავს ხალხის გამოთიშვას პოლიტიკური მმართველობის პროცესებიდან და დემოკრატიის კვდომას.**

ნიჰილისტური დამოკიდებულება სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის უმაღლესი გარანტისადმი, არა მარტო დემოკრატიისთვის

ნიადაგის გამოცლას გამოიწვევს, არამედ ის საერთოდ ჩამოაშორებს ხალხს სახელმწიფოებრივ მმართველობას.

სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის მიერ უკიდურეს დონემდე დეგრადირება აუცილებელი პირობაა სახელმწიფოს გარეთ მდგარი პიროვნული მმართველობის განხორციელებისთვის. ის როცა მიაღწევს ისეთი ფსიქოლოგიური განწყობის შექმნას, როცა ხალხისთვის სულერთი იქნება, მის მიერ იქნება პრეზიდენტი არჩეული თუ ვიღაც ვიგინდარული გზით შერჩეული კომისიის მიერ, ეს არაფორმალური მმართველობა (მმართველი) აღწევს თავის უმაღლეს მიზანს: სრულად წარიტაცოს სახელმწიფოებრიობა.

ასეთ ფსიქოპოლიტიკურ მიზნებს ისახავდა ის, თითქოსდა მსოფლიო საარჩევნო პრაქტიისთვის უცხო, მაგრამ ჩვენი პოსტპუტჩისტური სოციუმისთვის ჩვეულებრივად აღქმული სიმბოლური მოვლენა პრეზიდენტობის კანდიდატის სურათის პარტიის თავმჯდომარის სახეებით ჩანაცვლებისა.

* * *

ზემოთ განხილულ ღრმა პოლიტიკურ მიზნებზე უფრო თვალსაჩინოდ და იოლად აღსაქმელი პირველი რიგის საკითხებიც იკვეთებოდა იმ თითქოსდა ფორმალურ ტექნიკურ ქმედებაში; ჯერ ერთი, ხალხის თვალისა და ყურის მიჩვევა იმაზე, რომ მეორე ტურის მიზნის ძირითადი განმსაზღვრელი და შემოქმედი ივანიშვილია. მის გარეშე არც არაფერი ხდება და არც არაფერი შეიძლება მოხდეს საქართველოს მზისქვეშეთში. შესაბამისად, **ხალხი ირჩევს პრეზიდენტს, მაგრამ, სინამდვილეში, ხმას აძლევს ბიძინას (ე.ი. ირიბად მისი არჩევა ხდება)**; მეორე, ასეთი ნიჰილისტური გარემოს შექმნით, ფაქტობრივად, სახალხოდ დაანონსდა (როცა ყველა ძალოვან სტრუქტურას ოფიციალურად დაეკისრათ პასუხისმგებლობა არჩევნებზე) გაყალბების გარდაუვლობას. ეს გაყალბებაც ხდება არა კანდიდატის, არამედ ბიძინას – პარტიის თავმჯდომარისთვის.

ამდენად, ბიძინას სურათისთვის ხმის მიცემა მომავლისთვის გათვლილი აქტია, „ახალი კონსტიტუციის“ ძალაში შესვლისთვის საზოგადოების შემზადება, თვალის მიჩვევა იმისთვის, რომ „პარტიის თავმჯდომარე“ არის პრეზიდენტის ინსტიტუტზე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებზე ზემდგომი, ყოვლად შეუზღუდველი ძალაუფლების სახალხო ნებით მატარებელი ბოსი (ბელადი), რომ ხალხმა ის აირჩია და არა შიშით გათანგული პრეზიდენტად წოდებული არსება (აქედან ერთი ნაბიჯია ღვთით ბოძებულ განმგებულობამდე).

ამდენად, არაფორმალური მმართველობის კრიტიკოსებმა, რამდენიც უნდა იწინასწარმეტყველონ მისი „გარდაუვალი“ კრახი თუ არა, დასუსტება, ყველაფერთან ერთად ფინანსურადაც, ივანიშვილი წარმატებით მიჰყვება სახელმწიფოს სრულად დაუფლების ერთხელ აღებულ გეზს და, როგორც იტყვიან, „ტყვიას ტყვიაში აჯენს“. ის მთელი ორი ნაბიჯით წინ უსწრებს არა მარტო თავის ოპონენტებს, არამედ მისი გუნდის წევრებად წოდებულ პარტიულ ბალასტს, რომლებიც არა მარტო წინასწარ ვერ ხვდებიან, თუ რა აქვს მას ჩაფიქრებული, არამედ უკვე დამდგარ ფაქტში გარკვევასაც ვერ ახერხებენ, სანამ ფეხებს არ დაიწვავენ ამ ცხელ ნაკვერჩხლებზე. ის ჩვეული „გარჩევებით“, მისი „თანამებრძოლები“ ტაქტიკად რომ მიიჩნევენ, აგვარებს ყველაზე ურთულეს „შიდაკოალიციურ“ პროცესებს იმ დონეზე, რომ მისი მსხვერპლნი, მათთვის საყვარელი რუსული სლენგი რომ ვიხმაროთ, „и аукнуть не успевают“.

ჩვენი „დიადი“ ექსპერტები მის ამ ტაქტიკოსობას აღიარებენ, მაგრამ, მათ შორის მართლაც ანგარიშგასაწევი ერთი-ორიც კი, სტრატეგიულობას უწუნებენ, თუმცა ავიწყდებათ ის, რომ მან პოლიტიკური ამბიციების ღიად გაცხადების დღიდან უარი თქვა საერთაშორისო სტრატეგიულ პროცესებში მონაწილეობაზე, თუნდაც იმის გაცხადებით, რომ საქართველო არ უნდა გახდეს მიზეზი დიდ ქვეყნებს შორის ურთიერთობის დაძაბვისაო. ამიტომ მას არ სჭირდება სტრატეგიებზე თავის მტვრევა. ამ სტრატეგიებს, როგორც პოლიტიკურს, ასევე საფინანსო-ეკონომიკურს, განსაზღვრავენ მსოფლიო პოლიტიკის დიდი მოთამაშეები თუ საერთაშორისო ჩრდილოვანი საფინანსო კორპორაციის მამები, სადაც, რა თქმა უნდა, წამყვანი პოზიციები უკავია რუსული ნედლეულის ბაზაზე შექმნილ ჩრდილოვან საფი-

ნანსო-ეკონომიკურ კორპორაციებს, საიდანაც უწყვეტად მოედინება სტრატეგიული გეგმები.

ასეთი ღია თუ იდუმალი კავშირების არსებობაზე შეიძლება ვინმეს ეჭვი შეეპაროს, ის კი არადა, გამოჩნდებიან მთელი დასტა „პოლიტიკოსებისა“ თუ ძალად ექსპერტებისა, რომლებიც ასეთ ახსნას პროცესებისას თვალდაუხამხამებლად გააცამტვერებენ კარგად დაზუთხული ბანალური გამოთქმით: „შეთქმულების თეორია“, მაგრამ მათ უნდა ვუთხრა, რომ ასეთი „კავშირების“ გარეშე არა მარტო ჩვენ, არამედ თვით ის დიდი ქვეყნებიც არ არსებობენ, რომლებიც თვითონ წარმართავენ მსოფლიო პოლიტიკას. ჩვენს შემთხვევაში კი გარედან ჩარევის ორი მაგალითით შემოვიფარგლებით.

პირველი შემთხვევისთვის საკმარისია გავიხსენოთ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის პირველივე დღიდან რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მხარდამჭერი განცხადების გაკეთება „უმრავლესობის“ მხრიდან მხარდაჭერილი კანდიდატისადმი და მისი შემდგომი პერიპეტიები. ეს მომენტი იმის ირიბი მაგალითიც არის, თუ ვინ ცდილობს, გვიკარნახოს შიდასახელმწიფოებრივი სტრატეგია, სახალხოდ პრეზიდენტის არჩევა სწორედ რომ სახელმწიფოებრივი სტრატეგიის უმთავრესი საკითხია.

მეორე საკითხისთვის სამაგალითოდ ე.წ. „მარიხუანას პროექტის“ „შემოგდება“ გამოდგება. არავის ეჭვი არ უნდა შეეპაროს იმაში, რომ ის იშვა ჩვენი ეკონომიკური სივრცის მიღმა, ის კი არადა, შეიძლება საერთაშორისო ლეგალური ეკონომიკის მიღმაც კი, და ხორციელდება ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობისა და რეგიონში ეკონომიკური პოლიტიკის უკიდურესად გახსნილობის გათვალისწინებით.

ამდენად, საპრეზიდენტო არჩევნების (ბოლო) ჩამთავრებისა და „ახალი კონსტიტუციის“ ამოქმედების კვალდაკვალ სახეს იცვლის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის წარმმართველი – „პიროვნული ფენომენი“ და ის იღებს „ფსევდოპარტიული მმართველობის სახეს“, მაგრამ, რამდენადაც ხელისუფლების ირგვლივ თავმოყრილ კონგლომერატს ძნელია პარტია უწოდო და მისი ფუნქციები ანდო, ამიტომ აუცილებელი ხდება სქემის გამარტივება. პარტიის მმართველი მცირე ჯგუფი, სინამდვილეში, თავმჯდომარე და მისი კანცელარია უშუალოდ გადიან პარტიის სახელით პარლამენტში წარმოდგენილ კონსტიტუციურ უმრავლესობასთან და ასე განახორციელებენ ზედამხედველობას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე არა არაკანონიერი გზით, არამედ „კანონების“ მეშვეობით.

მაშასადამე, „კანონებით“ მართვა წარიმართება პარტიული ინსტიტუციიდან ისეთ დონეზე, რომ თვით სტალინს შეშურდებოდა ერთ ხელში ძალაუფლების ასეთი თავმოყრა. კომპარტიას ძალაუფლება კონსტიტუციურად ჰქონდა გამყარებული, აქ კი ეს წმინდად „ნებელობითი ფენომენის“ საკითხად იქცევა. ამიტომ მის ხანგრძლივად განმტკიცების პრობლემას სისტემურობის პრობლემამდე მივყავართ, ასეთად კი რუსული მმართველობითი სტილი თუ გამოდგება ქართული ვარიაციებით, როგორიც შეეფერება პოსტპუტჩისტურ სოციუმს, უფრო სწორად, ანტისოციუმს.

* * *

ასეთია „საპარლამენტო მმართველობის“ იდეის შემოგდების ისტორიული წანამძღვრები და ის უშუალოდ დაკავშირებულია რუსულ-მემარცხენულ-ანარქისტულ ილუზიებთან. მას არაფერი საერთო არა აქვს დასავლურ პარლამენტარულ მმართველობასთან. როგორც ვნახეთ, ეს ფორმა უკვე იმ საუკუნის პირველი მეოთხედისთვის დრომოჭმულად იყო გამოცხადებული. ის მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ახლებური მოწყობის პირობებში მოდერნიზებული ფორმით იწყებს ფუნქციონირებას „ახალი წესრიგის“ შესაბამისად მონარქიული ტრადიციის მქონე ქვეყნებთან, ინგლისური ანალოგიის მიმსგავსებით.

წმინდა საპარლამენტო მმართველობის განხორციელების უპირობო პირობას წარმოადგენს უმაღლეს დონეზე განვითარებული თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოება. ამიტომ ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც მის ნაციონალურ სუვერენიტეტსა და თავისუფლებას საშიშროება ემუქრება, ასეთი „დრომოჭმული“ მმართველობის კონსტიტუციურად დადგინება დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის თვითმკვლელობის ტოლფასია.

ჩვენს პირობებში პრეზიდენტის სახალხოდ არჩევაზე უარის თქმა და პროპორციულ არჩევნებზე მთელი იმედის დამყარება დემოკრატიზმის განვითარების გზა კი არა, არამედ მისი დასამარებისა და „სახელმწიფოს სრულად წარტაცების“ შეუქცევადი პირობაა. პუტჩისტური ალიანსის მიერ საზოგადოების კლანებად და სოციალური ინტერესების პატარ-პატარა ჯგუფებად დაშლა და პარტიული „სისტემის“ ჩამოყალიბება ხდება არა იდეისა და ინტერესთა ერთიანობის ირგვლივ, არამედ ამა თუ იმ საშუალებით ხელისუფლებაში მოსული ძალა თავის ირგვლივ თავმოყრილი ჭრელი მასისგან ქმნის კონგლომერატს და პარტიას უწოდებს. ასე იყო პუტჩის შემდეგ: მოსული რეჟიმის ირგვლივ თავმოყრილნი ქმნიან „მოქკავშირს“, ხოლო რევოლუციის შემდეგ მოსულები – „ნაციონალურ მოძრაობას“, კონტრრევოლუციური ალიანსის ირგვლივ კიდევ – „ოცნებას“. ასეთ პირობებში ხელისუფლების ირგვლივ თავმოყრილნი ანაცვლებენ ხალხს და მთელ მმართველობას ხალხის სახელით ისინი წარმართავენ. ხალხი ეთიშება ყოველგვარ რეალურ პოლიტიკურ საქმიანობას. სახელმწიფო ექცევა ერთი მუჭა საფინანსო ოლიგარქიის ხელში და ის ოდენ მათ ინტერესებს ემსახურება, რა და როგორ, ამაზე ზემოთ ვიმსჯელეთ.

ასეთი პირობებში საპარლამენტო არჩევნები თითქმის მუდამ ფიქციის დონემდეა დაყვანილი. პარლამენტი იქცევა სახალხო დოვლათის მიმტაცებელ უსაქმურთა ხროვად. მათ მიერ მიღებული თუნდაც საუკეთესო კანონებიც კი ხალხში ნდობით არ სარგებლობს.

... ეს არანორმალურია, მაგრამ ფაქტია... ამიტომ ხალხის ნების გამოხატვის, ე.ი. დემოკრატიზმის განხორციელების ერთადერთ წყაროდ და გარანტად პარლამენტის დადგინება სრული ფიქციაა..

ჯერ პუტჩისტურმა ალიანსმა და შემდეგ მისმა მემკვიდრე ფსევდოსოციუმმა იმდენი გააკეთეს, რომ სახალხო და თავისუფალი არჩევნებით არჩეული, მრავალსაუკუნოვანი ნანატრი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარანტი – უზენაესი საბჭო განდევნეს. სახელს უტეხდნენ საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში წარმოუდგენელი თავისუფალი და ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნებით არჩეულ სახალხო ორგანოს. შემდეგ კი „იმედის არჩევნებიდან“ მოყოლებული ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებით დამთავრებული (მცირე გამონაკლისით), იმდენად გააყალბეს და გაამრუდეს ეს უმთავრესი პროცესი დემოკრატიზმისა, რომ ხალხს არჩევნების ხსენებაზე ელეთმელეთი მოსდის. ასეთი სიყალბითა და ძალადობით შეკოწიწებული პარლამენტი შესძულდა ხალხს, თვით არჩევნების ინსტიტუტმაც დაკარგა ნდობა.

მაშასადამე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჩვენს პირობებში, როცა არ არის ფორმირებული მტკიცედ შეკრული მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საზოგადოებრივი ფენები თავიანთი შესაბამისი იდეოლოგიითა და მრწამსით, ვერც მესამე ფენის და ვერც რეალური მრავალპარტიული სისტემის ფორმირება ვერ მოხერხდება.

ამიტომ, ასეთ ფეთქებადსაშიშ რეგიონში მდებარე პატარა სახელწიფოში, როგორიც ჩვენია, ახლო მომავალში, სანამ არ აშენდება რეალური დემოკრატიზმი (ეს კი ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზთა გამო ძალზე რთულია), რაც პარლამენტარიზმის უმთავრესი პირობაა, საპარლამენტო რესპუბლიკური მმართველობის მოწყობა ილუზიაა, კიდევ უფრო მეტი – **დანაშაულია**. ამის წყალგაუვალი მტკიცებულებაა კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდგომი პერიოდი, დღევანდელი არანაკლებ საშიში პოლიტიკური სიტუაციის ჩათვლით, რომელზედაც მეტ-ნაკლებად ზემოთ ვიმსჯელეთ.

ამიტომ შევეცდებით, მოკლედ გადმოვცეთ ის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობები, რომლებიც გვიდასტურებენ საყოველთაო-სახალხო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობას.

* * *

საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიულ ფესვებზე ზემოთ საკმაოდ ვიმსჯელეთ, ახლა კი გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ იმ წინააღმდეგობებს, რომელნიც თან ახლდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესს, განსაკუთრებით სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნას.

ჩვენ აქ არ შევუდგებით მამარდაშვილისეული „ჯერ დემოკრატიის...“, სინამდვილეში „ანტიდემოკრატიულ“ ლოზუნგს ამოფარებულთა ორმაგ თამაშს **პასუხისმგებლიანი** სახელმწიფო მმართველობის შემოღების წინააღმდეგ, რომელმაც თავიანთი ანტისახელმწიოებრივი, დამანგრეველი ქმედებებით დღევანდელ დღემდე მოგვიყვანა. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ შევეცდებით, რამდენიმე შტრიხით მოვხაზოთ და შევეხოთ იმ ვულგარულ ე.წ. თეორიებს და მისგან მომდინარე აშკარად ანტისახელმწიფოებრივ და ანტიხალხურ გამოვლინებებს.

ეს „ორმაგი თამაშის“ დიდოსტატები, რომლებიც ფარისევლურად ცალი ხელით პირჯვარს იწერდნენ საქართველოზე, მის თავისუფლებაზე, დემოკრატიაზე, ხოლო მეორე ხელით ჩაჰბღაუჭებოდნენ რუსული იმპერიის კალთას, მთელი არსებით ებრძოდნენ **ქართველი ხალხის ბუნებრივ და შინაგან მისწრაფებებს პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი.**

საქართველოს მოსახლეობის ასეთი მისწრაფება სრულად დაადასტურა პირველი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა, რომლის შესახებაც არჩევნების მეორე დღეს პრეზიდენტმა განაცხადა, „ქართული მოსახლეობის 99 % და არაქართულის 65 % მე მიჭერს მხარსო“. სწორედ **ამ საყოველთაო თანხმობაში აისახა ჩვენში საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღების ბუნებრიობა**.

არჩევნების მიმდინარეობის პერიოდში ზედმიწევნით განემარტა ხალხს, თუ რატომ იყო აუცილებელი ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისთვის პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება. ზურაბ გაგნიძე „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ თავის ეწრილში აღნიშნავდა, რომ მრავალპარტიული გზით არჩეულმა უზენაესმა საბჭომ გზა გახსნა რეფერენდუმისკენ, რომლის საფუძველზე გამოცხადდა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამან **ბუნებრივად** მოითხოვა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება და დამკვიდრება, რომელიც კი არ უპირისპირდება პარლამენტს, არამედ გამომდინარეობს მისგან და წარმოადგენს მის ლოგიკურ დაგვირგვინებას (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, მაისი, 1991 წ.).

ესაა ის ერთიანი ჯაჭვი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისა, რომლისგანაც თუნდაც ერთი რგოლის ამოღება გაწყვეტს ამ ერთიანობას და საშიშროების წინაშე დადგება მთელი სახელმწიფოებრიობა, რაც კიდევაც მოხდა სახელმწიფო-კრიმინალური გადატრიალების პროცესში, როცა განდევნეს პრეზიდენტი და შეწყვიტეს ამ ინსტიტუტის საქმიანობა. ხელში შეგვრჩა განადგურებული სახელმწიფო და დეცენტრალიზებული ქვეყანა, იმპერიის მიერ მიტაცებული, ოკუპირებულ-ანექსირებული (თითქმის სრულად) ტერიტორიები. აღსრულდა ის, რაზედაც არაერთგზის აფრთხილებდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ე.წ. ოპოზიციას, სინამდვილეში რუსული იმპერიის მსახურ პარტიულ-ნომენკლატურულ, კორუფციულ ჯგუფებსა და შეიარაღებულ ბანდებს და მათ იდეოლოგებს, „წითელ ინტელიგენციას“.

სხვათა შორის, პრეზიდენტის ინსტიტუტის ისტორიულ მნიშვნელობაზე და მის დანიშნულებაზე ქვეყნის ცენტრალიზაციის სკითხში ზემოთ მიითითებული წერილის ავტორი წერს: თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, რომლის ძირითადი მიმართულება იყო ბრძოლა ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისათვის, მის ძარღვს წარმოადგენდა ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერება და ცენტრიდანულ მიმდინარეობათა შესუსტება, რაც გარანტია იყო ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს არსებობისა. მაშინ თავისთავად ცხადია, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოტანა მიმართულია ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისკენ, რაც გამოხატავს ქართველი ერის ნებას და, მაშასადამე, დემოკრატიულიცაა, რადგან ხალხის ნებიდან ამოდის და არა რომელიმე ელიტარული ფინანსურ-ოლიგარქიული თუ პარტიული ინტერესებიდან.

მაშასადამე, თუ ავტორისეული სიტყვებით ვიტყვით, **პრეზიდენტის ინსტიტუტი „ქართველი ერის მთლიანობის გაძლიერების და აღორძინების აუცილებელი საშუალება გახლავთ“.**

ისტორიული ცნობიერებიდან გამომდინარე, ავტორი იმავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცენტრალიზებული ხელისუფლების შე-

სუსტებისკენ მიმართული ქმედება კი ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც საქართველოს ერთიანობის საწინააღმდეგო აქტი და ღალატი (იქვე). დღეს რა შეგვრჩა ხელში „კონსტიტუციური რეფორმის“ შედეგად? – მხოლოდ ის, რომ მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა. აღმასრულებელი ხელისუფლება მართავს სახელმწიფოს მთელ საქმიანობას, მას წარმოადგენს უმრავლესობა (პარტია) და ამტკიცებს პარლამენტი, მის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს იგივე საკანონმდებლო ორგანო, ის კი, თავის მხრივ, ექვემდებარება პარტიულ კოალიციას, კონსტიტუციურ უმრავლესობას, რომელიც, თავის მხრივ, იმართება სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან არავითარი კავშირის მქონე სუბიექტის (სუბიექტთა) მიერ. მაშასადამე, მთელი სახელმწიფო სისტემა იმართება კონსტიტუციური ფარგლებიდან გასული პირის (თუ პირთა ჯგუფის) მიერ. ასეთ პირობებში დღევანდელი სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტი მკვდრადშობილია.

ასეთ სიტუაციაში იმყოფება ქართული სახელმწიფოებრიობა დღეს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა სახელმწიფოებრიობის დასუსტებასთან ან ამ დასუსტებისკენ მიმართულ ქმედებასთან, რომელიც ჩვენი ისტორიის მანძილზე, როგორც ითქვა, მუდამ აღიქმებოდა ქვეყნის მთლიანობის წინააღმდეგ მიმართულ აქტად – ღალატად, არამედ **სრულდება, როგორც დასავლეთში უწოდეს, „სახელმწიფოს სრულად მიტაცება“.**

ასეთი დამანგრეველი პროცესების თუნდაც შენელების გზა სახალხოდ არჩეული პრეზიდენტისთვის ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარიჟრაჟზე დაკისრებული, საერთაშორისო ნორმებით აღიარებული ვალდებულებების რეანიმირებაშია.

როგორც ჩვენი ავტორი აღნიშნავს, პრეზიდენტის ინსტიტუტი და პრეზიდენტობა დღეს ფიქსირდება, როგორც უდიდესი ეროვნული ტვირთი. ის არის ქართველი ხალხის თავისუფლებისა და მრავალი საუკუნის მანძილზე დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა და მისი ხანგრძლივად დადგინების, სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის არსებობის გარანტიცა და სიმბოლოც.

საინტერესოა იმავე ავტორის მიერ საქართველოს პრეზიდენტისთვის აუცილებელი ნიშან-თვისებების წარმოჩენა, რომ **საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს სულით და ხორცით ქართველი, არაამბიციური და ამავე დროს დიდი შინაგანი ღირსების მქონე. ის უნდა იყოს ერის, ხალხის და არა რომელიმე ჯგუფის წარმომადგენელი. პრეზიდენტობა წარმოადგენს დიდ ეროვნულ ტვირთს, უდიდეს ეროვნულ პასუხისმგებლობას.** თუ ამ განმარტებას ჩამოვაცილებთ საარჩევნო ბატალიებისთვის დამახასიათებელ (მაგრამ მაინც ზომიერ) პათოსს პრეზიდენობის კანდიდატის საუკეთესო თვისებების წარმოჩენისა, ჩვენ მივიღებთ ქვეყნის პრეზიდენტის იმ სახეს, რომლის გარეშეც ის ვერ განახორციელებს ხალხის მიერ მისთვის მინდობილ ნებას. თუ როგორ უნდა განხორციელდეს ხალხის ეს ნება, ამაზე პირველმა პრეზიდენტმა ჩვეული ლაკონიურობით და სიბრძნისეულად უპასუხა 1991 წლის 27 მაისს (არჩევნების მეორე დღეს) პრესკონფერენციაზე:

აშშ მასმედიის წარმომადგენლის შეკითხვაზე – გ.ჭანტურია (სხვა ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფებიც – მ.ზ.) ამტკიცებს, რომ პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებას ოკუპირებულ ქვეყანაში აზრი არა აქვსო – ის პასუხობს: ჭანტურიასნაირი არასერიოზული პიროვნებების ციტირების აქ მოყვანა ცოტა უხერხულია. მან ისიც არ იცის, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებობს საბჭოთა ჯარი და მაინც ტარდება საპრეზიდენტო არჩევნები. მართალია, არა პირდაპირი გზით, მაგრამ მაინც პარლამენტების მიერ არჩეულნი იქნენ პრეზიდენტები. ამით ზვიად გამსახურდიამ საერთაშორისო პრაქტიკითაც განამტკიცა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესისთვის ამ ინსტიტუტის არსებობის აუცილებლობა.

სამწუხაროდ, ჭანტურიას არასერიოზულობაზე უფრო საშიში იყვნენ ის ანტისახელმწიფოებრივი ძალები, რომლებიც საყოველთაო თავისუფლების და დემოკრატიის სოფისტურ ლოზუნგს ამოფარებულნი, სინამდვილეში საკუთარი ვიწროჯგუფური ინტერესებით აგზნებულნი ებრძოდნენ ხალხის წინაშე პასუხისმგებლიანი მმართველობის ფორმირებას,

რათა სუსტი სახელმწიფოებრიობის პირობებში, მუდმივ კრიზისსა და ქაოსში დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ჟინი.

იმას, რასაც ეს ქაოსური ჯგუფები აკეთებდნენ, პოლიტიკურ „ინეტერესს“ ვერ უწოდებს კაცი. შედეგიც ყველამ უწყის. მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ეს ტენდენცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ჩვენი მეოთხედსაუკუნოვანი დამოუკიდებელი არსებობა ჯოჯოხეთად აქციეს, კრიზისისა და ქაოსის გზით ატარეს ქვეყანა. მათ თავისი გაიტანეს, გაანადგურეს საპრეზიდენტო პასუხისმგებლიანი მმართველობა, რაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის სრულ დეგრადაციას გამოიწვევს.

საპრეზიდენტო ინსტიტუტს ზვიად გამსახურდია მიიჩნევდა ჩვენი დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად და ეროვნული თანხმობის გარანტად. ის აღნიშნავს, რომ ამ არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე საერთო ეროვნული თანხმობა საქართველოში მიღწეულია. პრეზიდენტის თქმით, მცდელობა ეროვნული მოძრაობის, ქართველი ხალხის ორად გაყოფაზე, ეროვნულ განხეთქილებაზე და სხვა მისთანები – ყოველივე ეს ჭორია.

ამდენად, პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების ჩატარება თავისი არსით რეფერენდუმის მნიშვნელობის მატარებელია, რომლითაც ფიქსირდება საყოველთაო თანხმობა დამოუკიდებელი დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფოს არსებობაზე.

ეს ის გარდაუვალი ღირებულებებია, რომლებიც აკლია პოსტპუტჩისტურ საქართველოს. პუტჩისტური ალიანსით შეკოწიწებული ფსევდოსოციუმი ისევ იმ ფორმულით ასაზრდოებს ხალხს, რომ მაშინ საზოგადოებრივი განხეთქილება მოხდა, ხალხი ორად გაიყო და ა.შ. „ორივე მხარე“ თანატოლადაა პასუხისმგებელი გადატრიალებასა და მის შემდგომ პროცესებზე, ამიტომ ყოველივე უნდა დავივიწყოთ და წყალს გავატანოთ. მას ჩავლილ ეტაპს უწოდებენ და უაზროდ გაიძახიან, ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთო, მაგრამ **არავინ უწყის, სადაა ეს თავი.**

თავი კი იმ გარდაუვალ ღირებულებებშია, რომელნიც ჩამოყალიბდა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით დაწყებული და 1991 წლის 26 მაისის საყოველთაო არჩევნებით დამთავრებული.

ამ ღირებულებების სრულფასოვნად ამოქმედების გარეშე დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ყოველგვარი მცდელობა ფუჭია, ვინაიდან სწორედ ისინი წარმოადგენენ დემოკრატიული საზოგადოების შექმნის აუცილებელ პირობას. მოცემულ შემთხვევაში, **ლაპარაკია იმ დემოკრატიულ ღირებულებებზე, რომელთა მეშვეობით საქართველომ შეძლო ბოროტების იმპერიისაგან თავის დახსნა, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოსათვის საფუძვლის ჩაყრა მშვიდობიანი გზით**, რომელზედაც დღესაც ბოგინებს (უფრო ზუსტია ზანური „გიჩაჩახნა“) ყველა პოსტპუტჩისტური ფსევდოდემოკრატიული სახელმწიფო ელიტა.

* * *

ქართველი ხალხის ეს მიღწევა მაშინდელი თავისუფალი სამყაროს მხრიდან პატარა საოცრებად იყო აღქმული, რაც კარგად ჩანს ერთ-ერთი კორესპონდენტის მიერ ჩამოყალიბებული კითხვიდან: **„თქვენ პირველები იყავით იმ საბჭოთა იმპერიაში, ვინც ჩაატარეთ მრავალპარტიული არჩევნები და პირველებმავე ჩაატარეთ ძალზე კარგად საპრეზიდენტო არჩევნები. კიდევ რაში უნდა იყოთ პირველნი ამ იმპერიაში“.**

ზ.გამსახურდია ზემოთ მოყვანილ კითხვაზე პასუხობს: **„დემოკრატიაში, ადამიანის უფლებების პატივისცემაში და ლოცვაში და უნდა ვიყოთ ამ ტოტალურ იმპერიაში დემოკრატიული კუნძული, რომელიც მთელ მსოფლიოს აჩვენებს, თუ რა შეუძლია მთელი ერის, მთელი მოსახლეობის გაერთიანებულ ბრძოლას და ძალისხმევას. ამას ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ“.**

ეს იყო უდიდესი **ჰუმანური პროგრამა**[7] და-

[7] სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ მიწასთან გაასწორეს ეს დემოკრატიული მიღწევები, რასაც, როგორც ითქვა, ერთსულოვნად აღიარებდა დასავლური ცივილიზაცია. მათ ჩანასახშივე მოსპეს ეს პროგრამა, ის მისწრაფებები და მიზნები, რომელთა აღსრულებასაც ჰპირდებოდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ცივილიზაციურ სამყაროს არჩევნების მეორე დღეს.

მოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისა და ღირსეული ადგილის მოპოვებისა დასავლურ პოლიტიკურ კულტურაში.

დაჯერებით შეიძლება ითქვას: ეს იყო მიზეზი შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალებისა. რადგან ის პირველი გზამკვლევობა დემოკრატიზმისა ტოტალური იმპერიის მასშტაბით სასიკვდილო საშიშროებას წარმოადგენდა ბოროტების იმპერიისთვის. ბოროტება და დემოკრატიული ჰუმანიზმი, საითკენაც მიილტვოდა საქართველო, შეუთავსებელი იყო. სხვა ყველაფერი, ის შიდა პროცესები, რომელნიც გადატრიალების საბაბად იქნა გამოყენებული ამ უმთავრეს მიზანს: **რუსული პოლიტიკური სისტემისგან მოწყვეტის არდაშვებას ექვემდებარება.** აუცილებელი იყო, არ დაეშვათ ტოტალური იმპერიის ინტერესთა სივრცეში **საქართველოს დემოკრატიულ კუნძულად ჩამოყალიბება და არსებობა**.

ესაა ნამდვილი მიზეზი რუსეთ-საქართველოს პერმანენტული ომისა, რაც სხვადასხვა ფორმით ვლინდება ხოლმე, რევოლუციის შემდეგ კიდევ საქართველოს დასავლური ორიენტაციის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიად იქნა სახელდებული, რაც ნაწილობრივ შეეფერება სინამდვილეს, ვინაიდან დასავლურობაში დემოკრატიულობაც იგულისხმება.

მთელი „პროდასავლური ძალების“ გულწრფელი თუ ნახევრადგულწრფელი საქმიანობა ამ „ნაწილობრივ სიმართლეზეა“ აგებული. შესაბამისად, ისინი ნაწილობრივ წარმატებასაც ძნელად აღწევენ. მათი „დიდი ღვაწების“ შედეგს სრულად ითვისებს ის პოსტპუტჩისტური ალიანსით შობილი სოციუმის ხელისუფლება, რომელიც სწორედ სახელმწიფოებრივი განვითარების იმ უმთავრეს მიზეზს ებრძოდა და ებრძვის, რასაც **საქართველო დემოკრატიის კუნძულად უნდა ექცია.** ამ უმთავრესში ემთხვევა ერთმანეთს პოსტპუტჩისტური კონტრრევოლუციური ხელისუფლებებისა და რუსეთის ინტერესები. ეს არაა შემთხვევითი პროცესი, **ინტერესთა დამთხვევა სათავეს იღებს საქართველოს დემოკრატიის კუნძულად გადაქცევის პროგრამის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლიდან.**

ახსოვს კი ეს პროგრამა ვინმეს დღეს?

ეს ჩვენი ფსევდოსოციუმი კი არა, თვით კანონიერების აღდგენისთვის თავგადაკლული მებრძოლებიც ნაკლებად იხედებიან ამ სიღრმეებში. დღევანდელი „მედასავლეთენი“ და ლიბერალ-დემოკრატები იმ სახელმწიფო პროგრამის გაუთვალისწინებლად, რაღაც გაგონილით და მოსმენილით, სადღაც ამოკითხულით თუ ვიღაცის დაკვეთით „აშენებენ“ დემოკრატიულ სახელმწიფოს. იმას კი არ დაგიდევენ, შეესაბამება თუ არა ის იმ ფუძემდებლურ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთაც სახავდა იმპერიის კლანჭებიდან თავდახსნილი ხალხი. არც იმაზე ფიქრობენ, **სად გაწყდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ჯაჭვი, რატომ მოხდა ისე, რომ „გაიმარჯვა“ რუსულმა იდეოლოგიამ და ნომენკლატურულ-კრიმინალურმა რევანშიზმმა.**

ეს დიადი პროგრამა ქვეყნის (სახელმწიფოს) დემოკრატიული განვითარებისა საბჭოთა ნომენკლატურისა და კრიმინალურ-კორუფციული ალიანსის მიერ პროვინციულ ფაშიზმად იქნა მონათლული მათი ბელადისა და „მამა-მარჩენალი“ ედ.შევარდნაძის ხელდასმით. ამით გზა ჩაუხერგეს არა მარტო დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების პროცესს, არამედ **იდეაშიც მოსპეს დემოკრატიული საზოგადოების აშენების პერსპექტივა**. ქვეყანა ჩაძირეს სიცრუის ჭაობში. გაიმარჯვა ბოროტებამ. ამის ნაყოფს ვიმკით დღემდე.

ყოველგვარ ჭეშმარიტად დემოკრატიულ ღირებულებებზე უარის თქმა და სიცრუისა და ორპირობის გაფეტიშება იქცა ცხოვრების ნორმად. ამ საშინელებას ვერც რევოლუციამ უშველა, რადგან ისინი დიდწილად პუტჩისტური ალიანსის მიერ შემუშავებული ფსევდოღირებულებების ტყვეობაში აღმოჩნდნენ, რომელიც ანადგურებდა ჭეშმარიტად დემოკრატიული განვითარების ფუძემდებლურ პროგრამას.

მათ ამ ფსევდოღირებულებებთან დასავლეთურ თეორიულ სწავლებათა თუ პრაქტიკის მექანიკური შეჯვარებით იწყეს დემოკრატიის საოცნებო კოშკის აშენება. ეიფორიაში მყოფებმა თავი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის გზის გამკვლავებად წარმოიდგინეს. ის კი ვერ შეამჩნიეს, რომ ამ მშენებლობის პროექტი უკვე მოხაზული იყო

და კრემლის ბრძანებით და მისი ქართველი ემისრების ხელით ცხრაკლიტულში დაგმანული. უპროექტოდ აშენებული ეს „ახალი შენობა“ ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა, სადაც ცოტა ხანს იფარფატა და შემდეგ ზღართანი მოადინა მიწაზე. იზეიმა კონტრევოლუციამ, რეაქციულმა პოსტპუტჩისტურმა ალიანსმა. გაცოცხლდა ჩრდილოური გზის იდეა და „დათვი თუ მოგერია, ბაბაია უთხარიო“-ს პრაქტიკა, მისი განხორციელების პროგრამად კიდევ – „ზედმეტად თვალში ნურავის შევეჩხირებითის სიბრძნე“. დასავლეთთან კავშირი და დემოკრატიის აშენებისკენ მიმართული „უდიდესი ძალისხმევა“ შირმაა, რომლითაც იფარება ის პრაქტიკული, ეკონომიკური და საფინანსო კავშირები, საინვესტიციო პროგრამები, რომლებიც მსოფლიო ჩრდილოვანი ეკონომიკის გავლენით ხორციელდება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ოლიგარქიული ელიტისთვის...

ამდენად, უდიდესი იმედგაცრუება მოელით იმათ, ვინც კონტრრევოლუციით აღორძინებული პუტჩისტური ალიანსის ამ პროგრამის კრიტიკით თუ მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობით ილუზიას იქმნიან დემოკრატიული საზოგადოების და მმართველობითი სისტემის ფორმირების თაობაზე. ეს უდიდესი თვალთმაქცობაა, თორემ ნუთუ ვერაფერი ისწავლეს „დიდი დემოკრატის“ ედ. შევარდნაძის საქმიანობისგან, მის მიერ აშენებული დემოკრატიული სისტემისგან. ნუთუ ძნელია გაიგო, თუ სანამდე შეიძლება მიიყვანოს სახელმწიფო, საზოგადოება ამ საკითხში (დემოკრატიის) ორპირობამ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ნამდვილად გვინდა გამოვიდეთ მეოთხედსაუკუნოვანი კრიზისიდან, თავი უნდა დავანებოთ უზნეო თამაშებს ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოებრიობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხზე – დემოკრატიაზე უნდა მივუბრუნდეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარიჟრაჟზე ფორმირებულ პრინციპს ...ვიყოთ პირველნი დემოკრატიაში, ადამიანების უფლების პატივისცემაში და ლოცვაში... ავაშენოთ დემოკრატიის კუნძული... აი, რა არის ეროვნული თანხმობის უპირველესი საკითხი. ასეთი თანხმობის გარეშე ყოველგვარი მცდელობა დემოკრატიული სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესებაზე ამაოა.

არსებული კრიზისიდან გამოსვლის ერთად-ერთ სწორ გზად გვესახება, შევთავაზოთ ხალხს ეროვნული თანხმობისა და სოციალური თანაცხოვრების ახალი საზოგადოებრივი ხელშეკრულება. მოწოდება ასეთ საზოგადოებრივი ხელშეკრულებაზე ჩვენში კი არა, კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებშიც გაისმის, ვინაიდან დღევანდელი ცივილიზებული სამყარო რაშიც ნამდვილად დარწმუნებულია, ეს **ქაოსია – სოციალური და პოლიტიკური.**

ასეთ უკიდურესად კრიტიკულ ეპოქაში პრეზიდენტის ინსტიტუტის დეგრადირება სწორედ რომ ქაოსის ხელოვნურად გამწვავებას ემსახურება. ამიტომ უნდა ვესწრაფოთ პრეზიდენტის პასუხისმგებლიანი ინსტიტუტის იმ მიზანდასახულობის დონეზე აღორძინებას, რომელიც მას დაესახა მისი დაბადების მეორე დღესვე.

* * *

პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრების როლზე ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარების საკითხის შემდეგ, **უპირველესი მნიშვნელობის პრობლემად გამოიკვეთა საქართველოს პოზიციის განმტკიცება საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს აღიარება, როგორც თანასწორუფლებიანი სუბიექტისა და პარტნიორისა.**

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხად გამოიკვეთა **პრეზიდენტის ინსტიტუტის ზრუნვა ეკონომიკური სტაბილიზაციისთვის,** რათა უზრუნველყოფილი იყოს ხალხის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის პერმანენტულად გაუმჯობესება, მისთვის ხელშემშლელ გარემოებათა მოშლა.

სამწუხაროდ, ამ ორივე მიმართულებით საქართველო დღეს საერთაშორისო არენაზე მოპოვებული **პოზიციების დათმობის** ეტაპზეა, პრეზიდენტის ინსტიტუტის სრული დეგრადირების შემდეგ ეს პროცესი კიდევ უფრო შეუქცევადი გახდება.

იმავე ეტაპზე პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის გარდაუვალ ამოცანად დაისახა **სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის განსაზღვრა**

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე, მის ურყევ კავშირ-ურთიერთობაზე დასავლური დემოკრატიის ქვეყნებთან. პრეზიდენტი საქვეყნოდ აცხადებდა, რომ **„ჩვენი პოლიტიკური კურსი ყოველთვის დაემყარება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს, დემოკრატიის პრინციპებს“.**

აი, ეს იყო მიუღებელი საბჭოური და პოსტსაბჭოური რუსული ტოტალიტარიზმისთვის, რომელიც ესწრაფვოდა არა დემოკრატიულ გარდაქმნებს და საყოველთაოდ აღიარებული ამ ჰუმანიტარული პრინციპების დანერგვას და ტოტალიტარული ბოროტების საფუძვლის მოშლას, არამედ ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს იმისთვის, რომ რუსულ ტოტალიტარიზმს მიუსადაგოს ე.წ. დემოკრატია და ის მმართველობის განსაკუთრებული რუსული სტილის შირმად აქციოს.

იმპერიის ნანგრევებიდან საქართველოში „დემოკრატიის კუნძულის ამოზრდა“ მათი ბუნებისთვის ყოვლად მიუღებელია. ამიტომ აწარმოებდნენ გორბაჩოვ-შევარდნაძე ხმალამოღებულ ბრძოლას საქართველოში ჭეშმარიტად დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული სახელმწიფოებრიობის აშენების წინააღმდეგ. სიხარბით დაბრმავებული დასავლეთისთვის „პოსტსაბჭოური დემოკრატიზმის“ იმედად მიჩნეულმა ელცინმა, საბჭოთა კავშირის დაშლის დღესვე, თავისი საქმიანობა იმით დაიწყო, რომ საქართველოს პრეზიდენტს შემოუთვალა, თავი დაენებებინა დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მისეული გეგმის განხორციელებისათვის და დაუყოვნებლივ მიერთებოდა სნგ-ს. ულტიმატუმის გავლის შემდეგ, წუთიწუთზე დაიწყო ის პრობლემები, რის შექმნასაც ელცინი იქადნიდა; დაიწყო „თბილისის ომი“, სინამდვილეში, განახლდა რუსეთ-საქართველოს ომი.

ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილად ჩამოკიდული საშიშროების გამო იყო, რომ პრეზიდენტი აცხადებდა: „მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ დავუშვებთ ანარქიას საქართველოში, ანარქიას, დესტაბილიზაციას და კრემლის ბნელი ძალების თარეშს“. ეს საშიშროება დღესაც ალესილ მახვილად კიდია საქართველოს თავზე. ამიტომ სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის თვინიერ არაა სხვა ინსტიტუტი, რომელიც შეძლებდა ამ მისიის სრულყოფილად განხორციელებას.

* * *

ამ ზოგადი ღირებულების განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა და უნდა განისაზღვროს პრეზიდენტის ინსტიტუტის დანიშნულება სახელმწიფოს მონაწილეობაზე ჰელსინკის თუ მის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების საქმიანობაში თუ სხვა მრავალსახოვან პროცესებში.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა ამ პროცესებში საქართველოს მონაწილეობის პოზიტიური მნიშვნელობის თაობაზე და დასახა სამომავლო მიზანი, რომ მათში მონაწილეობა სასიცოცხლოდ აუცილებელია, ვინაიდან „ჰელსინკის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა და პრინციპი არის სწორედ ისეთ ქვეყნებთან ურთიერთობა, სადაც არის ნამდვილი დემოკრატია და დაცულია ადამიანის უფლებები“.

მაშასადამე, ყველა ძირითად პოზიციაში, რომელთა განხორციელებასაც უნდა ემსახურებოდეს პრეზიდენტის ინსტიტუტის დამკვიდრება, **მათ ამოსავლად აღიარებულია დემოკრატიული პრინციპები და ადამიანის უფლებათა დაცვა. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულია საგარეო ურთიერთობათა პრიორიტეტი, რომ მეგობრული კავშირი გვქონდეს ისეთ ქვეყნებთან, სადაც არის ნამდვილი დემოკრატია.**

ამდენად, სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის ფუნქციონირება გარდაუვლად აუცილებელი ფორმაა ჩვენი დამოუკიდებელი ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის. **მხოლოდ ამ ინსტიტუტის მეშვეობითაა შესაძლებელი სახელმწიფო მმართველობაში ხალხის – საზოგადოებრივი ფენების სრულფასოვანი მონაწილეობისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა.**

ამასთან, ისაა გარანტი ათასწლოვან სახელმწიფოებრიობასთან ისტორიული და ფსიქო-კულტურული კავშირის შენარჩუნებისა, თვით სისხლისმიერი და გენეტიკური ერთობის

ჩათვლით. ზვიად გამსახურდია კი ამ მეტა-ფიზიკურ სულიერ ერთობას მიიჩნევდა ნამ-დვილი დამოუკიდებლობის მოპოვების გზად. ის „ოგონიოკის“ კორესპონდენტს უხსნის: „... ნამდვილი დამოუკიდებლობის გზა ეროვნული სულის, ეროვნული ხასიათის რესტავრაციით, მრავალი თვალსაზრისით უკვე დაკარგული ეროვნული ხასიათის რესტავრაციით, ეროვნუ-ლი სიამაყის, ეროვნული ღირსების აღორძინე-ბით უნდა დაიწყოს, ეს ალბათ უფრო ძნელია, ვიდრე მრავალი პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხის გადაწყვეტა... უამისოდ საერთოდ ვერ გადავწყვეტთ ვერც ერთ დიდ პოლიტი-კურ თუ ეკონომიკურ ამოცანას“ (კრებული ტ.1, გვ.196-197).

ზვიად გამსახურდიას მიერ დამოუკიდებლო-ბის განხორციელების ზეამოცანად გამოცხადე-ბული ამ საკითხის გადაწყვეტის ორგანიზება და მასზე პასუხისმგებლობის აღება მხოლოდ სრული სახალხო ლეგიტიმაციის მქონე ლი-დერის კომპეტენციაში შედის. სახელმწიფო სტრუქტურაში ასეთად პირდაპირი გზით არ-ჩეული პრეზიდენტი თუ შეიძლება იყოს.

* * *

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ოფიციალურ ინაუგურაციამდე ცოტა ხნით ადრე, 1991 წლის 7 ივნისს, უზენაესი საბ-ჭოს სესიაზე გამოსვლისას, თავისი სიტყვის შესავალ ნაწილში კიდევ ერთხელ განმარტა საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტის ინსტი-ტუტის არსებობის აუცილებლობის საკითხი. მან მადლობა გადაუხადა ყველა მხარდამჭერს და მიმართა: „მე მსურს აგრეთვე თქვენი ყუ-რადღება მივაპყრო უდიდეს მნიშვნელობას **სა-ერთო-სახალხო არჩევნებისას“**, რა თქმა უნდა, მხედველობაში აქვს პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევა.

პრეზიდენტი ამ „უდიდესი მნიშვნელობის“ აქტის უპირველეს საკითხად წარმოადგენს **თავისუფლებას და მისი რეალური განხორცი-ელების სირთულეს,** ის განმარტავს: მძიმე და ეკლიანია თავისუფლებისკენ მიმავალი გზა... ძნელია ამ გზაზე ყოველდღიური სიარული, როცა გაივლის პირველი ენთუზიაზმი, გამოჩ-ნდებიან შეცდომილები და გზას აცდენილები, როდესაც ამქვეყნიერი ხორციელი პრობლემე-ბი თითქოსდა შურს იძიებენ შინაგანად უკვე თავისუფალ ერზე. ის იქვე დასძენდა: უნდა ვაღიაროთ, რომ ოცნება თავისუფლებაზე, სტიქიური მოქმედება მისი სახელით, შეუდა-რებლად უფრო იოლი იყო, ვიდრე სახელმწიფო რანგში აყვანილი ეროვნეული აღორძინება. ამით პრეზიდენტმა ხაზგასმით გამოყო სახალ-ხო არჩევნებით ფორმირებული პრეზიდენტის ინსტიტუტის უპირველესი საზრუნავი, **მოპოვე-ბული თავისუფლების გაღრმავება და ეროვნულ აღორძინებაზე ზრუნვა, საკითხის სახელმწიფო-ებრივ დონეზე აყვანა.**

მეორე – აუცილებელ და არანაკლები მნიშ-ვნელობის პრობლემად გამოიკვეთა ხელისუფ-ლების ვალდებულება, შეამოწმოს ხალხის შინა-განი მზაობა თავისუფლებისთვის, რადგან არ შეიძლება ოდენ გარეგანად მივანიჭოთ ხალხს იგი. ეს აუცილებლობა თავისუფლებისთვის ხალხის შინაგანი მზაობის შემოწმებისა არის ის მომენტი, რომლითაც პრეზიდენტის სახალხო არჩევნებით არჩევას ანიჭებს რეფერენდუმის მნიშვნელობას. ამ გზით პერიოდულად მოწმდე-ბა და დასტურდება ხალხის ნება თავისუფლე-ბაზე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით არსებობის სურვილზე.

პრეზიდენტის პირდაპირი გზით არჩევის მნიშვნელობის ეს მესამე საკითხიც ნათლად გამოიკვეთა პრეზიდენტის სიტყვაში, რომელიც დასკვნის სახით გადმოგვცა: დღეს უკვე გა-დაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ურყევია ქარ-თველი ხალხის ნება დააღწიოს თავი იმპერიულ ბორკილებს. იგი პრინციპულად ადგას ამ გზას. ეს არ გახლავთ მოულოდნელი. ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიერ ფიზი-კურ კეთილდღეობაზე სულისმიერი, ეროვნული აღორძინების სახელით. აღორძინება კი განახ-ლებისა და საკუთარი ჭეშმარიტი მეობისკენ დაბრუნებას ნიშნავს. გადამწყვეტ მომენტში ამ გზის გაკვალვის პროცესში ქართველთა გვერდით დადგა არაქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (დასახ. კრებული, ტ. II, გვ. 131-154).

პრეზიდენტის სახალხოდ არჩევას ის უაღ-რესად მნიშვნელოვანი ფუნქციაც აკისრია, რომ ამ უაღრესად დემოკრატიული გზით შეამოწმოს

უმცირესობის გუნება-განწყობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიმართ, რაც პარტიული არჩევნების (საპარლამენტო) გზით ნაკლებადაა შესაძლებელი.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თუკი რუსული ბოროტებისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო მისი ინტერესების სივრცეში „დემოკრატიის კუნძულის“ აშენება, დასავლური „ჩრდილოვანი დემოკრატიისთვის“ კატეგორიულად შეუსაბამო გახდა „ფიზიკურ კეთილდღეობაზე უარის თქმა სულიერი, ეროვნული აღორძინების სახელით“ საკუთარი ჭეშმარიტი მეობისკენ მიბრუნება, მით უმეტეს, ამ საკითხში ქართველთა გვერდით დადგა უმცირესობის უმრავლესობა. ასე შეიკრა ჩვენს თავზე მანკიერი წრე.[8]

კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის მონიტორინგის სფეროში უნდა შედიოდეს, ესაა **მოსახლეობის ნებისა და სახელმწიფოს (მთავრობის) პოლიტიკური გეზის ჭეშმარიტი ერთიანობის უზრუნველყოფა,** ამ გზით ძირეული რეფორმების (საშინაო), საერთაშორისო საქმიანობის და ა.შ. **ღონისძიებათა გამჭირვალობა და მათში ხალხის მონაწილეობის გარანტირება.**

ამდენად, საპრეზიდენტო არჩევნებით პერმანენტულად უნდა დადასტურდეს სახელმწიფოს პოლიტიკური გეზის გამჭვირვალობა და ამ გზით მასში ხალხის მონაწილეობა. როგორც ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პარლამენტის და სრულიად საქართველოს წინაშე აცხადებდა, ის უნდა მიესადაგებოდეს მსოფლიოში გაცხადებული ახალი პოლიტიკური აზროვნებისა და მსოფლიოს ახალი წესების პრინციპებს, „ქართველი ერის უფლებას და ურყევ ნებას – იცხოვროს დამოუკიდებელ სახელმწიფოში“.

პირველი პრეზიდენტი ამ ახალი აზროვნებისა და წესის დანერგვას უკავშირებდა ქვეყნის მომავალს, რომ მას „ექნება მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოების თანადგო-

[8] მგონი პრეზიდენტის ამ მსჯელობიდან აშკარად იკვეთება პასუხი იმათ მიმართ, ვინც ხმის ჩახლეჩამდე ამტკიცებს (ზოგი წინასწარ განზრახულად, ზოგიც მიამიტურად, განსაკუთრებით ახალგაზრდა და საშუალო თაობა): **„ქართველი ხალხი არ აღმოჩნდა მზად თავისუფლებისათვის“.** ზოგად მსჯელობას რომ მოვეშვათ, ერთ კონკრეტულ მაგალითზე შევჩერდები.

რუსთავი-2-ის ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი და საჭირო შოუს წამყვანი მწერლები (შემოქმედებითი ჯგუფი) ხმაშეწყობილად ამტკიცებდნენ იმას, რომ ქართველი ხალხი არ აღმოჩნდა მზად თავისუფლებისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენ მათთან პოლემიკაში არ შევალთ, უბრალოდ, მინდა ამ ახალგაზრდებს შევახსენო, რომ საქართველოს მოსახლეობამ შვიდი თვის განმავლობაში სამჯერ დაადასტურა თავისი მზაობა თავისუფლებაზე, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობაზე. ამის დავიწყება არ შეიძლება. მის გარეშე დემოკრატიული საზოგადოების აშენების ყველა მცდელობა ფუჭად ჩაივლის.

ის, რაც მოხდა, არ ყოფილა თავისუფლებისთვის ხალხის მოუმზადებლობის მიზეზით, არამედ იყო სახელმწიფოს დონეზე აყვანილი ხალხის თავისუფალი ნების წინააღმდეგ მოწყობილი რევანში რუსეთის იმპერიის მხრიდან, ქართულ კომუნისტურ-ნომენკლატურულ კორუფციულ ფენაზე და კრიმინალურ „ბეზპრედელზე“ დაყრდნობით.

თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის თვალსაზრისით, საქართველოს მოსახლეობა, მით უმეტეს, ერი არასდროს ყოფილა ორად დაყოფილი. ყოველივე ეს გამონაგონია პუტჩისტურ ალიანსში შეკოწიწებული იმ ძალებისა, რომლებიც, დემოკრატიის იდეას ამოფარებულნი, დღემდე კრემლის ორბიტაში ტრიალებენ ან კიდევ საერთაშორისო „ჩრდილოვანი დემოკრატიის“ (საფინანსო-ეკონომიკური) გავლენის სფეროში მოქცეულან. ამიტომ ზოგიერთების მიერ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე გულწრფელად გამეორებული, სინამდვილეში უდიდესი სიცრუე, რომ „ერი (ხალხი) მზად არ აღმოჩნდა თავისუფლებისთვის“, ის ნელი მოქმედების ნაღმია, რომელიც თქვენ კეთილ განზრახვებში – დემოკრატიულ საზოგადოების აშენებაში – ხელს გიშლით და ყოველი მკვეთრი მოხვევისას ხელში გიფეთქდებათ.

ამდენად, დემოკრატიულ განვითარებაზე მსჯელობის ყოველ ჟამს, ათასწლეულობით თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეის გენეტიკაში ჩამომყალიბებელ ხალხს თავისუფლებისთვის მოუმზადებლობა დააბრალო, ეს, არაფერი რომ არ ვთქვათ პოლიტიკურ სიბეცეზე, ისედაც დიდი ცოდვაა, რომელიც აუცილებლად ამოხეთქავს. ის, რომ დღემდე მოაღწია თავისუფლებისა და დემოკრატიული აღმშენებლობის იდეამ, ეს ხალხის მიერ სამგზის დადასტურებული ნების გავლენით ხდება, რომლის განახლება რევოლუციამ სცადა, მაგრამ მის ზედა ფენაში ამ და სხვა მსგავს იდეათა მოჭარბებულობის გამო ვერ მოხერხდა და ისევ იმარჯვა რეაქციამ.

მა. საქართველოს რესპუბლიკა მსოფლიოს სახელმწიფოებთან ურთიერთობას ააგებს თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთხელსაყრელიანობის და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებზე. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეთანხმებებს ერთიანი მშვიდობიანი თანაარსებობის ყველა სფეროში“ (დასახ. კრ. გვ.154).

ასეთია ის ძირითადი საკითხები, რომელთა განხორციელებაზე ზრუნვა სახალხოდ არჩეული პრეზიდენტის კომპეტენციაში უნდა შედიოდეს, მათდამი პასუხისმგებლიან მონიტორინგს ახორციელებდეს. ყველა სხვა შემთხვევაში მათი აღსრულება საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან არასრულყოფილი იქნებოდა, უფრო მეტიც – ფიქცია, რადგან მათში სრულყოფილი ნების ასახვა ვერ მოხერხდებოდა; ხალხი გამოეთიშება პროცესს; ხალხის გარეშე ვერც პროცესის გამჭვირვალობა მოხერხდება და ვერც დემოკრატიულობის უზრუნველყოფა. ყოველივე ეს კი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობას, თვით მის არსებობასაც კი უქმნის საფრთხეს.

ჩვენ ამჯერად არ ვამახვილებთ ყურადღებას პრეზიდენტის პასუხისმგებლიანი ინსტიტუტის არსებობის ფორმალურ მხარეებზე, რომლის მეშვეობითაც მყარდება ისტორიული (სიმბოლურად) მემკვიდრეობითობა როგორც აწყმოსთან, ასევე მომავალთან. მათ შორის ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრიობის არსებობის ღირსეული მატერიალური სიმბოლოს – ქვეყნის მთავარი არქიტექტურული ნაგებობის არსებობა.

ასეთია ის საშიშროება,რომლის მატარებელიცაა ახალი წლიდან ამოქმედებული „ახალი კონსტიტუცია“ და პირდაპირი გზით არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის სრული დეგრადირება. მოკლედ, ქვეყანა უკიდურესი გამოცდის წინაშე დგას...

გადარჩენის გზა ეროვნულ თანხმობაზე გადის. ამიტომ გარდაუვლად მიგვაჩნია ავაშენოთ ნდობის ის პლატფორმა, რომელიც შესაძლებელს გახდის რეალური საყოველთაო თანხმობის მიღწევისთვის გზის გაკვალვას.

ზაურ მოლაშხია



უმპიავ ჩემო

უმპიავ ჩემო, ზოგისთვის ღელე, –
ჩემთვის რა დიდი იყავი მაშინ;
შენს ზედაპირზე ვუსვამდი ხელებს,
თითქოს ვცურავდი უშფოთველ ზღვაში...

რა ბედნიერი ვყოფილვარ მაშინ, –
ბექიდან თავქვე ვხტებოდი წყალში...

დღეს წუხს სოფელი – მკრთალი ხეცერა –
დაკანტიკუნტობს ქალი და კაცი...
უმპიავ ჩემო, უკვე მეც მჯერა, –
ფუჭია ყოფნა გრძნობით თუ განცდით!

გახსოვს? აქ ერთ დროს ცელქი ბავშვები
როგორ დავქროდით, რა თავაშვებით!

ითელებოდა ბალახი ჩქოლა,
დავსდევდით ბურთს და იყო ხმაური...
დღეს არც ბავშვები და აღარც სკოლა!
არც თანატოლთა ხმა საცნაური!

ჩაკლეს, ჩააქრეს ერთხმად ხალისი,
არის გარემო შესაბრალისი!

და ჩვენც თანდათან, ჩუმ-ჩუმად გვკლავენ...
ვიღაც გვაჩეჩებს შხამიან გირჩებს!
დღეს რომ შემეძლოს – მოვუსვამ მკლავებს
შენს ზედაპირზე ისე, ვით ნიჩბებს..

ლექსები

არა, საყვედურს შენ როდი გკადრებ,
უბრალოდ, სულ სხვა ვიყავით ადრე!

დადუმებულა ტყე გაძარცული,
ვით წაქცეული სამრეკლოს ზარი...
გახდა სანატრი დრო გარდასული,
ვაჰმე! დაოსდა საწუთროს მგზავრი!

უმპიავ ჩემო, შენს ნაპირებთან
მოვდივარ ნამყოს დასატირებლად!

ჩემი ზღაპრის ქვეყანა

ჩემი ზღაპრის ქვეყანა როგორ გამიარაფრეს,
აქ დღეს არვინ არ დაფრენს,
სულში ყვავილს არ აფენს...
აქ უგულოც დიდგულობს, იქცა ჭკუის კოლოფად...
სიყვარული ვის ანთებს, ანუ, ვის სჭირს ცოროფა?*
ზოგთა გულიც დაყრუვდა,
ტვინიც ძალზე გახურდა...
ჩემი ზღაპრის ქვეყანა, ვაი, როგორ გახუნდა!

---

* **ცოროფა** – (მეგრ.) სიყვარული

რომი

ძველდიდების რომი – ლოდინს
მინდობია, როგორც იღბალს;
უცდის იმას – რო მიმოდის
დროისა და სივრცის მიღმა!

ჯერ არსმენილი...

ჯერ არსმენილი ღვთიური ჰანგი
მარტვილთა გულებს ეცხება თაფლად...
ღრუბლებში ფრთონავს ციური განგი
და შივას
თმებით
ეშვება
დაბლა!

ჟამი უნდობი...

ჟამი უნდობი მოვა და წავა,
ხუნდება ფერი ველთა და სერთა...
მწარეა,
როგორც ვულკანის ლავა,
მივიწყებული საგნების სევდა!

შენჩემობის სამყაროში

არ აკლიათ სითბო ლოთებს,
აღრჩობთ სულ სხვა ბოღმა კაცებს...
იქით ლანდი მიჩოლფოთებს,
აქეთ ჩრდილი მობარბაცებს.

გვერდს აუქცევს ჩრდილი ლანდებს
(რა გვიკვირდეს ამგვარ დროში?)...
ერთმანეთზე ვინ იდარდებს
შენჩემობის სამყაროში!

სული კვნესის...

ზამთარს სუსხი დააქვს პეშვით,
აჩუქურთმებს თოვლი ტყე-ველს;
დამზრალ ტყეში
სული კვნესის:
– რომ დაგტოვე,
ასეთ დღეში,
სიმარტოვის
სიმუქეში...
მომიტევე! მომიტევე!

მინდა ამ ზამთარს...

მინდა ამ ზამთარს მხარი შევუგდო
და ვრცელ მინდორზე გავაჭიმინო
თეთრი ფეხები
და კარს მომდგარი გაზაფხულის
მწვანე ჟანგბადით
გავუნედლო გაყინული
გული და ფილტვი!

რაც თავი მახსოვს...

I

რაც თავი მახსოვს – მიყვარდი რწმენით,
მეგონა, ვერვინ
ვერ შესძლებდა შენთვის ჩემოდენს...
მე ყველაფერი ვიწამე შენი –
ვაზის ფესვიდან
კოსმიური ღრუბლის ჩერომდე!

შემომღიმოდა ღიმით ლაღითა
იალაღი და
ბაღ-ვენახი, ყანა, ჯეჯილი...
მე მოვდიოდი შენი მადლით და
დაუღალავი
მზის თითებით თმააჩეჩილი...

II

ჩემს სიჭაბუკეს რაღას ვუჩივი? –
ვიყავ ამაყი, ცოტა ამრევიც,
მაგრამ ბეჩავთან – მუდამ გულჩვილი...
ჩემშიც ღვიოდა ნაწინაპრევი
ვნება...
ნიშატი...
გზნება... შუქჩრდილი...

.....

უკვე თან-და-თან
მეჭირება წელთა მარყუჟი...
ერთ დროს გა-და-ვალ
გაჩენამდე ნამყოფ წარსულში!

ერთი შეკითხვა

ერთი შეკითხვა
(მოკრძალებით) მე მაქვს საბასთან:
– „ავენოვანი“...
კაცს ბაგიდან როგორღა გასცდეს?!
შემოვიკეცავ –
გულნატკენი – ღამის საბანს და
გაოგნებული
უხმოდ ვებრძვი უამურ განცდებს!

მინაწერი ვ. ჯავახაძის წიგნზე – „უცნობი“

„მე ვცხოვრობდი სიზმარში,
ღმერთებს ვქმნიდი თვითონ მე“
გალაკტიონი

დღე იყო თუ რიჟრაჟი: – ვწვრთნიდი, ვთლიდი სტრიქონებს...
– მე ვცხოვრობდი სიზმარში, ღმერთებს ვქმნიდი თვითონ მე!

ვაჟღერებდი სიტყვაში უძვირფასეს ლითონებს...
– მე ვცხოვრობდი სიზმარში, ღმერთებს ვქმნიდი თვითონ მე!

ერი გახდა მირაჟი, – როცა დაათითოვეს...
– მე ვცხოვრობდი სიზმარში, ღმერთებს ვქმნიდი თვითონ მე!

ყალბად ბაგე ნაღრძობი – მხვდება გრძნობით უგრძნობი...
ვითომ მცნობდა ნაცნობი – როცა ვიყავ უცნობი!

მათრობს განცდა – ჰაშიში, სივრცე გაბაციერდა...
არც რიდი მაქვს, არც შიში – ამა ქვეყნის ძლიერთა!

დღე იყო თუ რიჟრაჟი – ვთლიდი, ვწვრთნიდი სტრიქონებს...
– მე ვცხოვრობდი სიზმარში, ღმერთებს ვქმნიდი თვითონ მე!

მე ვკითხულობ წმინდა გრანელს

„მე რომ ვატარებ წმინდა წამებას,
ბევრია ამის მაგალითები“
ტერენტი გრანელი

ზამთარია, ხან სცრის, ყინავს,
ხან გადადის ქარი ყირას...

ცივა შინ და ცივა გარეთ...
მე ვკითხულობ წმინდა გრანელს!

მარტვილსა და გაწამებულს,
დღე უღამოდ დაღამებულს!

უბინაოს, დევნილს, მშიერს...
მაინც ამაყს, მაინც ძლიერს!

აწ რა უჭირს! ახლა როა –
მისი ბინა – სამყაროა!

არცა სცივა, არცა სცხელა,
ცაა მისთვის ლურჯი სცენა!

დარბაზში კი: – ვარსკვლავები, –
დასთა დასნი – საკრავებით...

აქ კი... ცივა შინ და გარეთ...
მე ვკითხულობ წმინდა გრანელს!

დილის მადლი...

მატარებლის კივილის ხმა გაბმით:
ყეფს და დარბის ცუგო დიდის ამბით;

ბავშვი ლამის მიეწება სარკმელს,
ქალი ქათმებს მიმოუყრის საკენკს;

ინდაური წაიგრძელებს კისერს,
ძროხა ზმუის და ხბოს ისაკლისებს;

მეკომური მოსდგომია ღობეს...
დილის მადლი ეფინება სოფელს!

ზღვასთან ვიჩივლე...

(სტანსი)

მურმან ზაქარაიას

ზღვასთან ვიჩივლე, ქართან ვიჩივლე,
ხეს შევჩივლე და გადავიჩრდილე...

დრო მიუყვება აღმართს კოჭლობით, –
ბჟუტავს, ვით ძველისძველი კოჭობი!

ჰგავს ეს საწუთრო აშლილ მონასტერს, –
მარადისობის ციცქნა მონამტვრევს...

სხვაფრად იქნება ფიფქთა თოვა წელს...
ქვეყნის სიმრთელეს ღმერთი მოგვასწრებს!

ისეთი დროა!

მზე სხივს მიბოძებს ერთხელ, საშვივით,
მეც წავალ...
იქით სხვებიც მიდიან...
ისეთი დროა! ისე საშიში!
თვითონ საწუთროც ბეწვზე ჰკიდია!

***

სამყარო ჩვენი – ჰეკატეს ბაღი,
კვდომა-აღდგომის მარადი სახლი!

არის სიწყნარე გასაოცარი

ქალაქი ისე გაჩუმებულა,
თითქო ქალაქი დაღუპვის წინ დგას
ტერენტი გრანელი

გახუნდნენ ძველი მისამართები,
სადაც იმედით ერთ დროს გიცდიდნენ...
ახლა ასეთი მისავათებით
ვერ გაიხედავ ახალ სივრცისკენ!
ჩაქანებულა შენი ჟამი და
(თუკი ასეთი გქონდა ოდესმე!)
ნაოცნებარი მნათი ჩავიდა –
სისხლმინაქცევი ყოფის ლოდებზე!
ცრის ცინიკურად სიცარიელე,
როგორც მყოფობის ძველი რაყიფი...
ის, რაც გეგონა: – მკვირცხლად იელვებს –
თურმე ყოფილა მყიფე, რა მყიფე!
დუმს შავი ხვრელი ცეცხლის ღიობად,
ვით ადგილები ნაქაოსარი...
გარინდებულა კაცობრიობა,
არის სიწყნარე გასაოცარი!

გზა ხელისგულზე

I

ბედისწერის გზა ხელისგულზე ამოტვიფრულა,
ყინვის კარჩხებივით
ცივად მკრთალი ჩანან ხაზები –
უბედობის თუ ბედის ნიშანი!

II

თვალდახუჭული ხედავ, თუ როგორ
მიმობრწყინავენ
ქუთუთოების მუქლურჯ ეკრანზე
ციცინათელები –
სხვა პლანეტიდან ჩამოფრენილ
ლანდთა ნაწყვეტები...

III

– „გაშიშვლდა ქვეყანა!“
– „საით მივდივართ?“
ისმის გონგის ხმა – სადღაც მიმხმობელი...
და ხმები... ხმები –
უცნაურად პათეტიკური!

IV

თავის ქალიდან გაქცევას ცდილობს
ფიქრი –
სფეროში უნუგეშოდ გამომწყვდეული!

ჩიტების ზავი

სოფლის ჩიტი და ქალაქის ჩიტი
ურთიერთს შეხვდნენ
მწვანედ ატეხილ სასაზღვრო ტყეში;
იჭიკჭიკეს და
იჭიკჭიკეს და
ბოლოს
ბუმბული გაუცვალეს ერთიმეორეს.

შენი სვეკეთილობით

ალაგ-ალაგ მთას შვენის ნისლის ლეგა ქილვაში...
ზოგი ათენ-აღამებს სხვათა შურში, კილვაში...

ჩუმად დავალ მწირივით, სხვისას არ ვეხარბები;
მინდა შვებით გახსნილი გქონდეს შუბლი, წარბები...

დაე, ვლიდე ცისქვეშე შხვართი, ირმისფეხება,
ვერვინ ვერ გიბედავდეს ცერად თითის შეხებას!

ღვთის წყალობით ილაღე, იგოგმანე, იცორვე...
შენი სვეკეთილობით გავიხარებ, იცოდე!

ფეხების სიმფონია
(ძველი რვეულიდან)

მოდიან, სივრცე მოაქვთ ამაყად
(მზე ამორძალთა აელვარდება),
შეხედავ, თუკი მკვდარი არა ხარ,
თუკი გული გაქვს, გაგეხარდება!

მოდიან სწორი, თლილი ფეხები, –
ყველა მათგანი ცეცხლი მგონია!
ბურუს-ბურანში მყის გაეხვევი,
წვართი ფეხების ჟღერს სიმფონია!

ფეხები შხვართი, თუ აშხვართული,
თავბრუდამხვევი ვნებით, მშვენებით...
სიტყვა – ვერთქმული, სიტყვა – ართქმული...
არა, არ არის სიტყვა მშველელი!

ფეხებო, რამდენ გულებს გათელავთ,
გაგითელიათ დღემდე რამდენი?
ქართველია თუ არაქართველი, –
არის რამდენი ცოდვის ჩამდენი!

მამრებს გაურბით თვალი თავისით,
განა ბოროტად, განა ავსულად!
თქვენით ინთება ირგვლივ ხალისი,
გზებიც გზნებათა ალით ავსილა!

სივრცე გეშლებათ ლამაზ რტოებად
(თქვენთვის შესაფერს მინდა პოვებდეთ);
თქვენ თავბრუს ახვევთ არაპოეტსაც,
განსაკუთრებით, მაინც პოეტებს!

ფეხებო, ვნებით აშხვართულებო,
მრავალს უქიხართ წრფელი სიტყვებით...
პროსპექტზე მწყობრად მოარულებო,
თქვენ ვერ გამჩნევენ ალბათ ბრიყვები!

მოდიან სწორი, წვართი ფეხები,
ყველა მათგანი ცეცხლი მგონია!
ბურუს-ბურანში მყის გაეხვევი,
შხვართი ფეხების ჟღერს სიმფონია!

***

ირაკლი ვაშაყმაძეს

მოუკრეფავში არასდროს კრეფდა,
ჰქონდა სიქველე და მოწიწება...
გატეხილ გულის ნაწილებს კრებდა,
მალამო-სიტყვით აკოწიწებდა.

მას ვერ თრგუნავდა ყოფის ქარსუსხი,
მოყვასს ხვდებოდა მზით და ხალისით...
თვისად მიაჩნდა მოძმის საწუხი,
თუმც არასოდეს აკლდა თავისი!

კაცი გეთქმოდა კაცური

ბევრი ტკბილ-მწარე დალიე,
არ იყავ მედღეხვალიე, –
საქმეც და ლხინიც იცოდი...

გულში მზისნათელ ჩაწურვილს, –
კაცი გეთქმოდა კაცური
და, უხმაუროდ იწვოდი!

რამდენი რამე

რამდენი რამე
გაილია, გაცუდდა, გაცვდა...
თავის ქეიფზე
ხორხოცობენ მხეცთა ხროვები!
... გულმომწყვლელია
უნუგეშო რიალი კაცთა,
ვით უსაშველო
მარტოობა უსაზღვროების!

დუმილის სიცყვა

ვინ წაიკითხავს ახლა გრძელ ლექსებს?
სჯობს, რომ სათქმელი მომჭირნედ ითქვას...
დუმილიც თავის სიტყვას აკვესებს,
მომნუსხველია დუმილის სიტყვა!

ზოგჯერ მას უკეთ იგებს ვიღაცა,
ხან კი არავის ესმის ბღავილიც...
დუმილში ვიგრძენ: – ამ ცის მიღმა ცა
გადმომცქერს,
როგორც უფლის ყვავილი.

თენგიზ კუბლაშვილი

ცქვიტო

ვინც საგარეუბნო მატარებლით თბილისიდან ბეყუნდაში მგზავრობს, აუცილებლად თვალში მოხვდება მომღიმარსახიანი ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი. მის სახელსა და გვარს ვერავინ იტყვის. ყურმოკვრით იციან, რომ სოხუმელია და აგერ უკვე ოც წელზე მეტია, ბეყუნდაში ლტოლვილთათვის განკუთვნილ საერთო საცხოვრებელში ბინადრობს.

საგარეუბნო მატარებლის მუდმივი მგზავრები ამ მარად მომღიმარსახიან კაცს ცქვიტოს ეძახიან.

კოჭლაუხაა ცქვიტო. ძლივს, ზლაზვნით წამოდგება სკამიდან, გაჭირვებით მიჩლახუნდება ჩასასვლელად მოფუსფუსე მგზავრებთან, ხილით სავსე მძიმე კალათების პერონზე ჩატანაში ეხმარება. ტვირთს ჩაატანინებს, დამშვიდობებისას გულზე ხელს მიიდებს და თავს მძიმედ დახრის.

ზოგჯერ ცქვიტო ხელს ისეთ მგზავრს წააშველებს, რომელიც მას პირველად ხედავს. როგორც წესი, ძალად კლიენტი მომსახურებისთვის ფულს გაუწვდის, მაგრამ მებარგული ცივ უარზეა, ფულს არ იღებს. მგზავრი ჯიბეებს იქექავს გასამრჯელოს მომატებისთვის. ამასობაში კარები იკეტება, მატარებელი დაიძვრის და ცქვიტო განუმეორებელი ღიმილით ზემოდან დაჰყურებს პერონზე მდგარ შეცბუნებულ მგზავრს.

ქოშინი ახრჩობს, მაგრამ სახიდან უცნაური ღიმილი მაინც არ შორდება. ვერ გაიგებ, ვის ან რას უღიმის – წარსულის მოგონებებს თუ მომავლის ვარდისფერ სურათებს, ცხოვრების ამაოებას თუ ვაინაჩრობას, სამუდამოდ დაკარგულს თუ ძვირფას შენაძენს..... მწარე, სევდიანი, ბედნიერი და ირონიული ღიმილი ერთმანეთს ისე ენაცვლება მის სახეზე, როგორც ტოტზე მღოღავი რაღაცით შეშფოთებული ქამელეონის ფერები.

მგზავრებს თან კუდრაჭა ბავშვები თუ ახლავთ, ჩასვლისას მათი მხიარული ხმები ვაგონს ავსებს, ხელის ქნევითა და „ცქვიტო, ცქვიტო ნახვამდის!“ შეძახილებით ემშვიდობებიან.

ცქვიტო კი დგას ვაგონის დახურულ კართან და ნეტარღიმილიანი სახით გასცქერის შორეთს, სადაც მგზავრები ეს-ეს არის თვალს მიეფარნენ.

დგას ვაგონის კართან ცქვიტო. ფოლადის თვლების დაგადუგი ძლიერდება, მაგრამ ყურს მაინც მოკრავ რუსულად ნათქვამ სიტყვებს: **„Не прислоняться“.** თავისთვის ამოიკითხავს ცქვიტო კარზე მიწერილ გაფრთხილებას და ამოიოხრებს. თუ თავისუფალი ადგილი არ არის, იქვე კიბის საფეხურზე ჩამოჯდება, ხელებს თავზე შემოიწყობს და მატარებლის შემდეგ გაჩერებას გარინდული ელოდება.

გაჩერების მოახლოებისას იგივე მეორდება. ჩამსვლელ მგზავრებს ცქვიტო გაბადრული სახით, მოგრეხილი ფეხების თრევით ეახლება და ბარგის ჩატანაში ეხმარება.

ცქვიტოს ყველა იცნობს. ქალაქიდან შინ მიმავალი, დაღლილი, მშიერი ქართლელი გლეხები ხშირად სახელდახელო სუფრას შლიან, პურს გატეხენ, სადღეგრძელოს ხმამაღლა ამბობენ და არყით სავსე ჭიქას ერთმანეთს აწვდიან. ცქვიტოს დაპატიჟება არ ავიწყდებათ. აუცილებლად დაუძახებენ, მიიწევ-მოიწევიან და გვერდით მოისვამენ, ან ყველაზე ახალგაზრდა წამოდგება და ცქვიტოს ადგილს დაუთმობს.

ცქვიტო ორიოდე სიტყვით დაილოცება და ჭიქას რუსული სტილით **„До дна“** დაცლის.

არა, ცქვიტო ლოთი არ არის! თავდაპირველად ხელიდან წასული ლოთი მეგონა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ზედმეტს არასდროს სვამს. ორი-სამი ჭიქის შემდეგ მასპინძლებს მოსავალზე ესაუბრება, აინტერესებს ბაზრის ფასები და წუხს ცხოვრების სიდუხჭირეზე. არყით შეზარხოშებული გულქართლი გლეხები სასმელს აძალებენ, მაგრამ ცქვიტო ზრდილობიანად უარს ამბობს. ჩასვლისას, როგორც ყოველთვის, ბარგის ჩატანაში ეშველება. ცქვიტოს ყურადღებით ნასიამოვნები გლეხე-

ბი კი თბილად ემშვიდობებიან. მათი ჩასვლის შემდეგ ცქვიტო სკამს მიასუფთავებს, საჭმლის ნარჩენებს პოლიეთილენის პარკში ყრის და სადღაც მიაქვს.

ბოლო დროს საკუთარ საქმეთა გამო თბილისიდან ბეყუნდაში ხშირად ვმგზავრობ. ვზივარ ჩემთვის და გაზეთებს ვკითხულობ ან ცქვიტოს ვაკვირდები, რომლის ცხოვრების წესი ვერაფრით ამიხსნია. მათხოვარი არ არის, არც მაწანწალა... ორიოდე ჭიქა არაყს სიამოვნებით სვამს, მაგრამ ლოთი არ არის... ეს პირმოთნე ღიმილი? არა, მლიქვნელი არ არის, არც ლაქარდიანი ენით ლაპარაკობს... ან რაში სჭირდება ამ საცოდავ გლეხებთან მაამებლობა? იქნებ სხვებზე უანგაროდ ზრუნავს? მაგრამ ჩვენს დროში ამგვარი ალტრუიზმი? დაუჯერებელია!

იშვიათად, როდესაც ჩემ გვერდით თავისუფალი ადგილია, მოფრატუნდება, თავაზიანად მომესალმება და სკამზე ჩამოჯდება. სულს რომ მოითქვამს, გაზეთს მოკრძალებით მთხოვს:

– თუ შეიძლება, თვალს გადავავლებ.

– აიღეთ, რომელიც გსურთ.

ცქვიტო იმ გაზეთს აიღებს, რომელიც წაკითხული მაქვს.

კარგა ხანია შევამჩნიე: კითხვის დროს ეს სულელური ღიმილი უქრება. გაბადრული სახის ნაკვთებიც უწყნარდება. გაზეთს გაწაფული თვალით, სწრაფად, ყურადღებით კითხულობს, ფიზიკურ შრომას მიუჩვეველი თითებით მოხდენილად ფურცლავს. ჩემს გვერდით ჭკვიანი, ერუდირებული, თავაზიანი კაცი ზის. არა ჰგავს ხეპრე მებარგულს! მის შემყურეს პერონზე მოსეირნე გრაფი ტოლსტოის შესახებ გადმოცემა მაგონდება, ვიღაც მგზავრს რატომღაც ბარგი ეტლამდე რომ მიუტანა.

გაჩერებისას გაზეთს მიბრუნებს, მადლობას მიხდის და მგზავრებს გასცქერის, რათა ბარგის ჩატანის რიტუალი შეასრულოს. იღიმება, ტუჩები ყურებამდე ეხევა.

„ფუ, რა გიჭირს, შე ბეჩავო!“ გულში ვბრაზობ და თან მეცოდება. ცხოვრებამ ასე როგორ დაგაგლახავა?

ვინა ხარ, უცნაურო კაცო, რა გქვია, რამ გაიძულა ცქვიტოს როლის თამაში? ლოთბაზარა არა ხარ, არც მათხოვარი და მაწანწალა, არც რკინიგზის სადგურების ჯაჯღანა მებარგულეს ჰგავხარ! სჯობდა კი, ყველა ერთად ყოფილიყავი და ისე გეშოვა ლუკმა, ვიდრე გამუდმებული ქლესაღიმილიანი ფუსფუსით, შე ცუღლუტო!

ღმერთო, რას ამეკვიატა ცქვიტოზე ფიქრი, რატომ მაღიზიანებს სოხუმელი ლტოლვილის მოყვასისადმი ამგვარი ზრუნვა? ნუთუ ცხოვრებას ისე ვუყურებ, როგორც ბროდვეიზე მოსეირნე მაიაკოვსკის დანახული ამერიკელი: „თუ შეაჩერა წამით ღეჭვა ჩუინგამისა, შეგესიტყვება: „მაკ მონეი?“ „თუ დედამ მკერდი მისცა თავის თოთოს და უძლურს ცხვირზე წვეთებით, იგი უტკბეს სიამეს იძენს, სწოვს, თითქოს იყოს ეს დოლარი და არა ძუძუ — თითქოს აკეთებს სერიოზულ საკუთარ ბიზნესს“.

რა თქმა უნდა, ასეთი არა ვარ. ადამიანებს ფულის ტომრის საზომით არ ვაფასებ, მაგრამ მაინც ვერ ვიტან უსაქმურებს, დროს უაზროდ რომ ფლანგავენ და ფულს არ აკეთებენ! დიახ! ვერ ვიტან ცქვიტოსნაირებს, თავიან მუქთახორობას კეთილი კაცის ნიღბის მორგებით რომ ფარავენ.

ცქვიტოზე ჩემი ორჭოფული ფიქრები და განცდები ერთ მშვენიერ დღეს წყალში ჩავარდნილი ნაპერწკალივით გაქრა.

იმ დღეს ჩემი ძველი მეგობარი, ბეყუნდელი რეზო ბარბაქაძე ვაგონში შემთხვევით შემხვდა. მოვიკითხეთ ერთმანეთი, გავიხსენეთ სტუდენტობის გაფრენილი წლები, ცოცხალი და გარდაცვლილი ნაცნობ-მეგობრები...

მერე უცებ გავჩუმდით, თითქოს სალაპარაკო გამოგველია.

ვაგონის ფანჯრიდან სიყვითლეშეპარულ ველ-მინდვრებს გავცქეროდით.

მტკვარგაღმა თრიალეთის მთები მალე თოვლით შეისუდრება. როგორი ნაზი და მშობლიურია ჩემი ქართლი...

გარინდება ცქვიტომ დაგვიფრთხო. თავს გვადგას და გვიღიმის. რეზო ფეხზე წამოდგა. ცქვიტომ ხელი ჩამოართვა და მეც გამომიწოდა, ხელი ჩამოვართვი, მაგრამ არ გავნძრეულვარ. დაინახოს, რომ მისთვის აქ ადგილი არ არის, მალე მოგვშორდეს-მეთქი. გამაღიზიანა ცქვიტოს ამგვარმა გაშინაურებამ და რეზოს

გატყლარჭულმა თავაზიანობამ.

ცქვიტო ჩემს განწყობას მიხვდა. გულმოკლულმა გამიღიმა და უხმოდ მოგვშორდა. ბავშვიან ქალთან მიბანცალდა, ჩასასვლელად რომ ემზადებოდა.

– თუ იცი, ეს კაცი ვინა რის? — მკითხა რეზომ.

– ვინ უნდა იყოს? ასეთ აბდალს ყველგან წააწყდები.

– ცქვიტო მათგან გამოირჩევა. აფხაზეთის ომის გმირია.

– ოჰო, ცქვიტო და ომის გმირი?

– ნუ გიკვირს. იგი ცნობილი აფხაზი ჟურნალისტია, ვახტანგ მარღანია... ნაღდი აფხაზი... თარაშ ემხვარის სულიერი ძმა... თავის სტატიებში სეპარატისტებს ამხელდა და მკაცრად გმობდა მათს ქვებუდარობას. სიკვდილით დაემუქრნენ. ომის დაწყების შემდეგ სხვებთან ერთად სოხუმი დატოვა. ლტოლვილებით გადავსებული მატარებელი კელასურთან დაბომბეს. ფეხებში დაჭრილი სხვებს ეხმარებოდა ცეცხლმოდებული ვაგონებიდან თავის დაღწევაში. რამდენიმე გადაარჩინა, როცა ცოლისა და ვაჟიშვილის გვამებს წააწყდა, შეიშალა... იმ დღიდან ყველას ეხმარება ვაგონიდან ჩამოსვლაში. ცოლ-შვილი ცოცხალი ჰგონია და მათ ჩამოსვლას დღეს თუ ხვალ ელოდება. ფსიქიატრებმა ვერ უშველეს. იქნებ, ასეც სჯობს.”

რეზო გაჩუმდა. ხმა ვერ ამოვიღე. ან რა უნდა მეთქვა? ორივე მწარედ ჩავფიქრდით.

უფალო, შემინდე მოყვასის განკითხვა! ცუდმედიდობამ შემიპყრო და სასჯელად თავს სირცხვილი დამატეხე!

კახა ქეცბაია

პოსტმოდერნი და თვითმკვლელი სოციუმი

„ტაბუ უნდა აეხსნას ყველაფერს! უნდა განვდევნოთ წარსულის ზნეობრივი შეზღუდვები, ყველაფერი კარგია, რაც მე მინდა და მსიამოვნებს! ოღონდ შეფასებებისას ერთი აუცილებელი წესი უნდა იქნეს დაცული, – სხვისი, განსაკუთრებით უმცირესობის, უფლებები არ უნდა დაირღვეს! ეს კანონია.

შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ იკარგება ზღვარი კარგსა და ცუდ საქციელს, სიმართლესა და სიცრუეს შორის. სიმართლე არის ის, რასაც მე მივიჩნევ სიმართლედ და მორჩა! შენ შენი სიმართლე გაქვს? დაიცავი შენი სიმართლე, მე ჩემსას დავიცავ. მე შენს უფლებებს არ შევლახავ, შენც ჩემი უფლებები არ შელახო.

დაახლოებით ასეთია ის აზროვნება, რომელის დამკვიდრების მცდელობაც არის დღეს“.

საშობაო ეპისტოლე, 2015 წ.
ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ცხუმ-აფხეთის მიტროპოლიტი

იმ გამოწვევებს შორის, რომლის წინაშეც დღეს ადამიანი და საზოგადოება აღმოჩნდა ,უმთავრესი „პოსტმოდერნული მდგომარეობაა“, რომელიც მთელი რიგი „უცნაური სიურპრიზებით“ გამორჩევა. ამ პროცესის ერთ-ერთი პირველი მაცნე ფრიდრიხ ნიცშე იყო, რომელმაც თამამად განაცხადა „ღმერთის სიკვდილის“ შესახებ. „ღმერთის სიკვდილი“ „ადამიანის სიკვდილსაც“ ნიშნავდა, მაგრამ „დამცრობილ და დამდაბლებულ“, ფუფუნებას, კომფორტსა და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებს გამოდევნებულ კაცობრიობას ნიცშეს ამ ნათქვამისათვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. საბოლოოდ კი ყოველივე იმით დამთავრდა, რომ „ღმერთის მკვლელმა“ კაცობრიობამ „ადამიანიც მოკლა“ (ბოდრიარი). თუკი XX საუკუნე „ღმერთის სიკვდილით“ არის გამორჩეული, XXI საუკუნისათვის ამგვარი გამორჩეულობის ნიშანი უთუოდ „ადამიანის და საზოგადოების სიკვდილი“ იქნება.

შექმნილ რეალობას კარგად ესადაგება ნიცშეს მიერ აზროვნების სისტემური წესის უარყოფა და მის ნაცვლად ფრაგმენტაციული დისკურსი, აფორისტული მაქსიმებითა და სენტენციებით ოპერირება; ღირებულებათა რადიკალური გადაფასება და ონტოლოგიური ნიჰილიზმი; აბსოლუტური ჭეშმარიტების უარყოფა და რაციონალური აზროვნების („კანონმდებელი გონების“) ინტერპრეტაციით („ინტერპრეტაციული გონებით“) ჩანაცვლება; ნიცშეს ამგვარი მსოფლმხედველობიდან არც ისე შორი მანძილია დერიდას დეკონსტრუქციამდე და ბოდრიარის „სოციალურობის გაქრობის თეორიამდე“.

ნიცშეს შემდეგ ჰაიდეგერმა შექმნა ხელსაყრელი ინტელექტუალური გარემო პოსტთანამედროვე აზროვნებისათვის. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ჰაიდეგერის მიერ ტრადიციული რაციონალობის კრიტიკა, რომლის მიხედვითაც თანამედროვე აზროვნება ინსტრუმენტული და პრაგმატული გახდა. ჰაიდეგერის თქმით, ამგვარი გონების უმაღლესი ფორმა ტექნიკაა, რომელიც ჰუმანიზმისათვის ადგილს არ ტოვებს. „ჰუმანიზმის ჰორიზონტზე ბარბაროსობა ჩნდება.“ ეს ის „ბარბაროსობაა“, რომელიც პოსტმოდერნიზმის მოასწავებდა. ამ შემთხვევაში ჰაიდეგერს

ბევრი რამ დაეჯერება, რადგანაც პოსტთანამედროვე საზოგადოებაში დეჰუმანიზაცია რეალური ფაქტია.

სოციალური თვალსაზრისით, პოსტთანამედროვე საზოგადოება იგივე მომხმარებლური საზოგადოებაა. მისი ძირითადი ნიშანი პრაგმატიზმი, მერკანტილიზმი და ცინიზმია. „წმინდა გონების კრიტიკის“ ავტორისაგან განსხვავებით სლოტერდაიკმა „ცინიკური გონების კრიტიკით“ (1983 წ.) მიანიშნა, რომ ამჟამინდელი ცინიზმი განმანათლებლობის იდეალების გაუფასურებითაა გამოწვეული. პოსტმოდერნმა ადამიანთა ცნობიერებაში კულტურული პარადიგმების ცვლილებები და ტრანსფორმირება გამოიწვია. პოსტთანამედროვე ადამიანმა არა მხოლოდ უარი თქვა ჭეშმარიტებაზე, არამედ ბუნდოვანი და გაუგებარი გახადა მისი სტატუსი; მან დიადი და ამაღლებული, მორალური და რელიგიური, ეგზისტენციალური მიზნებისადმი ინტერესი დაკარგა. კულტურა – მასკულტურად, შინაარსიანი და საზრისიანი ცხოვრება ცარიელ, ეფემერულ და ვირტულაურ რეალობად გადაიქცა, რომელმაც ადამიანი ნამდვილ სინამდვილეს მოსწყვიტა. საზოგადოება „სპექტაკლის საზოგადოება“ გახდა, რომელიც რეკლამისა და მედიის ტოტალურ ძალაუფლებაზეა დამყარებული. რეალური პოლიტიკა – პოლიტტექნოლოგიებმა, ხოლო საზოგადოების ისტორიული განვითარება „შოუ-ხელისუფლებამ“ შეცვალა; ამ ტიპის საზოგადოებაში ყველაფერი, სექსუალური ცხოვრებით დაწყებული ფეხბურთითა და პოლიტიკით დამთავრებული, თეატრალიზებულია. ამიერიდან პოლიტიკა აღარ არის ადამიანის სერიოზული საქმიანობა. იგი ძალზე ხმაურიანი სანახაობა და ემოციური განტვირთვის ადგილია, ხოლო ნამდვილი პოლიტიკოსი ის არის, რომელიც კარგ შოუსა და სანახაობას მოიფიქრებს და განახორციელებს, ამიტომაც თანამედროვე პოლიტიკური ბატალიები რევოლუციებით არ მთავრდება. გართობაზე ორიენტირებული კარნავალური პოლიტიკა რევოლუციური გარდაქმნებისაგან შორს დგას. ასეთ ვითარებაში პოლიტიკა – ტრანსპოლიტიკად, საზოგადოება კი ტრანსაზოგადოებად გადაიქცევა. ამიერიდან ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრება ზეხელოვნურობის სტადიაში იმყოფება.

ლიოტარის მიხედვით, პოსტმოდერნი ინტელექტუალთა სასაფლაოა, რადგანაც ის ცვლის ინტელექტუალთა მდგომარეობას საზოგადოებაში. ტრადიციული საზოგადოების ინტელექტუალთა ფენა პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში გამოუსადეგარი ხდება (ე. წ. „ჩარეცხილები“). პოსტმოდერნმა მათ ყვლაფერი წაართვა და ისტორიის სანაგვეზე მოისროლა. შემოქმედისა და მოაზროვნის ადგილი ე. წ. ექსპერტმა დაიკავა. სერიოზული მწერლობა სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა და აბუჩად იქნა აგდებული. ინდივიდი, პიროვნება ზომბმა ჩაანაცვლა, რომელიც ყოველგვარ პიროვნულ ღირსებასა და დამოუკიდებელ აზროვნებას მოკლებულია და მხოლოდ სიტუაციების შესბამისი უნარ-ჩვევების ამარაა დარჩენილი. განათლების სისტემა კი მსგავსი უნარ-ჩვევების (სიტუაციური მოქმედების შესაბამისი) ფორმირებაზეა ორიენტირებული. ტრადიციულ საზოგადოებაში ინეტლექტუალებს წამყვანი პოზიციები ეკავათ კულტურის, ხელოვნების, განათლების, პოლიტიკისა და თუნდაც იდეოლოგიის სფეროში. პოსტთანამედროვე საზოგადოებამ მთლიანად წაართვა მათ ეს ადრინდელი პრივილეგიები. თუკი მათ ადრე ადამიანები „ბასტილიის ასაღებად“ მიჰყავდათ, ახლა უკვე ამისათვის აღარ სცალიათ, რადგან საკუთარი კარიერისათვის ზრუნვით არიან დაკავებული და ამისათვის ათასგვარ კონკურსებში უწევთ მონაწილეობის მიღება. ამიერიდან ისინი მმართველი და კანონმდებელი ელიტარული გონების პრეტენდენტები კი არა, კონკრეტული ფუნქციის (პრაგმატული და ეგპოსტური) შესრულებაზე არიან ორიენტირებულნი. ინტელექტუალი, რომელსაც ადრე „მართებული საქმის“ სჯეროდა, დღეს კომიკურ მდგომარეობაში იმყოფება. ლიოტარის თქმით, შემოქმედის ადგილი უნიჭო და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს მოკლებულმა ადამიანებმა დაიკავეს. სამწუხაროა, მაგრამ მოდერნისტული ეპოქის ინტელექტუალები პოსტმოდერნულმა რეალობამ კარგა

ხანია საფლავს მიაბარა (იხ. ლიოტარის „ინტელექტუალის საფლავი“).

პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში ტიპური გავრცელებული ფიგურაა „იაპი“ – ცალკეული კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე ორიენტირებული „ახალგაზრდა პროფესიონალი მოქალაქე“, ნიცშეს ტერმინოლოგიით, „კაცუნა“. იგი საშუალო ფენის წარმომადგენელია, რომელიც კლასიკურ „ინტელექტუალურ კომპლექსებს“ აბსოლუტურად მოკლებულია და მხოლოდ თავისი თანამედროვე განათლებისა და ცივილიზაციის მონაპოვრით ცხოვრობს. მან ზედმიწევნით იცის ცხოვრებით ტკბობა და, რაც ყველაზე მთავარია, როგორ იშოვოს ფული. მისი ცოდნის არსენალი ბიზნეს-გეგმის შედგენით, კომპიუტერის (ბოდრიარის მიხედვით, „ადამიანური გონების ხელოვნური პროთეზის“) ცოდნითა და პირადი კარიერული წარმატების მიღწევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით (რომელიც უზნეო მოქმედებებსაც მოიცავს) ამოიწურება. ერთი სიტყვით, ის მეგაპოლისის ცივილიზაციის კაცია, რომელსაც ჩვეულებრივი ბუნებრივი გარემო ცუდად ხდის. ამ „კაცუნასთვის“ ღმერთი, ჭეშმარიტება, სამშობლო და სხვა მსგავსი მართალი მორალური იდეალები არაფრისმთქმელი სიტყვებია.

პოსტთანამედროვე საზოგადოებაში კიდევ უფრო გავრცელებული ფიგურაა ზომბი – დაპროგრამებული არსება („მანქურთი“), უისტორიო, ყოველგვარ ინდივიდუალობას მოკლებული, რომელიც იმ მოწყობილობას ჰგავს, რომელიც სხვა მოწყობილობაზეა მიერთებული და მის გარეშე მოქმედება და ფუნქციონირება არ შეუძლია.

პოსტთანამედროვე საზოგადოების ადამიანი მოკლებულია ყოველგვარ ასკეტიზმს. ის მხოლოდ ერთი დღისთვის ცხოვრობს. იგი ფაქტობრივად არ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე, ხოლო შორეული მომავლის ცნება მისთვის სრულიად უცხოა. მისი ცხოვრების მთავარი სტიმული პროფესიული და ფინანსური წარმატებაა, რომელსაც უნდა მიაღწიოს არა ცხოვრების ბოლოს, არამედ ამწუთას, ახლა და აქ, რაც შეიძლება მალე. ამ ამოცანის შესასრულებლად მისთვის ცხოვრების ნებისმიერი წესი, სტილი და სტრატეგიაა მისაღები, თუნდაც ყველაზე ამორალურიც კი. თუკი მოდერნისტული საზოგადოების ადამიანი იტყოდა: „აქა გდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“, პოსტმოდერნისტული საზოგადოების ადამიანი იტყვის: „ვდგავარ იქ, სადაც მინდა და როგორც მინდა“. ამიტომ მას კლასიკური გაგებით მყარი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული საყრდენი არა აქვს. მისთვის არ არსებობს ისეთი ცნებები, როგორებიცაა მემარჯვენე, მემარცხენე ან ცენტრისტი, შესაბამისად, არც მსგავსი იდეოლოგიები. იგი ე. წ. „სოფტ-იდეოლოგიის“ მომხრეა, რომელშიც მშვიდობიანად თანაარსებობს ისეთი ფაქტები და მოვლენები, რაც ადრე ერთმანეთთან შეუთავსებელი და წინააღმდგეობრივი იყო (ამის გამოხატულება შეიძლება იყოს ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული ე. წ. „კოჰაბიტაცია“). მსგავსი ვითარება რაღაც ნეოფატალიზმის მსგავს მითოსს ქმნის, რომელშიც ადამიანი უმწეოდ გამოიყურება. იაპი ერთი შეხედვით თითქოს აქტიური, მოქმედი და თვითდაჯერებულია, მაგრამ მას მაინც არ მიეყენება აღორძინების ეპოქის ფორმულა: „ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი თვითონ შექმნა“, რადგანაც შექმნილ ახალ სოციალურ სინამდვილეში ბევრი რამ შემთხვევითობაზე და თამაშზეა დამოკიდებული. იგი ვერ იტყვის, რომ ყველაფერი ნულიდან დაიწყო და ყოველივეს თვითონ მიაღწია, ამიტომაც ამგვარ საზოგადოებაში ფართოდაა გავრცელებული ათასგვარი ლატარეა და სათამაშო ბიზნესი.

პოსტთანამედროვე საზოგადოებაში დაკარგულია ინტერესი ყოველგვარი მიზნებისადმი. აქ არ არსებობენ დიადი მიზნები, იმიტომ რომ ზოგადად მიზანი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. პოლ რიკიორის თქმით, დღეს შესამჩნევია „მიზნების ატროფია და საშუალებების ჰიპერტროფია“, რაც ამ მიზნებითა და იდეალებით იმედგაცრუებამ გამოიწვია. მათ ვერ შესარულეს თავიანთი პირობა. ვერც ერთმა მოდერნისტულმა იდეამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომ ადამიანებს მომავლის იმედი გაუქრათ. იგი თითქოს ვიღაცამ მოიპარა.

ტრადიციული საზოგადოება და ადამიანი ისტორიულობით ხასიათება. ის ისტორიულ დროში არსებობს. დროის ამგვარი აღქმა პოსტთანამედროვეობაში უარყოფილია. მან ამოწურა თავისი ჯთავი. ამიერიდან ადამიანი სივრცით აზროვნებაზეა ორიენტირებული, რადგანაც რეალობა, რომელშიც ის აღმოჩნდა, ჰიპერრეალობას წარმოადგენს, რომელშიც დროის ტრადიციული გაგება გამოუსადეგარია.

საზოგადოების პოსტმოდერნისტული ტრანსფორმაცია მტკივნეულად აისახება კულტურაზე. ამ შემთხვევაში კულტურული მეინსტრიმის რადიკალურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, პოსტთანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს მასკულტურა, ხოლო მასში – მოდა და რეკლამა. შექმნილ ახალ რეალობაში მოდა იმ როლსა და ფუნქციას ასრულებს, რასაც მოდერნისტულ საზოგადოებაში მითოსი, რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება ასრულებდა. ის მოიცავს და აკანონებს ყოველივეს, რადგანაც ყოველივე, რასაც იგი არ შეხებია, მიუღებლად ითვლება, არსებობის უფლება არა აქვს და კულტურის ელემენტად არ აღიქმება. ეს მეცნიერულ თეორიებსაც შეეხება. დღეს ყურადსაღები მხოლოდ მოდური მეცნიერული თეორიებია, რომელთა ღირებულება არა შინაგანი ღირსება და ჭეშმარიტების წვდომა, არამედ გარეგნული ეფექტები, ფრაზებით ჟონგლიორობა, ყალბი ერუდიცია და მიმზიდველობაა. აქედან მომდინარეობს მეცნიერებისადმი უნდობლობა, ნიჰილისტური და ცინიკური დამოკიდებულება. ამ რაკურსით პოსტმოდერნი სოფიზმის ახალ ფორმას წარმოადგენს (ნეოსოფიზმი). მოდაზე საუბრისას უნდა გვახსოვდეს, რომ ის ძალზე ჭირვეული ფენომენია, რომლის წინასწარ განჭვრეტა თითქმის შეუძლებელია. მისი ამგვარი ბუნება გარკვეულწილად მთელი პოსტთანამედროვე საზოგადოების არამყარი ბუნების განმსაზღვრელი ხდება. მისი არამყარი, ეფემერული და მოუხელთებელი ბუნების შედეგად პოსტთანამედროვე საზოგადოების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი ხდება. ამგვარი საზოგადოება სიცარიელისა და ეფემერულობის იმპერიას წარმოადგენს (ჟ. ლიოვეცი). პოსტთანამედროვე საზოგადოებაში თითქმის ყველაფერი თეატრალიზებულია. ნებისმიერი სახის მოვლენა პრაქტიკულად ეფემერული სპექტაკლისა და შოუს ნაწილებია მხოლოდ.

აქვე აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ პოსტმოდერნისტულ ტრანსფორმაციას განიცდიან ისეთი მყარი და ტრადიციული სოციალური ინსტიტუტები, როგორებიცაა ოჯახი, ეთიკის სფერო და რელიგია. ოჯახური ცხოვრების სფეროში ამის მაგალითებია ე. წ. „ერთჯერადი ოჯახების გაჩენა“, „თავისუფალი სექსუალური ცხოვრების“ პროპაგანდა, გენდერული და ფემინისტური დებატები, სქესთან დაკავშირებული თემატიკის გააქტიურება და მრავალი სხვა, რელიგიის სფეროში ადამიანისა და საზოგადოების დესაკრალიზაცია, რელიგიური ცხოვრების ვირტუალიზაცია, პროფანაცია, რასაც შედეგად მოჰყვება ტრადიციული რელიგიური ცხოვრებისადმი ცინიკური დამოკიდებულება და ა. შ. ეს ყოველივე, რელიგიური გაგებით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არც ისე შორსაა აპოკალიფსი.

ეთიკის სფეროში პოსტმოდერნიზმის შემთხვევაში სახეზეა მორალური რეალიტიზმი, ნიჰილიზმი და ღირებულებათა დევალვაცია, რასაც შედეგად ჭეშმარიტებასა და მცდარობას, სიკეთესა და ბოროტებას შორის განსხვავების უარყოფა მოჰყვება. ამაზე მეტად ადამიანისა და **საზოგადოების დაცემა და გადაგვარება ძნელი წარმოსადგენია**.

ყოველივე ამით პოსტმოდერნი მარგინალური პიროვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რაც სოციალური გაგებით საშიშია, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ პოსტმოდერნიზმს სოციალურობის საკუთარი გაგება აქვს. ბოდრიარის მიხედვით, კლასიკური გაგებით სოციალური სინამდვილე უკვე აღარ არსებობს. ამას ბოდრიარის ენაზე „სოციალურის სიკვდილი“ ჰქვია. ამიერიდან სახეზეა ე. წ. ჰიპერსაზოგადოება (ამგვარი საზოგადოება ბოდრიარმა აღწერა თავის მხატვრულ-ფილოსოფიურ ესეიში „ამერიკა“). ის მასა, რომელიც პოსტთანამედროვე საზოგადოებას ქმნის, სოციალურობას, სოციალურ ბუნებას მოკლებეულია, ანუ რაიმე სახის სოციოლოგი-

ურ რეალობას არ წარმოადგენს. სოციალურ რეალობას ვირტუალური ჰიპერსაზოგადოება ჩაენაცვლა, რომელიც სოციალურის ახალ განზომილებას წარმოადგენს. ბოდრიარის აზრით, მას რაიმე სახის კონკრეტული განსაზღვრულობა არ გააჩნია. გარკვეულობის არქონაა მისი გარკვეულობა. საზოგადოების ამ ახალი ტიპის – პოსტსაზოგადოების ანალიზმა, ბოდრიარი მისდა უნებლიეთ სოციოლოგიის ახლი ტიპის – პოსტსციოლოგიის იდეამდე მიიყვანა. ამიტომ ბოდრიარის სამიზნედ იქცა მომხმარებლური საზოგადოება თავისი რეკლამით, ყოველდღიურობით, ტოტალური თავისუფლებითა და სიმულაციებით. დიდ ნარაციებზე უარის თქმამ სოციოლოგიაში ახალი მოდელის – პოსტსოციოლოგიის აუცილებლობა გამოიწვია.

პოსტმოდერნისტული საზოგადოების ამ მცირე დახასიათებიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხომ არ მიიყვანს ყოველივე ეს საკაცობრიობრიო ცივილიზაციას განადგურებამდე (არა მარტო მორალური, არამედ ფიზიკური თვალსაზრისითაც) და პოსტმოდერნიზმის სახით ე. წ. ცივილიზაციურ სუიციდთან ხომ არ გვაქვს საქმე? პოსტმოდერნიზმის მიხედვით, მოკვდა ტრადიციული საზოგადოება და ადამიანი, ხოლო ის, რაც ამიერიდან საზეზეა, მათი უსიცოცხლო გვამია მხოლოდ, რომელსაც არსებობის საკუთარი წესები (ვირტუალური) გააჩნია. ვფიქრობთ, რომ ეს წესები სრულიად მიუღებელია რეალური საზოგადოებისათვის და დიდ ხანს არ გასტანს ვირტუალურის ბატონობა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს პოსტმოდერნული მდგომარეობით საზოგადოება თავს იკლავს. საზოგადოების მორალური დეგრადაციიდან მის ფიზიკურად განადგურებამდე არც ისე დიდი მანძილია. როგორ განვითარდება ამ მხრივ მოვლენები და კიდევ რა სიურპრიზებს უნდა ველოდოთ, ამას ალბათ დრო გვაჩვენებს.

შეხვედრა მწერალთან სოხუმის უნივერსიტეტში

გასული წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მწერალ გია ხუბუასთვის, რომლის ნოველებისა და რომანების სამი წიგნი გამოსცა გამომცემლობა „საუნჯემ“. ამ ახალი წლის წინა დღეებში ამასთან დაკავშირებით საინტერესო შეხვედრა მოუწყვეს ავტორს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებმა.

გია ხუბუას ახლი წიგნების შესახებ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა უნივერსიტეტის პროფესორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **ნანა კუციამ**; ასევე საინტერესო იყო ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტის **მერი ზაქაშვილის** გამოსვლა, რომელმაც მიმოხილა მწერლის ერთ-ერთი ნოველა „ფუძის ანგელოზი“.

ლიტერატურული საღამოს დამსწრეებს თავისი შემოქმედების შესახებ ესაუბრა **გია ხუბუა**. იქვე მან, როგორც ენგურჰესის ტექნიკურმა დირექტორმა, ილაპარაკა იმ სიძნელეებსა და პრობლემებზე, რომლებსაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე აწყდებიან ამ უნიკალური და დიდი ობიექტის თანამშრომლები, ზოგადად, აფხაზეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობა.

გია ხუბუას შემოქმედებაზე სტუდენტებს თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს ღონისძიებაზე მოწვეულმა მწერლებმა **გური ოტობაიამ, გივი ჩიღვინაძემ** და **ჯემალ შონიამ.**

სტუმარს მიესალმნენ და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა **ეკა სულხანიშვილმა, დარიკო ფიფიამ** და **მარინე კაკაჩიამ.**

ჩვენი ჟურნალის მკითველებს ვთავაზობთ ნანა კუციასა და მერი ზაქაშვილის წერილებს გია ხუბუას შემოქმედებაზე.

ნანა კუცია

გია ხუბუას მხატვრული სივრცე

მწერლებთან შექმნილია ან რეკონსტრუირებული უნიკალური ქრონოტოპოსი – განსხვავებული დრო-სივრცული მოდელი, რომელიც კონკრეტულ ავტორს განასხვავებს ყველასაგან და მკითხველს ეს მოდელი ან სამუდამოდ ამახსოვრდება, ან ამ დროსა და ლოკალში ჟამიერ სტუმრობას სამუდამოდვე ივიწყებს.

ქრონოტოპოსი მკვდარ პეიზაჟად რომ არ დარჩეს, მწერალი უნიკალურსავე პერსონაჟს ან პერსონაჟთა გალერეას უნდა სთავაზობდეს მკითხველს, გამორჩეულს, საინტერესოს, არქეტიპულისა და ტიპურის გემოვნებიან სინთეზს, ვინც თავისი მნიშვნელობით ქრონოტოპოსს ან სრულად გადაფარავს (ბარათაშვილს დავესესხოთ: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი... სამარეც მევიწროვოს, თუ ტოლი მყავდეს“) ან მოხდენილ, განუმეორებელ დეტალად აღიბეჭდება.

პოსტმოდერნიზმის ეპოქამ, თავისი ორმაგი კოდირებით, რიზომებით განსაკუთრებული ინტელექტი მოითხოვა მწერლ(ობ)ისაგან: მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ფუნდამენტური ცოდნა, სამწერლობო პროცესების ჭვრეტის წვდომა, ასოციაციებით, რემინისცენციებით, ალუზიებით თამაში, როგორც მოხდენილად ამბობენ, „მთელი ლიტერატურის პოსტკრიტუმის“ გათვალისწინება.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა, თავისი უნიკალური სამწერლ(ობ)ო ტრადიციით, განსხვავებული ლიტერატურული გვარებითა და ჟანრებით იმთავითვე მოკრძალების რეჟიმში აყენებს ყოველ შემოქმედს, რადგან ჰაგიოგრაფთა თუ ჰიმნოგრაფთა, რუსთველისა თუ გურამიშვილის, ბარათაშვილისა თუ ვაჟას, გალაკტიონისა თუ მოდერნისტ პოეტ-პროზაიკოსთაგან შემოთავაზებული თამასა წარმოუდგენლად მაღალია.

პოსტმოდერნიზმის ეპოქაში მასკულტურიის ფეტიშიზაციის საფრთხეც არსებობს, როდესაც მხოლოდ მწერლის გადასაწყვეტია, რას და რაზე, როგორ და რანაირად დაწერს, რა ტიპის მკითხველს იგულვებს თავის თანამესაიდუმლედ და მოსაგრედ: მასობრივს თუ ელიტარულს, გემოვნებიანს. პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთმა მეტრმა – უმბერტო ეკომ პრობლემა ზემოთ ხსენებული ორმაგი კოდირების პრინციპით გადაჭრა, როცა „ვარდის სახელის“ მასობრივ მკითხველს დეტექტიური შრე შესთავაზა, შედარებით მაღალი დონისას – ისტორიული, ლიტერატურის გურმანებს კი – მეტაფიზიკური.

პოსტმოდერნიზმის ეპოქის ქართული ლიტერატურა მრავალი საინტერესო და მნიშვნელოვანი სახელითაა წარმოდგენილი. ეს კონკრეტული „იზმი“ ჯერაც პროცესია და, ამდენად, მრავალი რამ შეფასდება, გადაფასდება და დაფასდება.

პოსტმოდერნისტული ნარატივები, უკეთ, პოსტმოდერნისტული ეპოქის ნარატივში, პასაჟად ჩნდება ნარატივი გია ხუბუასი. ეს თხრობის მისეული სტილი არ არის კლასიკური პოსტმოდერნიზმი (თუმცა, გავიმეორებთ, პოსტმოდერნიზმის ეპოქაში თხზული ტექსტებია) – უფრო კლასიკური რეალიზმის ტექსტებსა ჰგავს შესანიშნავად გააზრებული კომპოზიციით, ჩამთრევი ფაბულით, პერსონაჟთა გალერეის სკრუპულოზური დამუშავებით, მაგრამ, იმავდროულად, ჩნდება ტიპური პოსტმოდერნისტული პლასტებიც: წიგნი – წიგნში (პერსონაჟი კითხულობს წიგნს, რომლის რემინისცენციებიც რეალურ ყოფაში გადათამაშდება ან ანტიციპაციურ-წინასწარმეტყველებით დატვირთვას იძენს) სასაფლაო-ლაბირინთი, სიზმრების სივრცე, მუდმივად გადაწნული რეალობას, მუსიკის ტრანსცენდენტური ველი, როგორც პარალელური განზომილება, მაღალი მოდერნიზმისათვის ნიშნეული შინაგანი მონოლოგისა და ცნობიერების ნაკადის მრავალი პლასტი.

გია ხუბუა კულტურული მთხრობელია,

ინტელექტუალი, რომლის ტექსტებშიც გემოვნებიანი მკითხველი უამრავ ლიტერატურულ რემინისცენციას იპოვის, არსად თვითმიზნურს, არსად ხელოვნურს, ყველგან მხოლოდ კონტექსტუალურს.

ჟანრობრივი ექსკურსის შემდეგ, კონკრეტულ ტექსტებს მიმოვიხილავთ. ჩვენ წინაშეა სამი მხატვრული ტექსტი: ორი რომანი („ფარული განზომილებანი“ და „ზღვის ანარეკლები“) და ნოველების კრებული „ნიჟარები“, გამოცემული „საუნჯის“ მიერ.

„ფარული განზომილებანი“ საინტერესო ქრონოტოპოსს გვთავაზობს – დრო საბჭოთა ეპოქის მიწურულია, სივრცე – სოციალისტური ბანაკის ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანა – ჩეხოსლოვაკია, პერსონაჟები – ქართველი ტურისტები.

რეცენზიის ექსპოზიციაში ეკო, ალბათ, შემთხვევით არ მოგვგონებია. ეკოსეული მოდელი მრავალ ტექსტში მუშაობს და ასეა აქაც: მასობრივი მკითხველისათვის ტექსტში საინტერესო შრედ წარმოჩნდება ტურისტების თავგადასავალი (ეს, დანტეს კლასიფიკაციით, ეგრეთ წოდებული ბუკვალური დონეა აღქმისა), მკითხველთა უფრო მაღალი დონისათვის მნიშვნელოვანი იქნება ალეგორიული ასპექტები, კერძოდ, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის, როგორც სოცბანაკის რადიკალურად განსხვავებული სივრცეების, რეფლექსია, და ბოლოს, მესამე დონე – ანაგოგიური პლასტი: ადამიანის შინაგანი სამყარო, რომლის ტრანსცენდენტურ პრიზმაშიც გარდატყდება როგორც გვაროვნული (მით უმეტეს, ქვეყანა, ოჯახი), ასევე პიროვნული გამოცდილება (მით უმეტეს, რომ „თავის გათავისწინება“ აქ უცხო გარემოში, სამშობლოსგან შორს ხდება). ჩეხოსლოვაკიის ლოკალმა შეუძლებელია მკითხველს არ მოაგონოს პოსტმოდერნიზმის ქრესტომათიული ტექსტები: მილან კუნდერის „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“ ან დინა რუბინას „პეტრუშკას სინდრომი“. თავად ავტორი ტექსტში სხვა ტექსტებსაც „შემოიყვანს“: ერთი ტიპური ჩეხოსლოვაკური ტექსტია – ჩვენში ოთხმოციან წლებში გამოცემული „ვლტავის მადონა“, რომელმაც პროტაგონისტს უცხო ქვეყანაში ჩასვლამდე შეუქმნა წარმოდგენაც და განწყობაც ჩეხთა წარმოდგენებსა და განწყობებზე და მეორე, მთავარი, იქნებ უმთავრესი ტექსტიც მეოცე საუკუნისა – ჯეიმს ჯოისის „ულისე“, რომელიც საკითხავ წიგნად წამოუღია პერსონაჟს, მაგრამ ვერა და ვერ კითხულობს არა მხოლოდ ურთულესი ფაქტურის, კომენტართა სიჭარბის, ანაგოგიურ ალუზიათა ინტეგრალურობის გამო, არამედ, უპირველესად, იმიტომ რომ საკუთარი სიცოცხლის წიგნს უნდა ჩაუღრმავდეს და სწორედ აქ – უცხოობაში.

„უცხოობა“ რემინისცენციულად ქრესტომათიულ ციტატასთან გვაბრუნებს: „უცხოობაში რაა სიამე, სადაცა ვერვის იკარებს სული და არის უთვისო, დაობლებული“ (ბარათაშვილი). პროტაგონისტი ლადო აბსოლუტურად განსხვავებულია სხვა ტურისტ-ექსკურსანტთაგან. თუ სხვებისთვის ჩეხოსლოვაკია ბოჰემიური ბროლისა და ძოწის სამეულების ქვეყანაა (და ეზიდებიან კიდეც ყველაფრის დანატრულ საბჭოეთში ნებადართული თუ აკრძალული ხერხებით), რომანის ცენტრალური პერსონაჟი მთელი ტექსტის განმავლობაში ფიქრობს პრაღის ვიტრინაში ნანახ ვალტორნაზე. განსაკუთრებით შთამბეჭდავია პასაჟი – ლადოს სიზმარი, რომელშიც მოხუცი მუსიკოსები დვორჟაკის „შადრევნის სიმფონიას“ უკრავენ, პასაჟი, რომელიც დიდებულად კრავს რეალურ და ირაციონალურ სივრცეებს და ყოფიერების მეტაფიზიკურ ასპექტებს ამკვიდრებს (იგივე მხატვრული ხერხი გია ხუბუას სხვა ტექსტებშიც საცნაურია – მაგალითად, ნინოს სიზმარი „ზღვის ანარეკლებში“: „ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი... ახლოდან და ჩანდა ვარსკვლავები, ცა კი ლურჯდებოდა და მის ფონზე დიდი თეთრი ფრინველი დაფრინავდა... თითქოს თვითონაც ფრთები ესხმებოდა, სიმსუბუქესა და სილაღეს მოეცვა“. თუკი „ზღვის ანარეკლებში“ ანტიციპაციური სიზმარი სატრფოსთან შეხვედრის ბედნიერების მომასწავებელია, „ფარული განზომილებების“ ვალტორნა ერთდროულადაა განგაშისა და განკურნების ენიგმა – პროტაგონისტი მთელი ტექსტის განმავლობაში პერიოდულად უბრუნდება თავის ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში ამ იდუმალ ინსტრუმენტზე ფიქრს, კვან-

ძი მხოლოდ ტექსტის ბოლოს იხსნება და პაწია შვილის (რომელსაც „ბატონები“ უბრძანდება) მხსნელად გარდაისახება – ტყის ბუკის მომაჯადოებელი ჰანგები სნეულებას ამარცხებს. შუბერტის მრწამსით, „ვალტორნა ორკესტრის სულია“, ლადოც სულის კაცია, ძოწი და ბროლი რომ ეთრია ჩეხეთიდან, შვილს ვერ გადაარჩენდა, როგორც გოეთეს ტყის მეფემ ვერ იხსნა მკლავებზე გადაწვენილი პირმშო.

ტექსტის ფარულ განზომილებებში მამა-შვილის კონცეპტი უარსებითესია და მხოლოდ აწმყო-მომავალს კი არ მოიაზრებს, არამედ (და, იქნებ, უპირატესად) აწმყო-წარსულსაც. ლადოს მთელი ვოიაჟისას (რომელიც უფრო ინიციაციურია, ვიდრე ყოფით-ფიზიკური) აგონდება ოჯახის ისტორიის ტრაგიკულ-საკრალური პასაჟი – ომში დაკარგული ბიძის ამბავი, ესაა ნარატივი ნარატივში, ისტორია ისტორიაში, დროთა კავშირის რღვევა და ამ მისტიკური კავშირის სულიერი აღდგენა და გამრთელება. სწორედ ეს პლასტები, დროის ჰიპოსტასები – წარსული, აწმყო, მომავალი, ცალ-ცალკე და ერთად, ქმნის გია ხუბუას უაღრესად საინტერესო ტექსტის ფარულ განზომილებებს და ალბათ შემთხვევითი სულაც არაა, რომ ეს, სწორედ ეს კონსტრუქცია გააქვს ავტორს წიგნის სათაურადაც.

ტექსტში, ბუნებრივია, სხვა ფარული განზომილებებიცაა, ზემოთაც აღვნიშნეთ და გავიმეორებთ, რომ მოქმედების უცხო სივრცეში გადატანა კლასიკური ლიტერატურული ხერხია ინიციაციური წიაღსვლების გასამდიდრებლად (კლასიკური ნიმუში „ვეფხისტყაოსანია“, სადაც ქართული აზრები არაბულ-ინდურ-მულღაზანზარულ პასაჟებად დაქარაგმდება). ჩეხური ტაძრების ხილვისას პროტაგონისტის გონებაში გახმიანდება „ჩუქურთმები, შუქურთმები, ჩვენი ფრესკები სულ გადაღებეს და გადაფხიკეს მაგ შობელძაღლებმა. ძაღლთაპირი“ – ციდა ამონარიდი ერთდროულად წამოშლის გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას ტექსტთა ალუზიებს თუ ისტორიულ, ტრაგიკულ რემინისცენციებს. სხვა ალუზიაც: „სტალინს არ უნდოდა, ევროპანანახი ადამიანები ჰყოლოდა აქ“ (სწორედ ბელადის ამ კონცეპტუალურ მარაზმს ემსხვერპლება პროტაგონისტის წინაპარი).

ავსტრია უნგრეთის იმპერიის (დინა რუბინას კონცეპტით, „ისტორიის ყველაზე კეთილი იმპერიის“) ნანგრევებზე თანამედროვე ევროპულ სივრცეში რეალურ-ინიციაციურად მოვოიაჟე პროტაგონისტი ევროპის, როგორც ერთიანი იდეის, ცივილიზაციის არსს სწვდება: „ერთ დღეში – სამი დედაქალაქი: ბრატისლავა, ვენა, ბუდაპეშტი – კომპაქტურია!“ ეს მხოლოდ მასშტაბის, გეოგრაფიული მანძილების სიმოკლის კონსტატაცია როდია, ესაა ხაზგასმა ევროპის, როგორც კულტურული ფენომენის დვრიტისა და, იქნებ, ევროპული სასულე ინსტრუმენტის – ტყის ბუკის, ვალტორნას (სწორედ ასე ითარგმნება გერმანულიდან „waldhorn“) ჩამოტანა შვილისთვის სულაც ენიგმურ დატვირთვას ატარებს, როგორც ასი წლის წინ რაინდალეულთა თაობას, მაღალი მოდერნიზმის ქართველ მეტრებს ეოცნებებოდათ?! ევროპული სული და ქართული წიაღი, ყოველ შემთხვევაში, კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, გ. ქიქოძის, ა. ჯორჯაძის, მ. ჯავახიშვილის, „ცისფერყანწელთა“ „პირველთქმების“ კრედო აბსოლუტურად იდენტურია. ნიმუშად კ. გამსახურდიას ქრესტომათიული ესეს – „ქართველობა და უცხოეთის გენია“ კონცეპტის ანალიზიც იკმარებდა.

გია ხუბუას მეორე რომანშიც – „ზღვის ანარეკლებში“ ინიციაციის ველად კვლავ უცხოეთი, ამჯერად – გაცილებით შორეული სივრცე – ამერიკის შეერთებული შტატებია წარმოდგენილი. ბუკვალურ დონეზე წიგნი ბესტსელერის („კარგადგაყიდვადი“ წიგნის) ყველა ნიშნითაა აღბეჭდილი: – კლასიკური ადიულტერი, სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების რეფლექსია, გარდატეხილი ერთი ოჯახის პრობლემათა პრიზმაში და ტექსტის ლაიტმოტივი – დახვეწილი, ამაღლებული გრძნობა ახალგაზრდა ქართველი ქალ-ვაჟისა, რომელნიც განგებამ ამერიკაში გადაჰყარა ერთმანეთს.

ტრიუფო წერდა, ტექსტის დაწურვა ყოველთვის ერთ ფრაზამდის უნდა შეიძლებოდესო. თუ დიდი კინორეჟისორის მრწამსი სწორია, გია ხუბუას ტექსტი რუსთველურ კონცეპტამდის დაიწურება: „სიყვარული აღგვამაღლებს“, ან,

ალექსანდრე ჭავჭავაძის ასევე ქრესტომათიულამდის: „სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს?!“

მაგრამ გემოვნებიანი ავტორი მკითხველს არ სთავაზობს მხოლოდ ბუკვალურ, ბესტსელერულ შრეს, ამბავს ინიციაციის სივრცეში გადაიყვანს და ნოსტალგიის მსუბუქი ფერით გაჟღენთს ტექსტის მხატვრულ ქსოვილს, შიფონივით ლივლივასა და ზღვის ანარეკლებივით მოციმციმეს. როგორც თავის ყოველ ტექსტში, გია ხუბუა ამ რომანშიც ამკვეთრებს მარადიულ ოქსიმორონს: ამსოფლიურისა და მიღმიერის საკრალურ გაუმიჯნაობას, ნათელ-ბნელის ჰარმონიულ ერთობასა და წინააღმდეგობას. ციტატა: „ზღვის მუქ-მელნისფერი ხავერდი გადაკვროდა, უდაბური და საშიში ჩანდა, მაგრამ მაინც ეჩნეოდა ნათლის სუსტი, წერტილოვანი, ვარსკვლავებივით მოციმციმე ანარეკლები“.

ზღვის კონცეპტი, საერთოდ, ცალკე საკვლევი თემაა გია ხუბუას მხატვრულ ტექსტებში და ეს თემა თავის მკვლევარს ელის. ზღვა აქ არაა პეიზაჟის, ლანდშაფტის ნაწილი, ის პერსონიფიცირდება, დროდადრო მთავარი პერსონაჟის ფუნქციასაც იტვირთავს, მთავარი პერსონაჟის სულიერი მესაიდუმლე კი ყოველთვისაა, ის ინიციაციის ველიცაა ამავდროულად.

პავლე ინგოროყვას თვალსაზრისით, გრიგოლ ხანძთელს მიეწერებოდა მხატვრული ტექსტი, რომლის პირველი სტრიქონიც ასე ჟღერს: „სოფლისა ზღუაი აღძრულ არს...“

გია ხუბუასთან „სოფლისა ზღუაი“ ის სივრცეა, რომელიც აუცილებლად უნდა გადალახოს პროტაგონისტმა, რათა ოდისევსულისესავით სხვათა ზღვებქვეყნებმოვლილმა თავის ითაკას, თავის ერთადერთ ნავთსაყუდარს მოაგნოს (იქნებ, ამიტომაც მიაქვს მოგზაურობაში „ფარული განზომილებების“ პროტაგონისტს წასაკითხად სწორედ „ულისე“ – ჰომეროსის „ოდისეას“ ჯოისისეული, მოდერნისტული პერიფრაზი?!). გია ხუბუას თითოეული პერსონაჟი ულისე-ოდისევსია, უმდიდრეს ქვეყნებშიც ნოსტალგიით შეპყრობილი, ითაკას კვამლს დანატრული, მაგალითად, უნატიფესი ნინია, ატლანტას უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის ქართველი სტუდენტი, ვერაფრით რომ შეეჩვია ამერიკის შემოუღობავ ეზოებს (ნინია, ალბათ, ოდესმე წაიკითხავს კოსმოპოლიტური ზესახელმწიფოს ერთი ზეპოეტის – რობერტ ფროსტის სტრიქონებს: „არის რაღაცა, რაც სრულებით ვერ ჰგუობს ღობეს“), ვერც მილიარდერი თანაკურსელების მწირ ტრაპეზას (დაბადების დღეებზე გაცილებით მდიდრულ სუფრებს უშლიდნენ თბილისში), ვერც უგემურ კერძებს, ამადაც ჩააქვს ამერიკაში „გადაკმაზული ტყემალი“ და თანაკურსელებს „დელიშეზ, დელიშეზ“-ს აძახებინებს (შეუძლებელია, არ მოგვაგონდეს პასაჟი მოდერნისტული პროზის შედევრისა – „შელოცვა რადიოთი“: ევროპულ რესტორანში შემწვარი ხორცის „კიკნისას“ ელის მწარე განაფიქრი: „ამას მოუხდებოდა მძაღე ან კვაწარახი“).

სხვა ულისე, ნინიას შეყვარებული ბექაც თავის ინიციაციურ გზაწვრილს გაივლის. „ალბათ ჰოლივუდის დამსახურება იყო ის, რომ ეგონა, ამერიკაში ბევრ ლამაზ ქალს ნახავდა“ – ვკითხულობთ ტექსტში. გაგრძელება ლაპიდარულია: „საქართველოში უფრო ხშირად ხვდება თვალს სილამაზე, ვიდრე აქ“.

ნოსტალგია აქაც სიზმრებად ტრანსფორმირდება. დედის დასიზმრებული (რეალურიც) ავადმყოფობა მხოლოდ ერთი კონკრეტული დედის ავადობად როდი აღიქმება ტექსტში – აქ მთავარი დედა – საქართველოა ავად, რადგან მისი შვილები სხვის კალთაში ეძიებენ სულმოსათქმელ ნავსაყუდარს.

კონცეპტუალურად, ზუსტად იგივე დატვირთვა აქვს „ულისეში“ სტივენ დედალუსის დედის სიკვდილის აღმწერ პასაჟებს.

სიზმრისავე ენიგმებია „დეფორმირებული სახლი“ და „არეული ეზო“. იგივე პარადიგმები საოცარი შთამბეჭდაობით გამოჩნდებიან გია ხუბუას ნოველების წიგნში „ნიჟარები“. მეუღლისადმი მიძღვნილ ნატიფ ნოველაში „ქოხი ტყის პირას“ ტექსტის პროტაგონისტს გია ხუბუა ძველთუძველეს ქოხს მოანატრებს, დააცვევინებს... დევნილი ცოლ-ქმარი, რომელთა შვილებმაც, დიდი ხანია, დედაქალაქში დაიდეს ბინა, ოცნებებში ისევ ლანდურ, პალმებისა და მაგნოლიებით გადახურულ ქოხს ელაციცება,

მათი გარდასული, დაუვიწყარი ბედნიერების უტყვ მოწმეს... სხვა ტექსტში კი (უაღრესად მეტყველი სათაურით „ფუძის ანგელოზი“) მწერალი კვლავ ირაციონალურის, მისტიკურის სივრცეში გაიყვანს მკითხველს: ტექსტის პროტაგონისტი, რომელიც, შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც დასთანხმდება ხუროთა შეთავაზებას – დანგრევის პირას მისულ ოდას შეელიონ და კოხტა ფიცრული შეკრან ნაფიცრალისგან, განწირული სახლის მინაზე გალანდული დიდი პაპის სახეს იხილავს... მისტიკური შიში, ირაციონალური ძრწოლა ის განსაწმენდელია, რომელიც პროტაგონისტს აუცილებლად უნდა გაევლო და გადაეტანა, რათა არ შეხებოდა საწმინდარს – წინაპართა ოდა სწორედაც საწმინდარია(იგივე ენერგეტიკა მოდის რეზო ადამიას ქართული ოდების რეკვიემიდან).

ირაციონალურია სინკლერის ტბის აღქმაც „ზღვის ანარეკლებში“, როდესაც ამერიკელი გიდი ტბის სიგრძეს დააკონკრეტებს, „მთელი საქართველოს სიგრძე არ ყოფილაო“, გაოცებით ეტყვის ქართველი ვაჟი ქართველ გოგონას...და თუმც სამშობლოს „არშინით ვერ გაზომავ“ (ტიუტჩევის რემინისცენცია), არის ამ შედარებაში რაღაც ძალიან თბილი, ნოსტალგიური...

ზღვა აღნიშნულ რომანშიც (და ყველგანაც გია ხუბუასთან) რეალურიცაა და ირეალურ-ირაციონალურიც (როგორც გალაკტიონი ამბობს ერთგან სამშობლოზე: „მქონდა იგი თუ მომაგონდა?).

საქართველოში დაბრუნებული ნინია მალევე აიცრუებს გულს დედაქალაქურ შოპინგებზე (ბარათაშვილთან „ჭირიანობა-ჭორიანობაზე“), ზღვას მოინატრებს. არქეტიპი ძველ საბერძნეთში, ჰომეროსთან იძებნება: „ზღვა ჩამორეცხს ადამიანურ ცოდვებს“).

ნინიაც ზღვის ჭვრეტით ძლიერდება: „ზღვა როგორღაც ირეალური მოეჩვენა შორიდან, მუქლურჯი და უდაბნოსავით უდაბური, მაგრამ, რომ მიუახლოვდნენ, ზღვამ დაიბრუნა თავისი ხიბლი – ლივლივებდა და ოდნავი ციმციმით ირეკლავდა მზის მცხუნვარე სხივებს“.

მარადცვალებადი და მარადუცვლელი ზღვის გია ხუბუასეულ ზემოთ მოყვანილ აღწერაში კონცეპტუალური დატვირთვა მოუდის სიტყვებს „შორიდან“ და „რომ მიუახლოვდა“ – ზღვა სხვადასხვანაირია „შორიდან“ და „როდესაც უახლოვდები“.

კონცეპტუალურია ცოლ-ქმრის, ნინიას დედ-მამის მოკლე დიალოგიც: „– ჰორიზონტი მარტო ზღვაზე კი არ ჩანს, ყველგანაა. – ჰო, მაგრამ მხოლოდ ზღვაზე ჩანს ჰორიზონტი, როგორც დასალიერი“. გალაკტიონთან ჰორიზონტი ის საკრალური ალაგია, „სადაც ზღვა და ცის დასავალი სიტყვის უთქმელად გრძნობენ ერთმანეთს“.

გია ხუბუამაც იცის ზღვის საიდუმლო: „ზღვა იდუმალებანარევ ნათელს აირეკლავს“. ფრაზა ბრწყინვალე ენიგმაა: ყოფიერი – ტრანსცენდენტულს, წარმავალი – წარუვალს ირეკლავს.

ნიჟარებიც ზღვის ხმას ინახავს და ნოველების კრებულს სათაურად გატანილი ენიგმური სიტყვაც პაროლია – დიდი ზღვის პატარ-პატარა ამბების კრიალოსანი. თავად გია ხუბუას სიტყვა-კონსტრუქციებს დავესესხებით: „ჩავლილი დღის თვალწინ აციმციმებული ნამცეცები“ უნდა გამოსტაცოს „დავიწყების მღვრიე ლიამწოვს“.

„ნიჟარების“ კონცეპტით, „განძის საძებნელად წასვლა ზღვაზე წასვლას ნიშნავს ნაპირზე სახეტიალოდ და ნიჟარების შესაგროვებლად (კვლავ „ულისეს“ ასოციაცია), მეგრულ ქელეხში ნებისმიერი დეტექტიური სიუჟეტის კვანძის გახსნაა შესაძლებელი („მეგრული დეტექტივი“), სულიერი ძალისხმევით ყოველგვარი ფიზიკური ხინჯისგან თავდახსნა, უიღბლოთა სევდიანი ბილიკების ბოლოს მაინც შუქია, ყაზბეგის მანათობელ ტრასაზე მხოლოდ იაპონელი მოხუცი ტკბება უმშვენიერესი სულიერი ლანდშაფტით, ბიბლიური მალქოზი, უფლისაგან ყურგამრთელებული პირველად დაფიქრდება უფალზე (სხვათა შორის, იგივეა კონცეპტი ლაშა ბუღაძის ნოველისა „ყვითელი“).

გია ხუბუას მხატვრული სივრცე ითაკაა, ყოველი ულისე-ოდისევსის სათაყვანო ლოკალი, თავისი კვამლივით ტკბილ-მწარე.

ოღონდ ითაკა, როგორც ყოველთვის საძებარი და მოსაპოვებელი (ელიც ამბობს ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „შელოცვა რა-

დიოთი“, სამშობლოში დაბრუნება, იგივე სამშობლოს დაბრუნება, იგივე სამშობლო უნდა დავიმსახუროო).

ითაკას მხოლოდ მაშინ ვიპოვით, როდესაც მუხათგვერდის სასაფლაოზე ძმა ძმის საფლავს იპოვის (საერთოდ, ძმა ძმას იპოვის), მემკვიდრე წინაარსის სახლს არ დაშლის და ფიცრულად არ შეკრავს, სამშობლოს საწებლად კი არ წაიყოლიებს ოკეანის გაღმა, „ოდაბადეს“ აქცევს წალკოტად, ისეც რომ წალკოტად უშობებია არსთაგამრიგეს.

ითაკა წუთისოფლის ზღვაში ჩვენი კუნძულია.

ყოველი ინიციაციური გზა (ევროპულ-ამერიკულ-საბჭოური) მხოლოდ წუთისოფლის ლოკალური მისამართებია, ტრანსცენდენტულის ანარეკლები თავიანთი ფარული განზომილებებითა და უნატიფესი ნიჟარებით, მარადახალი და მარადძველი ზღვის მელოდიებს რომ იმარხავენ...

<u>მერი ზაქაშვილი</u>

ფიქრები ნოველაზე „ფუძის ანგელოზი”

რად იქეცი, ადამიანო? რამ შეცვალა შენში ბავშვური გრძნობები, თანაც ნამდვილი... საით გადაისროლე ეს ყოველივე? იქნებ მიაგნო და დაიბრუნო, არ გინდა, სცადო? რამ ჩაგითრია, რამ მიგიმხრო ასე ძალიან, ნუთუ ქალაქის სივრცეებმა ან შენობებით დასერილმა ცამ? რა მიმზიდველია ლამპიონებით განათებული ქუჩები, არა? მაგრამ მთვარე, მთვარით განათებული შენი სახლის ფანჯრებზე რას მეტყვი, საიდანაც არ ისმის ხმები, არც თამაში, მხოლოდ სიჩუმეა გულსაკლავი, სადაც სიცარიელე ბუდობს და იცი...იცი, როგორ სტკივიხარ შენს სახლს, შენმა ბაბუმ შენს საიმედოდ რომ ააშენა?!

გუშინ საღამოს ერთ ლამაზ ნოველას ვკითხულობდი და მისი მთელი არსი, აზრი და სიტყვები, სიტყვები ასე შემმუსვრელი ადამიანის, მიმოაწყდა ჩემს შინაგან (ისედაც არეულ) შრეებს და დამიტოვა რაღაც მოუშორებელი ფიქრი. ზოგ ადამიანს რარიგად კარგად შეუძლია წინ დაგიდოს შენი ტკივილები, დაგაფიქროს და აგაფორიაქოს, მით უფრო, მწერალს. პატარა ამბები მიყვარს დიდი აზრებით, სულს რომ განგიკურნავს თითქოს და თან რაღაცას ქარიშხალივით დაგიტრიალებს. აი, რომ გითხარით, გუშინ ნოველას ვკითხულობდი-მეთქი, იქ ერთი კაცი იყო, ოღონდ ბევრი ერთი კაცი, სახელად ჯუმბერი. სწორედ თქვენ გგავდათ, კი არადა, იმას თქვენ ჰგავდით. ხედავს ჯუმბერი „ეზოს სიღრმეში მოწყენილად მდგარ ოდას“. თქვენც დაინახეთ, მიტოვებული, მიუსაფარი როგორ საშინლად ჩამოშლილა, დამსგავსებია გახრწნილ სხეულებს?

სახლიდან არ გარბიან, სახლს არ უფრთხიან, ბავშვობის მოგონებებზე უარს არ ამბობენ, ნარნარით მოვლილ სახლის კუთხე-კუნჭულებს არ ჩამოშლიან, ბაბუას დარგულ ხეებს არ ახმობენ, ახმობენ კი არა, რგავდნენ ხოლმე ადრე კიდევაც და შენ, ადამიანო, რა შეიქენი ამისთანა, რომ ვერაფერი აგიგია და რაც აუგიათ, ისიც დაგიქცევია?! ნეტავ, რამდენი ჯუმბერი ხართ აქ, მაინტერესებს ისე, ჩემთვის რომ ვიცოდე, რამდენი სახლი ჩამოვშალეთ, რამდენ მშობელს ან მათ სულებს ჩამოვუშალეთ თვალწინ ჩვენი არარსებობის ფარდა ან ავურიეთ უბრალოდ თავგზა. ერთი...ორი...სამი... ეჰ, მგონი, ჩემი მათემატიკური სივრცეები ვერ გამიშვებენ შორს და ავირევი ამ უკიდეგანო, დაუსაბამო ციფრებში...

„ბალახმოძალებულია ახლა შენი ეზოც“, ქვებშიც ამოუღწევიათ და მიმსგავსებიან საწოლს მიჯაჭვულ, სიკვდილისთვის გადადებულ ადამიანს, რომელსაც ვეღარ განკურნავენ, იმედი არც აქვთ. ამ ჩვენს გმირსაც, „ჯუმბერს მიეტოვებინა თავისი ოდა, სადაც მთელი თავისი ბავშვობა გაეტარებინა“. ეჰ, ბავშვობასაც უღალატა და ამ ოდასაც, უფრო კი ბაბუს, ასე რომ იწვალა, მთელი გული და სული ჩადო ამ სახლის

შენებისას იმ იმედით, რომ შვილები, შვილიშვილები მიმიხედავენ ჩემს საგანძურსო... მაგრამ... ეჰ... ხელში ჩათვლილი უკანასკნელი ხურდებივით დარჩენია ეს იმედები იმ სულს, რომელიც ბოლოს სახლში გაილანდება.

ჩვენს ჯუმბერს სახლის შეკეთება რომ მოუნდა, უთხრეს: „ახლა ხის სახლს არავინ აშენებს და ხუროც ძნელი მოსაძებნიაო". დღეს ერთმანეთის ჯინაზე ვაგებთ ქვის ცივ სახლებს, ვაწყობთ და ვამდიდრებთ, არადა, რამდენი თქვენგანი ოცნებობს ხის სახლზე, თქვენებურად რომ მოაწყოთ, მაგრამ ახლა სადღაა ლამაზი ოდასახლები, კანტიკუნტად თუ მოჰკრავთ თვალს რომელიმე სოფელში. ეჰ, ჯუმბერ „ადამიანის გარეშე დარჩენილ დედამიწას ოცდაათ წელიწადში რა მოუვაო", გადმოგცეს ტელევიზიიდან და დაგაფიქრა ამან შენ, გაგახსენა გულში საიმედოდ მიჩქმალული სიცოცხლის რაღაც ძაფი... ამდენი ხნის მერე გადმოალაგე უფერული ფერადი სურათები და მიხვდი, რომ გენატრებოდა სახლი, რომელზეც უარი თქვი და გაიგონე შენი ცოლის უშნო სიტყვებიც. შვილსაც გადასწვდა, არც კი ჰკითხეთ, იქნებ უნდოდა,ოდესღაც მაინც რომ ენახა ვერჩამოშლილი სახლის კედლები. „ჩვენ არ ვიცხოვრებთ იქ, მით უმეტეს, არც ჩვენი შვილიო", როგორ წამოგცდა, შენ არ გეტკინა, მაგრამ შენს ქმარს, შენს ქმარს კი – მართლაც. შიგნით მალევე აერია სამყოფელები, როცა უეცრად სახლის დაშლის პროცესში მის თვალწინ სახლში გაილანდა ბაბუა ალექსის სახე ჭაღარა წვერით, დიდი დარდებით და შენც აღმოგხდა, ჩემო ჯუმბერ: „დორო, ჩამოდი, ჩამოდი". მიხვდი, რომ არ შეიძლებოდა შენი არსის დანაწევრება. ბოლოს ხომ მაინც გაიაზრე შენი სახლის გულისტკივილი და თქვენ თუ მიხვდით, სხვა ნახევრად ჯუმბერებო? არ გაგიკვირდეთ, მაგრამ ყველას სახლში ყოველთვის გაილანდება მოხუცის სახე, დიახ, მოხუცის...

წელან რომ რამდენიმე რამ ვახსენე ნოველიდან, მისი სათაური ბოლოს სათქმელად შემოვინახე... „ფუძის ანგელოზი"...თავად სათაურში რამხელა რამ ამოიკითხება ხოლმე... სულ სხვაგვარად დაგივლის ტანში ცივი ქარი ამ ორი სიტყვის გაგონებისას: „ფუძე" და „ანგელოზი". შენი ფუძე შენი სახლია, სადაც პირველად ნაბიჯი გადაგიდგამს, შეგისწავლია ანი და ბანი და რაც უნდა მოიმოქმედო, შენი „ფუძის ანგელოზი" ყოველთვის დაუცდის წუთს, როცა შეძლებ მის დანახვას და აღქმას...

სანამ მშობლები გყავთ, ჯერ კიდევ ჩადიხართ მათთან, მაგრამ როგორც კი მიწას მიაბარებთ, ცოტა ხნით ივლით და მერე, ნელ-ნელა მიზეზს ამოწურავთ და თქვენს ბილიკს, ნაბიჯებს უკვე გადაშლის ქარი, წვიმა და თოვა... ამობიბინდება ბალახი და ლამაზად გადათელავს შენს ყოფნა-არყოფნის საკითხს, მაგრამ რაღაც გაგიელვებს გულში და ყველა არტერიას მოივლის, მოგონებებს აგიშლის უცნაური ფიქრები და მიხვდები, რომ არაფერი ხარ სახლის გარეშე და შენი „ფუძის ანგელოზი" მოგიხმობს შინ, გეტყვის: „შენ შინ ხარ, როგორც იქნა, შინ დამიბრუნდი" და ყოველ ფიცარნაგს დაგაკოცნინებს, საგიჟეთიდან სიმშვიდეში გადმოსახლებულს.

მხატვრულ ხერხებსაც მიედ-მოედებიან ხოლმე, იქით ათას პარალელს გაავლებენ (ესეც საჭიროა) სხვადასხვა მწერალთან და თავიანთ ნაწერებს სრულყოფილს გახდიან, მაგრამ მე არ მინდა ჩემი ნაწერი სრულყოფილი იყოს და სხვა მწერლებთან გადაძრომა-გადმოძრომას აღარ დავიწყებ... ხომ დაინახეთ, ვარჩიე პირდაპირ ცხოვრებიდან აღებულ ინგრედიენტებთან, დიახ, თქვენთან გამევლო პარალელი და ესეც კმარა... რა მოსატანია რომელიმე ნაწარმოები უნიღბო ნამდვილ სახეებთან, როგორც სარკის წინ გაშიშვლებისას, როცა ყოველი მინუსი იცი შენი სხეულის.

ამდენი ერთი სახელის მქონე ადამიანი თუ გინახავთ თქვენ ოდესმე ერთად? ახლა კი ვხედავთ...

ადამიანებო-მეთქი, თქვენ რომ მოგმართავთ, აი, საკუთარ თავსაც ვკითხე: „შენც ჯუმბერი ხარ?" და შემეშინდა, დავახშე ყველა სასმენი ორგანო... მეც ჯუმბერი ვარ, შენც ჯუმბერი ხარ, ისიც ჯუმბერია და მაინც მოდით, ის ჯუმბერი ვიყოთ, რომელიც კი არ ტოვებს, ივიწყებს ან ანგრევს, არამედ ვინც ახალისებს, აყვავებს და აცოცხლებს არეს!

თამაზ პაჭკორია

მედიტაცია ლაშა გვასალიას ნოველაზე „სასაფლაო“

ვფურცლავ ლაშა გვასალიას კრებულს „ორანი“. უნებლიეთ, 148-ე გვერდს აშტერდება მზერა. ნოველა „სასაფლაო“ მიპყრობს. მიპყრობს პირველი აბზაციდანვე. გონების სიღრმეში ვეშვები, „დუმილი ღმერთის ჩურჩულიაო...“ მივყვები ბნკარედს.

„დუმილი სჩვევიათ ეკლესია-მონასტრებს. იდუმალი, ფიქრებით დახუნძლული დუმილი..“

„დუმან სასაფლაოებიც..... სიკვდილისხელა დუმილით სავსე სასაფლაოები.სალოცავ ეკლესიების ალიკვალები.“

ღმერთო, ეს რა საოცარი მიგნებაა... არაამქვეყნიური ქვეყნიდან გვესაუბრება ავტორი.რა ჯილაგის უნდა იყოს კაცი, რომ წამოცდეს სიტყვათა დუღაბი – „დუმან სასაფლაოები“. სიკვდილისხელა დუმილით სასაფლაოებსაც აღმოაჩნდა საკუთარი ენა. ენა – უსიტყვო. ენა – დუმილის. კაცთა გამრიდავი დუმილის ენა.

დუმან სასაფლაოები. ჩვენი წინაპრები მიწისქვეშეთიდან მრავლისმეტყველად დუმან. დუმილით მიღმიეთის იდუმალებას გვფენენ ცოცხალთ. მარადისობასთან წილხვედრს გვქმნიან.

რა შეიძლება საპირწონედ დავუდოთ სასაფლაოების დუმილს. — სამყაროს დუმილი?

...დუმს სამყარო. დუმილით გვმოძღვრავს. განა მთები არ სდუმან. არ სდუმს ზეცა. არ სდუმს მზე, მთვარე. მაგრამ მაინც, სასაფლაოების დუმილი სხვა არის, სხვა შემადგენელი ახლავს თან.

წარსულთან გვქმნის წილნაყარს. მამა-პაპათა ორანთან.

რა სიბრძნე უნდა მოგეძალოს კაცს, რომ აღგმოხდეს: დუმან სასაფლაოები... მერე ჩაიხედო მიწიეთში, ძვალთშესალაგებელი აამეტყველო, გამოეხმაურო, სევდით შემოსო და სამყაროს მარადიულ დუმილს შეუერთო, შეიყოლიო მკითხველი.

„დუმან სასაფლაოებიც“...

იქ, სადაც დუმილია, სიცოცხლეა,განსაკუთრებული, მრავლისმეტყველი, უხმო სიცოცხლე.

დუმილში იწყება სიცოცხლე. სააფლაოების დუმილში კი იწყება მარდისობის ჰანგი.

ლაშა გვასალიავ, დუმილის მედროშევ, როგორი სევდაა ჩაყველაფრებული შენ მიერ დაჭერილ, აღმოჩენილ მარადისობის წამში. დგახარ მამა-პაპათა საფლავებზე და სასაფლაოს სიმფონიას ეყურადები, მარადისობის სიმფონიას. დუმილის თეატრს ფარდასა ხსნი და გაითამაშებ „ერთ ლოდ ქვეშ“ დატეულთა სპექტაკლს. მკითხველის წარმოსახვაც მიექანება წინაპართა საძვალეებისაკენ და სმენაში ხმიანდება სიტყვები „დუმან სასაფლაოები“.

განსაკუთრებულად ძვირფასი ხდება ისედაც ძვირფასი სასაფლაოები. როგორი დამუხტული, ღრმა, უკიდეგანო დუმილით დუმან სასაფლაოები...

„მაშინ ეგეთი ქართველები“ იყვნენ“.

ეგეთი“!!!!

ეგეთ ქართველებზე დუმან სასაფლაოები.

„ნეტა იმ დროს!“

„მეჯვარეები სიკეთით სავსე ადამიანები იქნებოდნენ. ღიმილით აღვსილნი...“

იქნებოდნენ, უთოდ, სიკეთით სავსენი იქნებოდნენ. სასაფლაოების დუმილში ხომ მათი სიკეთით სავსე გულები დუმან.

ასე იქნებოდა – „ქორწილი შემოდგომაზე, ორსული ქალივით სავსე დროს გაიმართებოდა“.

ორსული ქალივით სავსე დროს!!!

დღეს კი დუმილით სავსე სასაფლაოები ინახავენ ფიქრებში ქორწილების და ლხინის სუფრებს, ორატორად ქცეულ თამადათა

გამონათქვამებს.

დუმან სასაფლაოები. დიდებული დუმილით დუმან.საღვთო დუმილით დუმან. დუმან მოწიწებით. ტანში ჟრუანტელგავლით დუმან. მრავლისმთქმელი, მრავლის დამტევი დუმილით.... „დაღმერთდებოდნენ თეთრსპეტაკა ანგელოზები და აამაღლებდნენ ზეცამდე ჭერს.“

„დაღმერთდებოდნენ“...

სასაფაოებიც დაღმერთებულა.დაღმერთებული სასაფლაოები დუმან. ღმერთივით დუმან.

....ჩვენთან „სიკვდილი რას გაბედავდა მოახლოებას, ფარად ბებიები და ბაბუები გვედგნენ.“

საოცრებაა... „ფართა“ სასაფლაოების წინ გარინდული მახვში — ლაშა გვასალია.

და-ძმის მიერ გარდაცვლილი ჩიტისთვის გათხრილი სასაფლაო... სიალალით დარგული დიდსევდიანი კაკლის ხე: „ჩვენ რომ არ ვიქნებით ამ ქვეყანაზე, ის კაკლის ხე შეინახავს მოგონებებს ჩვენი ბავშვობის პირველი სევდის სასაფლაოზე. აიჭრება ცისკენ, გაშლის ტოტებს და დედაბატონ მზეს შეავედრებს სევდის ნათელიანობას“.

„დედაბატონი მზე“... დედაბატონი მთვარე. დედაბატონი დუმილი. დედაბატონი მარდისობა. დედაბატონი მიღმიეთი. დედაბატონი ვარვარა...

„მოდით, ისევ სევდას მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ.... სევდა ხომ ეკლესიის გუმბათზე გაჩენილ ჟამის მარადიული ფიქრი და ოცნებაა....“ სევდა, სასაფლაოთა მარადიული გვირგვინი და მართლაც: „სასაფლაოებს რა ეშველებოდა უსევდოდ... ჩვენი სიყვარულის და ტკივილის უშველებელ სავანეს?“

დუმან სასაფლაოები...

მედიტაცია-2 ლაშა გვასალიას მოთხრობაზე „კაკაბია“

შიშით ვწერ, ვაითუ მოთხრობა „კაკაბიას“ ტოლფასი არ აღმოჩნდეს ჩემ მიერ, როგორც მკითხველის მიერ, გამოხატული ჩემი გრძნობები. მაპატიეთ, თუ თავმდაბლობას ვერ ვემორჩილები... მოთხრობა კი ასე იწყება:

„ძველით ახალი წლიდან წყალკურთხევამდე ბაბუა შიმშილობდა. სულ ხუთი დღე, აქედან 4 დღეს ხმელი პურითა და წყლით გასტანდა, მეხუთე დღეს არც წყალს გაეკარებოდა, არც პურს. არსად დადიოდა ის დღეები, არაფერს აკეთებდა და დამუნჯებული იყო, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, კრინტს ვერ დააძრევინებდით. ვიცოდით შვილიშვილებმა და ის ხუთი დღე არ ვეკარებოდით. ზალაში, ტახტზე იძინებდა. დუმდა და ფიქრობდა, ქრისტესავით სევდიანი იყო. განწმენდის დღეები ჰქონდა ბაბუს, ოხვამეკარიდან კაკაბია, ანუ წმინდა წყალი უნდა მოეტანა ოჯახისთვის 19 იანვარს, წყალკურთხევის ბრწყინვალე დღეს. საამისოდ საგანგებოდ მომზადებულიც იყო, თავსაცობიანი, ჯვარამოხატული თიხის 5-ლიტრიანი დოქი ჰქონდა, ბამბაჩაფენილი ბრეზენტის ზურგჩანთა და საგანგებოდ იმ დღისთვის გამოთლილი თხილის სახრე, რომლის შიშითაც არც ეშმაკეული და არც სხვა ვინმე ძე-ხორციელი ვერ უნდა გაგკარებოდა. შიგთავსიდან გამომდინარე, ამ ჭურჭელს კაკაბიას კოკას ვეძახოდით. 19-ში, უთენია, მამალს რომ კრინტი არ ჰქონდა დაცდენილი, ისეთ დროს გავიდოდა სახლიდან და დაახლოებით სამ საათში უკანვე მობრუნდებოდა მთელი წლის საკმარი კაკაბიათი, პირველად თავად დალევდა ასევე კაკაბიასთვის განკუთვნილი თიხის ჯამიდან, როგორც ოჯახის უფროსი და მერე ჩვეულებრივად, ანუ დანიშნულებისამებრ მოზომილად იყენებდნენ წმინდა წყალს. ბაბუა ხატებს ქვემოთ წითელხავერ-

დგადაკრულ სამფეხა ჯორკოზე სიფრთხილით შემოდგამდა წმინდაწყლიან დოქს და მომდევნო წყალკურთხევამდე....“

წყალის ძალა ვინ არ იცის! მით უმეტეს, ნაკურთხი წყალის, წმინდა წყალის; ღმერთთან ერთარსებობაში მყოფმა ბაბუამ უფრორე. სიმბოლურია წმინდა კაკაბიას წმინდა დოქიც, სხეულს ჰგავს, ბაბუას წმინდად შემონახულ, ნაპატრონებ „სხეულს, რომლითაც ღვთითმოსავი ადამიანები ემზადებიან უფალთან შესახვედრად, შვილიშვილთა სასიცოცხლო ძალით აღსავსებად. სხეულის ღვთითმოსაობისათვის შემზადების უდიდესი კულტურის შემსწრენი ვხდებით მოთხრობა „კაკაბიას“ პირველი პწკარებიდანვე.... ბაბუას ხელდასხმით წმინდა წყალი „კაკაბია“ დიდ, მისტერიამდე აყვანილ პატივშია ოჯახში და, საერთოდ, ოდაბადეში.... და აი, ბაბუა კვდება; წამები დარჩენია მარადისობაში გადასასვლელად. უკანასკნელი ნატვრაც, ბუნებრივია, წმინდა წყალის ყლუპია, რათა განწმენდილი მიეახლოს უფალს.... ბაბუას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე წამები დარჩენილა: „წყალკურთხევამდე არ მოვკვდები, შენი მოტანილი კაკაბია დავლიო უნდა! კუჩხას, ბედობას და ანგელოზობას ლოგინად დახვდა. მე დამეკისრა მეკვლეობა, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც ბაბუას გაუხარდებოდა. მერე შიმშილობა დავიწყე, ანუ განწმენდა წყალკურთხობისთვის. ბებიამ მითხრა: რომ ვუთხარი, შიმშილობს და იწმინდება წესისამებრ-მეთქი, გაიხარა და უფალს მადლობა გადაუხადა ასეთი შვილიშვილის ჩუქებისთვისო. ისევ მომერია ცრემლი, ვერაფერი ვუთხარი ბებიას, არ მქონდა უფლება, მომიტანა პური, წყალი და გავიდა ოთახიდან. ასე მშიერი და უქეიფოდ შევხვდი დაბადების დღეს. ფრთხილად, ფეხაკრეფით შევდიოდი ბაბუას საძინებელში და ცრემლიანი თვალებით ვეთხოვებოდი მოხუცს, რომელსაც ცვილისფერი დასდებოდა და დაუხამხამებლად მიშტერებოდა ერთ წერტილს... დადგა ოხვამეკარში გამგზავრების დღე. მოვიკიდე ზურგჩანთა და გავეშურე ოხვამეკარისკენ, წკვარამი ღამე იყო, სათოვლოდ მოქუფრულიყო ცა... უფრო ავუჩქარე ნაბიჯს. გული ცუდს მიგრძნობდა, იქნებ ვერ მივუსწრომეთქი და სირბილით ავუყევი აღმართს. გული ამოვარდნას მქონდა, სუნთქვა მეკვროდა... „...გული ამოვარდნას ჰქონდა, სუნთქვა ეკვროდა. იქნებ ვერ მოესწრო, იქნებ ბოლო ნატვრა ვერ შეესრულებინა ღმერთთან წილნაყარი ბაბუასათვის; წმინდა წყალით სავსე, წმინდა დოქით ხელში, თავქუდმოგლეჯილი მიქრის ბაბუასაკენ. იმართება ქართული ჯიშისა და ჯილაგის ენერგიულობის სიკვდილთან შერკინება.

ბაბუა – წმინდა დოქი – წმინდა წყალი – შვილიშვილი და სიკვდილზე გადასწრების თავაწყვეტილი ჟინი... არასოდეს მიფიქრია რეჟისორობაზე, არც სცენარის დაწერის სურვილი გამჩენია ოდესმე, „კაკაბიამ”კი ეს ორივე მოთხოვნა ჩაასახლა ჩემში. ნუთუ ვინმე რეჟისორი, ნუთუ ვინმე სცენარისტი არ წაიკითხავს „კაკაბიას“, არ აფორიაქდება და ეკრანზე არ გააცოცხლებს წმინდა წყალით სავსე წმინდა დოქით ხელში, ბაბუაში შეღწეულ სიკვდილთან გაჯიბრებულ კაცობრიობის შთამომავალს... აქ და ახლა გამოჩნდება წინაპართა ჯიშის ძალა, ახლა უნდა იმარჯვოს მგლის მუხლებმა. დაამარცხოს სიკვდილი... ბაბუა ეჭიდება სიკვდილს, შვილიშვილს უნდა გაუმართლოს, შვილიშვილს უნდა შეეხიდოს, შეეწიოს და დააჯაბნინოს ბაბუას სხეულში ამხედრებული სიკვდილი; თავადაც უკანასკნელად, სამარადჟამოდ გაიხაროს და რაც მთავარია,შვილიშვილს გაუჩინოს სიკვდილთან გამარჯვების განცდა; ასე, უკანასკნელ ჟამს, უკანასკნელად და სამარადჟამოდ გამარჯვების რწმენა ჩაუკიროს შთამომავალს ძარღვებში. მე მინახავს სიცოცხლესთან და მოყვრებრთან გამოსამშვიდობებლად, შინაგანი ძალების როგორი ენით აღუწერელი ძალდატანებით გაუხელია მომაკვდავს თვალები, მერე სამუდამოდ დაუხუჭავს და

კურცხალი ცრემლიც ჩამოღარვია სახეზე. ეს ბოლო, სულისშემძვრელი თვალის ახელა ტოლფასია ყველაფრის და ძალიან მიჭირს, ამ „ყველაფერში“ რა გრძნობები ჩავატიო, ამ წადილს რა მოვუნახო სახელად. ალბათ, უფრო ლოცვაა ეს,თვალის უკანასკნელად ახელით გამოხატული ლოცვა და დამშვიდობება ამქვეყნიურობასთან... ბაბუა იმარჯვებს, წამით მოგვერდს უკეთებს სიკვდილს და შვილიშვილს თვალახელილი ხვდება, მოასწარო.... „გამოვცოცხლდი, გავიქეცი, მოვარბენინე ფიალა თიხის, გადმოვასხი კაკაბია და მივუტანე ჩემს უსულო იმედს. მერე ოდნავ გაღებულ ტუჩებში ჩავუწვეთე, თვალები და პირ-სახე მოვბანე“.... ამგვარად გაგრძელდა შვილიშვილში ბაბუა, ეს დაუსრულებელი გაგრძელება, ჟრუანტელის მომგვრელი გაგრძელება; ეს დუღაბია საუკუნოთა, წარსულთა,აწმყოთა და მომავალთა...

დიდი, საოცარი მისტერიის თანამონაწილე გავხდი „კაკაბიას“ კითხვისას.

ქედს ვიხრი შენს წინაშე, ლაშა გვასალიავ, „კაკაბიას“ ავტორო!

ლაშა გვასალია

გოდერძი ჩოხელის მონატრება



შენ ცასწავალა ფრთებით დაფრინავ. სევდა – სიკვდილის მოკლე პროლოგი შემოგსალტვია ცისარტყელად და ნაგრილებს ღრუბლის უთამამდები... ვერ დაატიე ამოდენა დარდი ყველაფრით სავსე ჩვენს სამყოფლოში და გაჰყევ ცასწავალას, შენი სიტყვისა და ფიქრის მზექალოს...

ბავშვივით უკეთილესი თვალებით ეფინებოდი სამზერსა და სახილვეთს... ჰო, სათუთად ეფინებოდი, ეგეთი რიდიანი და თავმდაბალი იყავ, თითქოს მაცხოვრის ჯვარზე ვნება შენი ბრალი ყოფილიყო – ყველაფრისა გერიდებოდა, კანკალებდი და ეგრე ნაბიჯ-ნაბიჯ შორდებოდი უმადურობის ადამიანურ კორიანტელს. სხვანაირი იყავ, სრულებით სხვანაირი და განსხვავებული. ამიტომაც ვერ გიგუეს ყორნისებმა. თუ მათ დარად შავნახშირა არ იყავ და გულწამღებად ჩხავილი არ შეგეძლო, რა ჯანდაბად უნდოდით, გამორჩეულობას ვინ გაპატიებდა... ეგრე თავისუფლად ვინ გაღირსებდა გალაღებისა და ხმამაღალი სიყვარულის უფლებას...

შენაც ყველა და ყველაფერი გიყვარდა: ცა, მიწა, მთა და ბარი, ფრინველები და ცხოველები, პეპლები და მათი სამოთხე ყვავილები. ია გიყვარდა ვაჟასავით, ობლად შთენილი სიყვარულის მედარდისედ შთენილი ია...

სახარებაც ქართულად და შენებურად წაიკითხე...სულში სილურჯეთა ხასხასი ჩაივანე და წახველ...

ვერც დარჩებოდი...

ნათელ დაგადგეს, ძმისავ, დიდგულიანო ქართველო, ძალიან მაგარო შემოქმედო!..

ტარიელ ხარხელაური – სევდის პოეტია...



სულ მეფიქრება, სევდა ისე არავის უხდება, როგორც ქართველს-მეთქი. სევდა – ფიქრადქცეული სამყაროს ამოქშენაა, ამ უკიდეგანო დუნიის პატარა ნაწილი ჩვენცა ვართ. უსასრულო ტკივილყოფით ამ მიწა-წყალს დარდად შემორჩენილი ქართველები. ჩვენს წარსულსა და აწმყოს სევდის ბურანში გაუხვევია ყოფა ჩვენი და ეგრე ცრემლიანად შევყურებთ დაღრუბლულ სასხივეთს.

უფრო სევდიანი, უფლისეულ დარდზე აჟღერებული სიმღერები, ვიდრე მეგრულშია, არც არსებობს დედამიწის ზუგზე და ეგეც ჩვენი ისტორიული მახსოვრობის ამომდუღრება მგონია. იმ თვალუწვდენელ კლდედ ასვეტებული საწუხილოსი, რომლის დავიწყება ვერა და ვერ შევიძელით, ვერ მოვახერხეთ და ვიცრემლებით გულიდან... ეს სასჯელიცაა და რაღაცნაირი ბედნიერებაც; გაღლიცინებულ საწიერში უფლისეული სევდის განსახიერება ჩვენა ვართ – ქართველები, მითაჟამინდელი კოლხები.

ტარიელ ხარხელაურის პოეზიაც სევდის პოლიფონიაა, ცრემლის აკორდული აღმაფრენა. ასე ფიქრი და წერა მათ ძალუძთ, ვისთვისაც უფალს ხელი ჩაუვლია და თავის ბარჩხალა სამყოფლოში ამოგზაურებს. ტარიელ ხარხელაური ამიტომაცაა მასშტაბურად მჭვრეტი და მოტკივილე პოეტი. მისი სევდა ანდრეზების ძირუწვდომი ტკივილეთიდან იღებს სათავეს და გზადაგზა შემოხიდული სატკივარების დაუჩოქავად აღქმის გენიალური გამოხატულებაა. უმრწემესი ვაჟის გარდაცვალებამ სუნთქვა წაართვა პოეტს, სულ მგონია უჰაეროდ დაიარება და ეგრე ტკივილჩანთქმული ეგებება ყოველ ცისმარეს... ითმენს და დარდობს, თავის გულსა სჭამს და მყუდროობს...

გაწირეს ტარიელ ხარხელაური, მაგრამ თავად არავინ გაიმეტა, შურისძიების ბოროტულ ზრახვამდე არ დაეცა, სიძულვილს სიყვარული მიუნაგრა და დაიარება მეროჭიკე ბერივით საქართველოს კუთხე – კუნჭულეთში და მზერადამოკლებული ჯადოსნური ყვავილივით ფიქრებს იტაცებს, ყველას ფიქრსა და სადარდებელს, ვისაც კი ჩაუვლის, ან ჩაუვლიან...

„ვერკვლის ციხე ვარ მგლისფერი,
ამოზიდული დიდგორსა,
შვიდპირად მაკრავს ღრუბელი,
გველი მილოკავს ლიბოსა,
ვერ იქამს წუთისოფელი
ფეხებზე დამიკიდოსა!..“

აი, ასეთია ტარიელ ხარხელაური, ასე და ამგვარად მაფიქრალი. თანამედროვე ქართული პოეზიის ხევისბერი, სევდის ამმღერებელი კალმოსანი!

დედოზარივით გულჩამყუდროებული მეციხოვნე ქართული სიტყვისა და სათქმელისა!..

მიყვარდა

– მეგონა ასე გაგრძელდებოდა უსასრულოდ და გედივით ყელმოღერებული ივლიდა დაუღლელად და მიმზიდველად. მუდამ ასეთი საოცრება და უღრუბლო იქნებოდა. მაყვლის ყვავილს ჰგავდა, ენითა და კალმით აღუწერელ სილამაზეს, სრულქმნილს, სამყაროჩატეულსა და უსასრულოს... სიყვარულისფერი თვალები ჰქონდა, ყველასგან გამოსარჩევი და ყველაზე ლამაზი... ფართო შუბლზე ნათელი გადაჰკვროდა ზეციური სიანკარით... ღიმილი ანგელოზის გახარებას მოგაგონებდა, მარგალიტებიანს და ლიკლიკას... ლერწამტანზე მზის სხივები ასდევნებოდა მცველად და სამშვენისად... მკერდიდან ორი ახლადშებუმბლული მტრედი ამოგღუღუნებდნენ, არიქა, ამოვფრინდებითო... ტუჩები – გიხმობნენ გაზაფხულის დასაწაფებლად...

ეჰე, ჰეიი, სადა ხარ, გარდასულო მშვენიერებავ, სად ჩაგიკარგავს ნორჩი ხილვები? თვალსწრაფო და კეთილსავსე გაზაფხულისავ, ჩემო ფრთებგაშლილო სიამაყევ, დაუდგრომელო სიფიცხევ და საზღვრებმორღვეულო სითამამევ?..

ეჰე, ჰეიი... ჩამოკოკრილო აპრილებო, თქვენ მაინც რად დამტოვეთ, რად გამიყვითლეთ ლურჯხასხასა საწიერი... გაჰქრა, წავიდა, გაჰყვა სიზმარს ეს სინათელე და სიცახცახე და დამიტოვა ჟამქარაფი მხრებჩამოყრილი...

მე ისევ მიყვარს, მედარდება ძველი ანთებით და სიყვარულში ვაქსოვ სულის აბობოქრებას...

მიყვარდა...

მიყვარს და...

ეჰე, ჰეიიი!..

ვნელდები!..

„გილგამეშიანი“ – უპირველესი მხატვრული ქმნილება...

მხატვრული ლიტერატურა ყველაზე და ყველაფერზე ხნიერია, ნებისმიერ სარწმუნოებაზე, რელიგიაზე, ღმერთებზე, ბიბლიაზე და ა. შ.

მე-19 საუკუნემდე გვეგონა, რომ მსოფლიო ლიტერატურა იწყებოდა ჰომეროსის პოემებით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არსებობს უფრო ადრინდელი ძეგლი, მხატვრული ქმნილება „გილგამეშის ეპოსი“, რომლის პირველი თარგმანი ეკუთვნის მიხაკო წერეთელს, შემდეგი ორი თარგმანი – მეცნიერული და მხატვრული – ზურაბ კიკნაძეს.

გილგამეში გახლდათ შუმერების მეფე. შუმერები იყვნენ უძველესი ტომის წარმომადგენლები, რომლებიც ბინადრობდნენ თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე, ორ უდიდეს ისტორიულ მდინარეს – ტიგროსსა და ევფრატს შუა.

„გილგამეშის ეპოსი“ ჩვ, წ. მე-7 საუკუნის ძეგლია, თუმცა მასში აღწერილია 27-ე და 23-ე საუკუნეების ამბები. იდეა ამ უნიკალური მხატვრული ტექსტისა და სიუჟეტიც გახლავთ უკვდავების ძიება, რომელსაც ეძებს თავიდან უძლეველი, მაგრამ შემდგომ ღმერთებისგან დამარცხებული და ყოველმხრივ განადგურებული გილგამეში. მართალია, ის ამ უკვდავებას, როგორც ნებისმიერი ადამიანი, ვერ ეზიარება, მაგრამ ხელში ჩაიგდებს ახალგაზრდობის წამალს, რომლის გამოყენებასაც ადამიანური სისუსტისა და დაუდევრობის გამო ვერ შეძლებს და გველი ჰპარავს მას ამ მცენარეს.

გილგამეში თავნება, ამპარტავანი გმირია, რომლის მომრევი დედამიწის ზურგზე არავინაა. ის ცხოვრობს უზრუნველად, თავნებობით, მანამ, სანამ არ გამოჩნდება ქალღმერთი ინანა (შუმერულად), იშთარი (აქადურად), რომელიც გილგამეშს შესთავაზებს ცოლობას, მაგრამ გათავხედებული მეფე-გმირი უარს ეტყვის ქალღმერთს და უფრო მეტიც, შეახსენებს მას იმ ექვს ქმარს, რომლებიც მანამდე მეუღლეებად ესვა და იმასაც დასძენს, რას შესძენს მას ახალს მეშვიდე ქმარი მისი სახით, ან პირიქით? ეს შეურაცხმყოფელი აღმოჩნდება ინანასთვის, რომელიც შეჰკრებს ღმერთებს და მოითხოვს

გილგამეშის დასჯას. ღმერთები შეისმენენ ინანას თხოვნას და გმირკაცს გამოუგზავნიან ღვთაებრივ ხარს, რომელსაც, ღმერთების აზრით, ძალუძს დამარცხება გილგამეშისა. აქ შევისვენოთ და დავიხიოთ ცოტა უკან.

გილგამეში, როგორც აღვნიშნეთ, მოუთოკავი, მოუხელთებელი და დაუდეგარი გმირია, რომელიც თვით ღმერთებსაც კი არ ეპუება და მზადაა სიკვდილის ფასად დაამტკიცოს თავისი ძალმოსილება და უპირველესობა. ამიტომაც ქალღმერთმა ალუდუმ შეუქმნა მას თავისივე ასლი, ძალ-ღონითა და შეუვალობით მისგან გამოურჩევი – ენქიდუ, რომელიც უდაბნოში დაიბადება, მაგრამ ის გადის ადამიანად სრულყოფისთვის ყველა აუცილებელ გამოცდასა თუ განსაცდელს. ცხოვრობს მეჯოგეებთან, მებადურებთან, გლეხებთან, ყველასთან, ვისგანაც შესაძლებელია ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენა. მოკლედ რომ ვთქვათ, ის ეჭიდება გილგამეშს, ორი ერთმანეთის ალიკვალი გმირი დაეტაკება ერთურთს, მაგრამ იმდენად იყვნენ ერთმანეთის განსახიერებანი, რომ გამარჯვებული არავინაა, არც დამარცხებული, რაც მათი განუმეორებელი მეგობრობის საფუძველი ხდება. ეს დაუმარცხებელი, ზე-ძალის გმირები, აბსოლუტურად უმართავები ხდებიან და აკეთებენ იმას, რაც გაუხარდებათ და მოესურვებათ. მტრებს ხომ მილეწ-მოლეწავენ, არც შინაურებს აწევენ კარგ დღეს, სასტიკად დაამარცხებენ ზღაპრული ძალის მქონე ხუმბაბასაც!..

სწორედ ამ დროს გამოაგზავნიან გრძნეულ ხარს, რომელსაც ორი მეგობარი – გილგამეში და ენქიდუ დაეჭიდებიან და არათუ დაამარცხებენ, ბეჭსაც მოაგლეჯენ და იმ ბეჭს ღმერთებს ესვრიან ცაში.

ეს თავხედობა მეტად განარისხებს საღმერთეთს და გადაწყვეტენ გილგამეშის დასჯას და მიმართავენ ყველაზე ვერაგულ და უღვთო გზას, ისინი მოკლავენ ენქიდუს, გილგამეშის მეორე მეს, მისი ასლსა და ნაწილს. ეს მეტად დათრგუნავს შუმერელ გმირს და სწორედ მაშინ დაფიქრდება სიკვდილის გარდაუვალობაზე და დაიწყებს ფიქრს უკვდავების მიღწევაზე. ძალიან საინტერესოა მისი შემდგომი თავგა-

დასავალი, წარდგენა ღმერთების წინაშე და მისი, როგორც ადამიანის, დამარცხების სენტიმენტალური პასაჟები. მას შეიცოდებს მაინც ქალი – ღმერთების პანთეონიდან და მიმართავს ღმერთებს, შეიცოდონ ამხელა გზებისა და სივრცეების გადამლახავი და უკვდავებას ვერმიღწეული, ასწავლონ გაახალგაზრდავების წამალი.

გაჭრის თხოვნა, ეტყვიან, როგორაცაა შესაძლებელი გაახალგაზრდავების ბალახის მოპოვება. გილგამეში ოკეანის ფსკერზე ჩადის და იქიდან ამოაქვს ის ბალახი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, ვერ იყენებს დროულად და გველი მოჰპარავს. აღსანიშნავია გველის შემოსვლა ადამიანურ სივრცეში, რომელიც მარადიული ღალატისა და თვალთმაქცობის სიმბოლო ხდება კაცობრიობისათვის.

უნდა აღვნიშნოთ წარღვნის ეპიზოდიც, ის აბსოლუტური მსგავსებითაა გადატანილი ბიბლიაში.

მოკლედ, ეს ნაწარმოები ყოველმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია მსოფლიო ლიტერატურისათვის და მასში არის ყოველივე ის, რამაც საკაცობრიო სიმაღლე მიანიჭა უპირველეს მხატვრულ ქმნილებასა და ეპოსს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტსაც, რომ ეს ნაწარმოები იწერებოდა იმ პერიოდში, როცა კოლხეთის სამეფო აყვავებას აღწევს, ამაზე მეტყველებენ ძველბერძნული მითები. მაგალითად, მედეა არის ჩვ. წ. მე-13 საუკუნის გმირი და ა. შ.

კოლხებისა და შუმერების ურთიერთობებსა თუ საერთო ძირებზე სხვა დროს გვექნება საუბარი!..

ამრიდონ ჩეგიანის ხსოვნას

სულ ბოლოს გასული წლის 4 ნოემბერს ვნახე უზნაძის ქუჩაზე, დევნილთა სახლში. თავის ერთოთახიან ნესტიან და მოუწყობელ ბინაში ძველებურად მხნე და ოპტიმისტურ განწყობაზე შემხვდა... მიზეზი ისიც იყო, რომ ჩვენი ჟურნალის წინა ნომერი მივუტანე, რომელშიც მისი დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილებია გამოქვეყნებული... შემდეგ არაერთხელ დამირეკა, ბოლოს 22 ნოემბერს დავთქვით შეხვედრა, მაგრამ მაშინაც ავცდით ერთმანეთს... თურმე სამუდამოდ... იმ დღეს თბილისის საკრებულოს შენობაში აფხაზეთიდან დევნილი ავტორების წიგნის პრეზენტაცია იყო დანიშნული. პრეზენტაციაზე მეც ვიქნებიო, – მითხრა წინა დღეს, მაგრამ ის თურმე სხვა ღონისძიებაზე იყო მიწვეული... იქიდან მობრუნებული კი კლინიკაში მოხვდა საბედისწერო შემთხვევის შედეგად... ამრიდონ ჩეგიანმა იმ სარეანიმაციოდან ცოცხალმა ვერ გამოაღწია, გონს მოუსვლელად გარდაიცვალა 12 დეკემბერს...

ამ 80 წლის მანძილზე ბევრი წამება და წვალება ნახა სვანეთის ლეგენდარულ სოფელში – ხალდეში დაბადებულმა ვაჟკაცმა... ახალი კერის გამართვაც ორჯერ მოუწია – ჯერ ხალდედან გუდაუთის რაიონის სოფელ ოთხარაში სვანების გადასახლების შემდეგ, მერე კი – თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ირაგაში, როდესაც სხვა ქართველებივით დევნილად იქცა... ორჯერ ვაჟების უბედურებით გამწარდა: ოთხარაში უმცროსის საფლავი დარჩა, აქ, ირაგაში კი ამ რამდენიმე წლის წინათ უფროსი ვაჟი მიაბარა მიწას...

ამრიდონ ჩეგიანი ძლიერი პიროვნება იყო, ამდენ ჭირ-ვარამსაც ვაჟკაცურად გაუძლო, აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს საერთო სატკივარსაც გაართვა თავი, როდესაც მტრულ გარემოცვაში მოქცეული თავისი სოფლის მოსახლეობა სამშვიდობოს გააყვანინა თვით აფსუებს... დიახ, ძლიერი იყო, აღნაგობითაც მშობლიურ მთებს ჰგავდა – ტანადი, შეუვალი, მაგრამ ამასთან ძალიან ჩვილი გული ჰქონდა და სულ მცირე დასანანი რამის გაგონებაც კი საკმარისი იყო, რომ თვალებში ცრემლი ჩასდგომოდა...

როგორ უხაროდა, გასული წლის 11 სექტემბერს 80 წლის იუბილე რომ გადაუხადეს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში! მანამდე საიუბილეოდ მისი „რჩეული“ გამოვიდა ჩემი რედაქტორობით. ბოლო დროს ხანდახან დაიჩივლებდა ჯანმრთელობის გამო, მაგრამ ჩვეული სტუმართმოყვარეობა არ დაუშლია და სიამოვნებით მივირთმევდით მის მიერ გაშლილ უბრალო, მაგრამ გულითად სუფრაზე ხან ღვინოს, ხან არაყს, ხან ლუდს...

ვინ იფიქრებდა, რომ სულ მალე მორჩებოდა მისი წუთისოფელი – ახალ გეგმებს აწყობდა, ახალ წიგნზე ფიქრობდა, მისი მაგიდა კი ყოველთვის მოფენილი იყო ახალი ლექსების ხელნაწერებით...

იმ უბედური შემთხვევიდან ცოტა ხნით ადრე საჯარო ბიბლიოთეკაში ძველი გაზეთების თვალიერებისას მის ლექსს წავაწყდი, გადავწერე, ამრიდონს შევახსენებ ამ ადრინდელ ლექსს, გავახარებ-მეთქი... ვერ გავახარე... არ მომიცადა... წავიდა...

ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ითვლიდა ჩვენი მეგობრობა... ჯერ იყო სოხუმი, სტუდენტობის წლები, მერე, როდესაც მე გალში ვცხოვრობდი, ხშირად მოდიოდა გალში გათხოვილი

თავისი დის ნადია პირველის სახლში. ნადია ქვრივი იყო, სამ შვილს ზრდიდა და ამრიდონი ყველანაირად ცდილობდა დისთვის ცხოვრების ტვირთის შემსუბუქებას... ბევრი ტკბილი დილა-საღამო გვაქვს გატარებული ერთად...

მორჩა უკვე ასეთი შეხვედრები... სამაგიეროდ, დატოვა დიდი სიყვარული...

ტკივილებს ის უმსუბუქებდა, ის აძლიერებდა, რომ უამრავი შთამომავალი დატოვა: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები... თანაც ისეთები, რომ მუდამ ღირსეულად გაუფრთხილდებიან ამრიდონ ბაბუას სახელს.

ნათელში იყოს ამ ნათელი კაცის სული...

ფუჭად არ უცხოვრია. სამაგალითოდ იცხოვრა, კაცურად იშრომ-იღვაწა და ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან... ოღონდ ესაა გულდასაწყვეტი: თავისი სიკვდილით არ მომკვდარა, თავის სენს თუ ვარამს არ მოუკლავს, თორემ მისი გამოსათხოვარი სიტყვები, მჯერა, დიდხანს, დიდხანს, არ დაიწერებოდა...

ქვემოთ ამრიდონ ჩეგიანის იმ ლექსს გთავაზობთ, ძველი გაზეთიდან რომ ამოვიწერე და მის წინაშე საზეიმოდ უნდა წამეკითხა..

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲨᲝᲜᲘᲐ

ᲐᲛᲠᲘᲓᲝᲜ ᲩᲔᲒᲘᲐᲜᲘ

მეწვიე სვანეთში

მეწვიე, გაიგე ამ მთების ავ-კარგი...
ჩუქურთმაც ბევრს გეტყვის, ლოდებზე ნაქარგი.
ბევრს გეტყვის ენგური, შხელდა და უშგული,
ბევრს გეტყვის კოშკიდან წარსულის გუგუნი.
ეს მთები ქართული მიწა-წყლის ღვიძლია...
სტუმრისთვის თავს დავდებ, ფერი არ მიცვლია!
მეწვიე, დაგატკბობ თაფლით და რანგითა,
ამ ღრუბლებს ზემოდან დახედო, არ გინდა?
ანკარა წყაროსთან სუფრას რომ გაგიშლი,
მთა გეტყვის: „დალოცე ეგ ჩემი ბადიში!
ის არის მთიელიც, ის არის ბარელიც!..
მიზანში დაცარვას არასდროს არ ელის!
ხატად აქვს მას ტრფობა მთისა და ბარისა!
მან ჩემგან ისწავლა ღიმილიც და რისხვაც!“
მეწვიე, ჩანჩქერიც შეგხვდება ტაშითა,
ღრუბლების ფაფანაკს კარვებად გავშლი და
მოგითხრობ... დაგატკბობს ფერები ზღაპართა,
გიამბობ, ვით ახდა ოცნება პაპათა.
გიამბობ, წინაპარს რომ აკლდა ნუგეში,
იმედი ცოცხლობდა არწივთა ბუდეში!
მეწვიე, ეს გული ამ მთების ღვიძლია,
მოძმისთვის თავს დავდებ, ფერი არ მიცვლია!
მეწვიე, გაიგე ამ მთების ავ-კარგი,
ჩუქურთმაც ბევრს გეტყვის, ლოდებზე ნაქარგი
ბევრს გეტყვის კოშკიდან წარსულის გუგუნი...
ბევრს გეტყვის ეს ჩემი ხალდე და უშგული.

გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, №105
1967 წლის 30 მაისი

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ᲐᲛᲠᲘᲓᲝᲜ ᲩᲔᲒᲘᲐᲜᲘ** და თანაუგ-ძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ᲠᲔᲕᲐᲖ ᲒᲝᲠᲓᲔᲖᲘᲐᲜᲘᲡ** გარდაცვალებას.

მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. სოხუმის მკვიდრი, ჭადრაკის ფაკულტეტის პირველი გამოშვების ღირსეული წარმომადგენელი, ჭადრაკის ცნობილი პედაგოგი და თვითონაც წარმატებული მოჭადრაკე **ᲜᲝᲓᲐᲠ ᲒᲔᲚᲔᲜᲐᲕᲐ** და თანაგძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ჟურნალ „მიჯნის“ რედაქცია, მოსწავლეები
თეანა და დათო ზაქარაიები

ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია, ემა ჩიბიროვი

დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი

დიზაინი: ირაკლი უშვერიძე

ავტორებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მასალების ელექტრონული ვერსია

აიწყო და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“

ტაშკენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში

ა. პოლიტკოვსკაიას. №4, ტელ. 5-99-33-52-02

თუ თქვენ დაგაინტერესათ ჩვენმა ჟურნალმა, მაშინ შეგიძლიათ მისი ელექტრონული ვერსია მოიძიოთ:

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ივერიელი

ციფრული ბიბლიოთეკა

dspace.nplg.gov.ge

"ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრიობის ერთგებობის ერთეული მყარესული სიმბოლოს - ქვეყნის მთავარი არქიტექტურული ნაგებობის ერთგებობა„.

9 772449 237002